# ქაოსი და შიში ევროპის შუაგულში







# საერთო გაზეთი

№36 (348) ● 18 ნოემბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი


## სოსო ხაინდრავა:



75 წელი გავიდა მას შემდეგ და ებრაელებმა გერმანელებს ათიათასჯერ მოახდევინეს ბოდიში... ჩვენ, ქართველებს, რატომ არ გვაქვს უფლება, „ნაციონალებს“ პასუხი მოვთხოვოთ ჩადენილი დანაშაულობების გამო?!

## „რუსთავი-2“-ის ძველი და ახალი ცოდვები



ხომ არ იცით, სად წავიდა რამდენიმე თვის უკან აშშ-ს მიერ მედიის განვითარებისთვის გადმორიცხული 40 მილიონი დოლარი, შემთხვევით „რუსთავი-2“-ისა და ე.წ. ელიტური „ენჯეოშნიკების“ ყულაბაში ხომ არა?



„სარკოფაგიდან დგება მუმია...“



„ — სოფლის შენებას რა უნდა? — რა უნდა?

— ერთი პირველის თქმა უნდა, თქმა უნდა... და კიდევ ბანი უნდა!“

ჰოდა, მოვიდა ბანიც, და, იმედია, აწი სოფელიც მალე აშენდება“.

**რატომ არავინ ასამართლებს ანტიქრისტეს მოციქულ სააკაშვილს იმ დანაშაულისთვის, რაც მან 2003 წელს ჩაიდინა – პარლამენტში შეიჭრა და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა?**



მამა ბასილი მკალავიშვილი



## რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში არსებული აკლდამა?



## მენგელეს X ადამიანი ელისო კილაძე „ტყუპების სოფლიდან“

მსოფლიო პრესის მიხედვით

# ქაოსი, სიკვდილი და შიში ევროპის შუაგულში

## პარიზი წელს მეორედ გახდა ტერორისტთა სამიზნე










21–ე საუკუნის საფრანგეთის რესპუბლიკაში 2015 წლის 13 ნოემბერი ყველაზე სისხლიანი ფურცელია. ტერორისტთა დაგეგმილი თავდასხმების შედეგად პარიზში 130–ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ხელისუფლებამ ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და საზღვრები ჩაკეტა.

მსოფლიო ლიდერები თანაგრძნობას უცხადებენ ფრანგ ხალხს და გამოთქვამენ მზადყოფნას, გააძლიერონ ძალისხმევა საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად. მთავრობა აძლიერებს თავისი საელჩოების უსაფრთხოების ზომებს და მოუწოდებს თავის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საფრანგეთში გადაადგილებისგან ან საერთოდ არ გამოვიდნენ პარიზის ქუჩებში. ფრანგი ძალოვანები ცდილობენ ცოცხლად დარჩენილი „ბოევიკების" დაჭერას. მასმედია ვარაუდებს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ ვინ არის ტერაქტების ორგანიზატორი.

ყველაფერი ეს, საუბედუროდ, უკვე იყო, და თან – არაერთხელ: 9/11 ტრაგედია ამერიკაში, 2004 წლის 11 მარტის აფეთქება მადრიდში, 2005 წლის ივლისის ტერორისტთა შეტევა ლონდონში...

თვითონ საფრანგეთში,იმავე პარიზში, წელიც არ გასულა, რაც ტერორისტმა–ძმებმა საიდ და შერიფ კუაშებმა სატირული ჟურნალის **Charlie Hebdo**–ს რედაქციაში 12 ადამიანი ჩაცხრილეს, ორი დღის შემდეგ კი მათმა თანამზრახველმა ამედი კულიბანმა ქაშერული სურსათის მაღაზიაში აიყვანა მძევლები და ოთხი მათგანი მოკლა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟურნალის რედაქციაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორმა, „ალ-ქაიდას" ტერორისტთა ჯგუფის ლიდერმა ბრძანება გასცა, „დაესაჯათ ურჯულოები" წინასწარმეტყველ მუჰამედზე გამოქვეყნებული კარიკატურების გამო.

დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთიანობის მდუმარე მარშში მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის – ევროპული სახელმწიფოების ლიდერთა უმეტესობა.

რადიკალურმა ისლამისტებმა არაერთხელ მოსთხოვეს საფრანგეთს, „შეწყვიტოს აგრესია მუსულმანთა წინააღმდეგ", თუ არადა, ახალი ტერაქტებით იმუქრებოდნენ. საფრანგეთი იმ კოალიციის წევრია, რომელსაც ისლამური სახელმწიფოს პოზიციებზე იერიში მიაქვს და ამ კოალიციას ამერიკის შეერთებული შტატები თავმჯდომარეობს. 30 სექტემბერს საფრანგეთის სამხედრო–საჰაერო ძალებმა, რომლებიც მხოლოდ ერაყის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, დაიწყეს სირიელ ისლამისტთა დაბომბვა.

ბრიტანული მედიასაშუალებები წერენ, რომ პარიზში მოწყობილი ტერაქტი შესაძლოა იყოს ექსტრემისტთა პასუხი ჯიჰადი ჯონის – „ისლამური სახელმწიფოს" მთავარი ჯალათის დაღუპვაზე. ორიოდე დღის წინ პენტაგონის პრეს–მდივანმა განაცხადა, რომ ჯიჰადი ჯონი (ბრიტანეთის მოქალაქე მოჰამედ ემვაზი) „99 პროცენტის ალბათობით" მოკლულია „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თავდასხმის შედეგად.

„ისლამურმა სახელმწიფომ" უკვე იკისრა პასუხისმგებლობა პარიზში მომხდარ ტერაქტებზე და მათ „სირიის გამო განხორციელებული ვენდეტა" უწოდა. თუმცა ტერორიზმთან ბრძოლის ზოგიერთი სპეციალისტის შეფასებით, შემსრულებელთა კოორდინაციის დონე უფრო მეტად „ალ–ქაიდაზე" მიანიშნებს.

ნებისმიერ შემთხვევაში საგანგაშოა ის, რომ პარიზის ცენტრში სროლა და მძევლად აყვანა განხორციელდა უსაფრთხოების გაძლიერებულ პირობებში. 30 ნოემბერს პარიზში იწყება გაეროს კლიმატური სამიტი, რომლის მზადებასთან დაკავშირებით დაწესდა დროებითი სასაზღვრო კონტროლი. შენგენის შეთანხმების ქვეყნებისთვის ეს არის ჩვეულებრივი პრაქტიკა დიდი საერთაშორისო ღონისძიებების წინ. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტერორისტებმა, სავარაუდოდ, ქვეყანაში წინასწარ შეაღწიეს.

ოქტომბერში, მიგრაციული კრიზისის პიკის დროს, ისმოდა გაფრთხილება, რომ სირიიდან, ლიბიიდან და ერაყიდან დევნილთა ნაკადის მეშვეობით ევროპული სახელმწიფოების ტერიტორიაზე შეაღწია „ისლამური სახელმწიფოს" ოთხი ათასამდე „ბოევიკმა", რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაშინების აქციების წამოწყება.

ამერიკული სადაზვერვო–ანალიტიკური კომპანია **Stratfor** აღნიშნავს, რომ ევროპის შიგნით ტერორისტული შეტევების მუდმივი საფრთხე არსებობს. და ახლა მნიშვნელოვანია განისაზღვროს, პარიზული ტერაქტები „შინაურია" თუ თავდამსხმელები უცხოეთში არიან გაწვრთნილნი და დახმარებასაც საზღვარგარეთიდან იღებდნენ. როგორიც არ უნდა იყოს პასუხი ამ შეკითხვაზე, აშკარაა: ევროპაში სიმშვიდე ვერ დაისადგურებს.

13 ნოემბრის საშინელი ღამის შემდეგ გაჩნდა ახალი ტერმინი „**home grown terrorist**", რომელიც ახალი რეალობის მაჩვენებელია: ტერორისტები უკვე ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებთა და იქ დაბადებულთა შორის გამოზარდეს.

### ეს ომია

ყველა ფრანგულმა მედიასაშუალებამ პირველი გვერდი პარიზულ ტერაქტს დაუთმო. ბევრი მათგანი მომხდარს საფრანგეთისთვის გამოცხადებულ ომად აფასებს.

**Le Figaro:** „ომი პარიზის ცენტრში"...

**Le Parisien**: „ეს ომია"...

### „საერთო გაზეთის" განცხადება

ირინე გოგოსაშვილის წერილში „ტოტალური სექტა, სახელად „ნაცმოძრაობა" და „წმინდა მიხეილის" მოწმეები" („საერთო გაზეთი" №33, 2015 წელი) ტექნიკური მიზეზების გამო მოხდა დასანანი შეცდომა – ტექსტიდან ამოვარდა ბატონი დიმიტრი მონიავას გვარ-სახელი, რომელიც გახლავთ ავტორი წერილში ჩამოთვლილი იმ 13 პუნქტისა, რომელთა მიხედვითაც „ნაციონალური მოძრაობა" შეიძლება ტოტალურ სექტად ჩავთვალოთ.

რედაქცია წუხილს გამოთქვამს, რომ უნებლიედ დარღვეული იქნა ბატონი დიმიტრი მონიავას საავტორო უფლება და ბოდიშს უხდის მას მომხდარის გამო.

„საერთო გაზეთი"

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს–158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში"; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ყველა გამოცემა მოუწოდებს ქვეყნის მოსახლეობას გაერთიანებისა და ერთიანი ფრონტით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

**Liberation:** „ტერორისტთა ბარბაროსობამ გადააბიჯა ისტორიულ ზღვარს. შეუძლებელია ეს სისხლიანი მოვლენები არ დაუკავშირო ახლო აღმოსავლეთის საბრძოლო მოქმედებებს. საფრანგეთი იქ მიმდინარე პროცესში თავის როლს ასრულებს. და სახელმწიფომ უყოყმანოდ უნდა გააგრძელოს ეს მისია“.

ომის ტერმინებს იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, რომელთა შეფასებებითაც პარიზში მომხდარი მოვლენები „ყველაზე ნამდვილი, მასშტაბური ტერორისტული ომია“, რომ „ტერორისტები აჩვენებენ თავიანთ ძალას, უფრო სწორად – თავიანთ სიძლიერეს, და ეს მუქარა სულ უფრო რეალური ხდება ევროპის ქვეყნებისთვის, და არა მარტო მათთვის – მეზობლად მდებარე სახელმწიფოებისთვისაც. სასწრაფოდ მისაღებია ექსტრაორდინარული ზომები“, „შემოდგომის მიგრაციული კრიზისი იყო „აბსოლუტური საფრთხე“ და „ევროპული სახელმწიფოების ჩუმი დაპყრობა“, რაც განხორციელდა ლტოლვილთა ნაკადების გადაადგილებითა და მათ საფარქვეშ.

არის ასეთი მოთხოვნაც – უნდა შეიქმნას ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი საერთაშორისო ცენტრი გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ეგიდით და ამ ცენტრში უნდა გაერთიანდეს ისეთი სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც ურთიერთპრეტენზიები გააჩნიათ. გვერდზე უნდა გადაიდოს ყველანაირი წყენა, რადგან ტერორიზმი ცივილიზებული ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა.

## ვიდრე სირიაში ომი მიმდინარეობს, ყველანი საფრთხეში ვართ

პარიზში მომხდარი ტერაქტების ბევრი დეტალი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მისი შემკვეთი ცნობილია – ეს არის ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“. საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა - სირიის კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა დაივიწყონ რუსეთის გამოცდილება, რომელიც შეეჯახა ტერორიზმის ამგვარ სახესხვაობას: ტერაქტები არ შეწყდება, ვიდრე მისი ეპიცენტრი არ განადგურდება.

საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განცხადებით, ეს შეტევა „ომის აქტია“, რომელსაც ჯიჰადისტების „არმია“ ახორციელებს. გარკვეული თვალსაზრისით, ეს სიმართლეა, მით უმეტეს თუ გაირკვევა, რომ ზოგიერთ თავდამსხმელს არ გაუვლია სპეციალური მომზადება ან ისინი საფრანგეთის მოქალაქეები იყვნენ (ამ მოვლენების მოწმეები, რომლებმაც დაინახეს საკონცერტო დარბაზ „ბატაკლანში“ თავდამსხმელები, ამტკიცებენ, რომ ისინი ფრანგულად სრულიად უაქცენტოდ ლაპარაკობდნენ).

თავდამსხმელთაგან ზოგიერთმა თავი აიფეთქა, სხვებმა ერთდროულად გახსნეს ცეცხლი „ბატაკლანის“ დარბაზში და ხალხმრავალ კაფეში. ამ სინქრონულმა შეტევამ გააძლიერა ტერაქტების ეფექტი. ამ სქემებს კარგად იცნობს რუსეთის მოსახლეობა.

გავიხსენოთ: 2004 წელს რუსეთი შეძრა ტერაქტების სერიამ. რუსეთის სპეცსამსახურებსა და სეპარატისტ მეამბოხეებს შორის ექვსწლიანი ჩეჩნეთის ომის შემდეგ, 2004 წლის თებერვალში ჯერ მოსკოვის მეტროში, მერე ივნისში სამარის ხალხმრავალ ბაზარში, ხოლო მალევე ინგუშეთის სამართალდამცავ ორგანოებზე თავდასხმის შედეგად ასეულობით ადამიანი დაიღუპა და დაზიანდა. სექტემბერში ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში ჩეჩენთა ბანდამ 1 128 მძევალი აიყვანა. 334 ადამიანი, მათ შორის 186 ბავშვი დაიღუპა. მოკლეს აგრეთვე 31 ტერორისტი.

იმ საშინელი დროის შემდეგ რუსეთში კიდევ მოხდა რამდენიმე ტერაქტი, მაგრამ მსგავსი სერია აღარ განმეორებულა. 2005 წელს პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2004 წელს ტერაქტის დროს დაღუპული გავლენიანი რელიგიური მოღვაწის აჰმად კადიროვის ვაჟი შეარჩია, რომ მას ჩეჩნეთი პუტინის სახელით ემართა. რამზან კადიროვს, რომელიც მაშინ 29 წლისა იყო, სურდა შური ეძია მამის სიკვდილის გამო, და რადგანაც კადიროვები ოდესღაც თვითონაც სეპარატისტები იყვნენ, რამზანს საუკეთესო აგენტურა ჰყავდა ომისგან გაპარტახებულ რეგიონში.

პუტინმა კადიროვი გულუხვად დააფინანსა, აგრეთვე მიიღო უფლება, უგულებელყო ფედერალური კანონები და გაენადგურებინა ყველა, ვისაც ის მტრად მიიჩნევდა. კადიროვს სამი წელი დასჭირდა, რომ ომი დაემთავრებინა და შეთქმულებები რუსეთის ქალაქებში ტერაქტების მოსახდენად უაზრო გახადა. ეს იყო სასტიკი, უმოწყალო კამპანია. 2004 წელს ძირითადი ომი მიმდინარეობდა ჩეჩნეთის მთებში, და მოსკოვსა თუ სხვა მშვიდობიან ქალაქებში ტერაქტები იყო საშუალება, რომლითაც ისლამისტი მეამბოხეები უბრალო მოქალაქეებში შიშს ნერგავდნენ და ამით მთავრობას ამ ომის ფასს უზრდიდნენ.

შესაძლოა, პარიზელი ტერორისტებიც იმავე მოტივებით ხელმძღვანელობდნენ. ახლა ძირითადი ომი მიმდინარეობს სირიაში. პარიზში, აგრეთვე ბეირუთში 11 და 13 ნოემბრის ტერაქტებზე პასუხისმგებლობა იკისრა „ისლამურმა სახელმწიფომ“. ახლა ყველაზე დამაჯერებელია ვერსია იმის შესახებ, რომ ოქტომბერში ეგვიპტის თავზე რუსეთის თვითმფრინავი სწორედ „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებმა“ ააფეთქეს შურისძიების მიზნით – სირიაში რუსეთის მიერ დაბომბვითი კამპანიის გამო. ამ აფეთქებამ 224 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ახლა ამ დაჯგუფებამ, როგორც ჩანს, შური იძია ფრანგებზე, რომლებმაც გააფართოეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმართული თავიანთი ავიადარტყმების საზღვარი. 5 ნოემბერს საფრანგეთმა განაცხადა, რომ გზავნის თავის ავიამზიდს ხმელთაშუაზღვაში, რათა მხარი დაუჭიროს კამპანიას. ჩეჩენი ტერორისტების მსგავსად, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები ცდილობენ მათ წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო მოქმედებები მეტისმეტად ზარალიანი იყოს ამ კამპანიის სახელმწიფოებისთვის.

პარიზში მომხდარი ტერაქტის შემდეგ საფრანგეთმა გააძლიერა შიდაუსაფრთხოების ზომები, ანტიტერორისტული სტრუქტურების თანამშრომელთა რაოდენობა 2500-ით გაზარდა, დაზვერვის სამსახურები გამუდმებით თვალს ადევნებენ იმ 1500 „ბოევიკს“, რომლებიც სირიასა და ერაყში ჯიჰადისტების მხარეზე იბრძოდნენ, ახლა კი გაჩნდა სია 11-ათასიანი ადამიანისა, რომლებსაც ყველაზე რადიკალ ისლამისტებად მიიჩნევენ.

მასშტაბური და მუდმივი მეთვალყურეობის ბარიერები მცირდება. ახალი კანონი თვალთვალის შესახებ, რომელიც **Charlie**–ზე თავდასხმის შემდეგ მიიღეს, პრემიერ–მინისტრს უფლებას აძლევს გასცეს ნებართვა რეალურ დროში ელექტრონული კომუნიკაციის მონიტორინგისთვის, ფიზიკური თვალთვალისა და სახლების მოსმენა ტერორისტული საფრთხეების ასაცილებლად - სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშეც.

საფრანგეთი თითქმის აღარ ღებულობს სირიელ ლტოლვილებს, რითაც თავის სპეცსამსახურებს თავიდან აარიდა ასეულობით ათასი ადამიანის შემოწმება ტერორისტულ დაჯგუფებებთან შესაძლო კავშირის დასაზუსტებლად.

ვერც ერთი ზომა ვერ აღკვეთს ახალ ტერაქტებს – ისევე როგორც ვერ შეაჩერეს 2004 წლის საშინელება პუტინის მძლავრმა სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომლებსაც არანაირი ანგარიშგება არ ევალებოდათ. მათაც ჰქონდათ ეჭვმიტანილთა სიები და თვალთვალისა და მოსმენის პრაქტიკულად უსაზღვრო უფლებამოსილებები. ხანდახან ისინი ახერხებდნენ რამდენიმე ნაბიჯით დაესწროთ ტერორისტებისთვის, მაგრამ ასეთი ძალისხმევის შედეგი ვერასოდეს იქნება ასპროცენტიანი. ისლამისტების დაჯგუფებები მარჯვედ იმხრობენ ახალ რეკრუტებს, ხოლო ტერაქტის ორგანიზებას დიდი დრო არ სჭირდება.

პუტინი იმიტომაც შეიჭრა სირიაში, რომ კარგად ახსოვს ჩეჩნეთი და იმიტომაც, რომ მის წინააღმდეგ მებრძოლი ათასობით ტერორისტი ახლა „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ–ქაიდას“ სირიული განშტოების – „ან–ნუსრის“ რიგებში იბრძვიან. ეს ხალხი შემძლეა, უდიდესი საფრთხე შეუქმნას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას.

პუტინი ზუსტად ისე იქცევა სირიაში, როგორც ჩეჩნეთში მოქმედებდა: ეხმარება უმოწყალო ადგილობრივ ლიდერ ბაშარ ალ–ასადს, რომ ომით გაუსწოროს ანგარიში ყველას, ვინც იარაღს ჰკიდებს ხელს, ვინც არ უნდა იყოს იგი: ისლამისტი, ტერორისტი თუ სეპარატისტი.

საფრანგეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც ამერიკულ კოალიციაში შედიან, ახლა ტერორისტთა პოტენციური სამიზნეები არიან. მათ უნდა გადაწყვიტონ, მზად არიან თუ არა გამოიყენონ ტერორიზმთან ბრძოლის პუტინისეული მეთოდი. ეს მეთოდი საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა ჩეჩნეთში, მაგრამ რამდენად ეფექტიანი იქნება სირიაში, გაურკვეველია. ნათელია ერთი რამ: ვიდრე არ დარეგულირდება კონფლიქტი სირიაში, ვიდრე არ განადგურდება მისი ეპიცენტრი, ანუ „ისლამური სახელმწიფო“, ვერც ერთი ქვეყანა ვერ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ, ვერ იქნება დარწმუნებული, რომ მის ტერიტორიაზე არ მოხდება ისეთი ტერაქტი, როგორიც 13 ნოემბრის ღამეს პარიზში მოხდა.












***„რუსთავი-2“-ს, ნაცმოძრაობას და მათ მხარდამჭერებს პრეტენზია აქვთ, რომ ეს ტელევიზია თავისუფალ სიტყვას, ხალხს ემსახურება, რაც სრული სიცრუეა. „რუსთავი-2“ არასდროს ყოფილა ქვეყნის და ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი, ყოველთვის ვიწრო პარტიული ინტერესების მსახური იყო, არ შეიძლება ამ ტელეკომპანიის და ნაცმოძრაობის ცალცალკე განხილვა, ეს ერთი მთლიანი ორგანიზმი, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ნაციონალებს ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები ერქვათ და რაც ყველაზე მთავარია ისინი ოკეანიგალმა დაწერილი სცენარის მიხედვით მოქმედებენ“, აცხადებს გამოცდილი პოლიციელი, პროფესიით ეკონომისტი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე. რა არგუმენტები აძლევს ჩვენს რესპოდენტს ამის თქმის საფუძველს, თავად მას მოვუსმინოთ.***



# დავით გაგნიძე:

# „რუსთავი-2“-ის ძველი და ახალი ცოდვები

## ხომ არ იცით სად წავიდა რამდენიმე თვის წინ ამერიკის მიერ მედიის განვითარებისთვის გადმორიცხული 40 მილიონი დოლარი, შემთხვევით „რუსთავი-2“-ისა და ე.წ. ელიტური „ენჯეოშნიკების“ ჯულაბაში ხომ არა?

**დავით გაგნიძე:** „ხსენებული ტელეკომპანია 1994 წლის 1 ივნისს ქალაქ რუსთავში დაფუძნდა, დამფუძნებლები ეროსი კიწმარიშვილი, დავით დვალი, ჯარჯი აქიმიძე და ნიკოლოზ ტაბატაძე იყვნენ, ხოლო გენერალური დირექტორი თავიდან გიორგი გეგეშიძე გახლდათ. ტელევიზია 1995 წელს ლიცენზიის არქონის გამო დაიხურა, თუმცა 1996 წლიდან განაახლა ტელემაუწყებლობა, ოღონდ თბილისში, მაგრამ ისევ ლიცენზიის უქონლობის გამო ფუნქციონირება შეწყვიტა. არაერთი სასამართლო დავის შემდეგ ტელეკომპანიამ კვლავ განაახლა მუშაობა. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა პოლიტიკურ სარბიელზე ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები წამოტივტივდნენ. 1998 წელს „რუსთავი-2“ პოპულარობის მხრივ პირველი ადგილს იკავებდა (ისე მაშინ ამ ტელეკომპანიასა და საზოგადოებრივ მაუწყებელს გარდა, სხვა ტელევიზიები ფაქტობრივად არც არსებობდა - მ.ს.) 2000 წლის 18 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩეჩენმა „ბოევიკებმა“ ტელევიზიის გადამღები ჯგუფი იმ მოტივით გაიტაცა, რომ თითქოს ისინი რუსეთის სპეცსამსახურის აგენტები იყვნენ, თუმცა ერთი დღე-ღამის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს. მე დაზუსტებით ვერ გეტყვით, რამდენად საფუძვლიანი იყო ჩეჩნების ეჭვი, ალბათ ჰქონდათ რაღაც მიზეზი, რადგან საქართველოს მიწაზე ამავე ქვეყნის ტელევიზიის ჟურნალისტების მიმართ ასეთი ქმედება გაბედეს. ეჭვს ისიც ბადებს, რომ გატაცებულები მალევე გაათავისუფლეს. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ 80-იანი წლების მიწურულს რუსულმა სპეცსამსახურებმა ყველაზე მეტი აგენტურა საქართველოში დატოვეს, მათი რიცხვი

რამდენიმე ასეულ ათასს უტოლდებოდა. ეს აგენტურა ძირითადად მასმედიასა და დარგობრივი ეკონომიკის სფეროებში იყო ჩანერგილი. 2001 წლის 6 მარტს საქართველოს უშიშროების სამინისტრომ უარყო „რუსთავი-2“-ის მიერ ორი დღით ადრე გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს უწყება ჩეჩენ „ბოევიკებს“ ხელს უწყობდა. რამდენიმე თვეში მოკლეს „ღამის კურიერის“ წამყვანი, პოპულარული ჟურნალისტი გიორგი სანაია. მართალია, მოგვიანებით დააკავეს მკვლელი (გრიგოლ ხურცილავა), გაასამართლეს და მკაცრი განაჩენიც გამოუტანეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ მას არ მოუკლავს. ამ საქმესთან უშუალო შეხება მქონდა, როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმომადგენელს, ხურცილავასაც არაერთხელ შევხვედრივარ და მერწმუნეთ, მისი საქციელი ნამდვილად არ ტოვებდა მკვლელის შთაბეჭდილებას. ვფიქრობ, საფუძველს არ არის მოკლებული ის ვერსია, რაც იმ პერიოდში ვრცელდებოდა, რომ „მკვლელმა“ გარკვეული გასამრჯელოს ფასად საკუთარ თავზე აიღო ეს დანაშაული. რამდენადაც ვიცი, ხურცილავა რამდენიმე წლის წინ გაა-

თავისუფლეს. ასე რომ, რეალური მკვლელი დღემდე არ დაუკავებიათ. ვინ მოკლა გიორგი სანაია და რატომ, ამაზე მხოლოდ ვარაუდები შეიძლება არსებობდეს. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ სანაია, თავად მისმა საახლობლო წრემ მოიშორა, თუნდაც ტელევიზიის რეიტინგის გასაზრდელად. ჩემი აზრით, გიორგი სანაიას მკვლე-



ლობა ედუარდ შევარდნაძის იმიჯის შელახვას ემსახურებოდა, ისევე, როგორც იმ პერიოდში გახშირებული ადამიანების გატაცებები, მათ შორის უცხოელების. 2001 წლის 30 ოქტომბერს უშიშროების სამინისტრო შეეცადა ტელეკომპანიაში შესულიყო დოკუმენტაციის შემოწმების მიზნით, თუმცა ყველას კარგად ახსოვს, როგორც დამთავრდა ეს ყველაფერი. ეს ფაქტიც ოსტატურად გამოიყენეს შევარდნაძის ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის. ამ ამბიდან ერთი თვეც არ იყო გასული, როცა თბილისი-რუსთავის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა „რუსთავი-2“-ის ორი თანამშრომელი (ტექნიკური პერსონალი), ხოლო ექვსმა სხეულის დაზიანება მიიღო. მიკროავტობუსი, რომელსაც ხსენებული ტელეკომპანიის თანამშრომლები რუსთავში გადაჰყავდა, მოცურდა და რამდენიმე მეტრის სიღრმის ხევში გადავარდა.

სიმართლე გითხრათ, ამ ავტოავარიამაც გააჩინა ეჭვი გამოცდილ პოლიციელებში.

2002 წლის 6 იანვარს, აფხაზეთის ტერიტორიაზე დააკავეს „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფი, რომელიც აფხაზური მილიციის ბლოკპოსტებს იღებდა. ვფიქრობ, ესეც შეგნებულად გაკეთდა, ვითარების გასამწვავებლად, ვინ დაიჯერებს, რომ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ არ იცოდა რა შედეგიც მოყვებოდა ამ ქმედებას. სხვათა შორის ამ ტელევიზიის გადამღები ჯგუფი მოგვიანებით სამაჩაბლოს ტერიტორიაზეც დააკავეს, ხომ ჩნდება ეჭვი, ყოველთვის ესენი რატომ ეხვეოდნენ შარში. 2002 წლის 6 იანვარს ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს გადაცემა „60 წუთის“ წამყვანის აკაკი გოგიჩაიშვილის სამუშაო კაბინეტი. რამდენადაც ვიცი, ეს შემთხვევა გამოუძიებელი დარჩა, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ საჯარო განცხადება არ გაკეთებულა. ვთქვათ, შევარდნაძის დროინდელმა სამართალდამცავებმა არ გამოიძიეს, ვარდოსნებს რა უშლიდა ხელს რომ გამოეძიებინათ? ამიტომაც ვფიქრობ, რომ ესეც შეგნებულად იყო გაკეთებული, თუ საერთოდ მოხდა ეს დანაშაული. 2003 წლის 25 ოქტომბერს ეროსი კიწმარიშვილმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ბლოკ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ, რომ თითქოს იგი ტელეკომპანიაზე ზეწოლას ახდენდა. საქმე ეხებოდა საპარლამენტო არჩევნებს, რომლის დროსაც „რუსთავი-2“ ზემოქმედებას ახდენდა ამომრჩევლებზე.

**- ბატონო დავით, ეს ჩივილიც ფარსი ხომ არ იყო, მერე ხომ გამოქვეყნდა ფარული ჩანაწერები, როგორ აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო მინისტრი ჯორბენაძე მომავალ რევოლუციონერებთან. მაშინ საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც ამბობდა, კიწმარიშვილმა გარიგება შესთავაზა ჯორბენაძეს, რომლის განხორციელების შემთხვევაში არავითარი „რევოლუცია“ არ მოხდებოდა, მაგრამ ჯორბენაძემ „იძუნწაო“.**

- არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, ფაქტი ერთია, ამ ე.წ. რევოლუციის წინ, ტელეკომპანია მთელი თვის განმავლობაში სისტემატურად აშუქებდა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებს. შალვა ნათელაშვილი ახლა „რუსთავი-2“-ის დიდ დამცველად რომ მოგვევლინა, მაშინ ლეიბორისტულმა პარტიამ, „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ“ მოსახლეობას მოუწოდეს ბოიკოტი გამოეცხადებინათ „რუსთავი-2“-სთვის. 2003 წლის 13 ნოემბერს ცესკომ ხსენებულ ტელეკომპანიას აკრედიტაცია გაუუქმა იმ მოტივით, რომ ის საარჩევნო კომისიაზე ზეწოლას ახდენდა. ეს მართლაც ასე იყო, მოსახლეობაც კარგად ხედავდა როგორ აქტიურად იყო ჩართული „რუსთავი-2“ საარჩევნო პროცესებში, ფაქტობრივად მხარის ფუნქციას ასრულებდა, ამიტომაც ვამბობ, რომ ნაციონალებისგან მათი გაცალკევება არ შეიძლება, ყოველთვის პარტიული ტელევიზია იყო, უფრო ზუსტად პროპაგანდისტული მანქანა (საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, როგორ დარბოდნენ ამ ტელევიზიის ჟურნა-

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center
PMMG
ISFED
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
TDI
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
MDF
GRASS
REFORMANDA

ლისტები ბაზრობებზე და მოვაჭრეებს აიძულებდნენ ნაცების მხარდამჭერ მიტინგზე გასულიყვნენ - მ.ს.). „რევოლუციის“ შემდეგ კი „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ დაირქვეს, ისე მართალს ამბობდნენ, ნამდვილად იყვნენ „გამარჯვებულების“ ტელევიზია. „გამარჯვებიდან“ ერთი თვის თავზე, კერძოდ, 29 დეკემბერს დაუდგენელმა პირებმა ნაღმმტყორცნებით დაბომბეს ტელეკომპანიის მთავარი სტუდია. „ნაღმმტყორცნებით დაბომბვა“ ძალზე ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ რაღაც გასროლა მართლა იყო. რა თქმა უნდა, არც ეს ფაქტი გამოუძიებიათ, ასე რომ, არც „შემოქმედი“ დადგენილა. იმ პერიოდისთვის უკვე დაძაბული ვითარება იყო ტელეკომპანიის ხელმძღვანელობასა და ახალ ხელისუფლებას შორის, ამიტომაც ვფიქრობ, „შემოქმედიც“ მათ შორის უნდა ვეძებოთ და გამოუძიებლობის მიზეზიც. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ყველაფერი გულუბრყვილო ხალხის თვალში ტელევიზიის რეიტინგის ასამაღლებლად გაკეთდა. ცოტა მოგვიანებით ნახეთ რა ხდება, 2004 წლის 8 ივნისს ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკომპანიის გაკოტრებულად ცნობასთან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს სასამართლოს სარჩელით მიმართა, რაც სასამართლომ 11 ივნისს დაუკმაყოფილა. იმ დროისთვის ტელეკომპანიას 9.223.385 ლარის დავალიანება ჰქონდა, მათ შორის იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 4.622.826 ლარი, ხოლო ტელეკომპანიის ქონება 3. 880 069 ლარს შეადგენდა. 17 ივნისს გაპრეზიდენტებულმა მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანიას თანადგომა გამოუცხადა, 28 ივნისს ტელეკომპანიის აქციების 90% ქიბარ ხალვაშმა შეიძინა (თუ შეაძენინეს – მ.ს.), საგადასახადო დეპარტამენტმა კი ვალების რესტრუქტურიზაცია გამოაცხადა. სინამდვილეში კი, როგორც ამბობდნენ სააკაშვილმა ტელეკომპანიას საბიუჯეტო დავალიანება ჩამოაწერა. რა უფლება ჰქონდა სააკაშვილს, თუნდაც პრეზიდენტის რანგში, რომ ვინმესთვის საბიუჯეტო დავალიანება ჩამოეწერა, რამდენადაც ვიცი, მან მეორედაც ჩამოაწერა „რუსთავი-2“-ს მრავალმილიონიანი დავალიანება. შეიძლება რაღაცა თანხები ჩამოეწერა, მაგრამ, როცა მსხვილ საბიუჯეტო თანხებზეა საუბარი, ვინ მისცა იმის უფლება სააკაშვილს, რომ რომელიღაც „ტელევიზიუშკასთვის“ ეპატიებინა. თუ არსებობს, ამის რეგულირებადი კანონმდებლობა, მაშინ გამოაქვეყნონ, მე არ ვიცი ასეთი წესი თუ არსებობს. პრეზიდენტს აქვს თავისი ფონდი, რომელიც სააკაშვილმა წასვლის წინ ბოლომდე შეჭამა, იქიდან დახმარებოდა, ფონდის სახსრებით დაეფარა მისი ფავორიტი ტელეკომპანიის საგადასახადო დავალიანება. ბიუჯეტი მარტო სააკაშვილის სათქვლეფი არ იყო, რომ როგორც უნდოდა ისე განეკარგა.

მივყვეთ შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, 2004 წლის 6 ნოემბერს სოფელ კეხვთან (სამაჩაბლო) აფეთქების შედეგად მსუბუქად დაიჭრნენ „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტები თენგიზ გოგოტიშვილი და ლევან დგებუაძე. სიმართლე გითხრათ, ესეც დადგმული სპექტაკლი მგონია, რომ ხალხს ეთქვა, ნახეთ რა მაგარი ტელევიზიაა, კონფლიქტურ რეგიონში სიუჟეტის გაკეთებას არ ერიდებიან, ტყვიას თავს უშვერენ.

2005 წლის 18 აგვისტოს „რუსთავი-2“ოფისში პისტოლეტით შეიარაღებული პირი შეიჭრა, რომელზეც მერე თქვეს სულით ავადმყოფი იყო და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ თითქოს ვერ გაარკვიეს რა სურდა ამ პირს რომელიც თითქმის ნახევარი საათი ესაუბრებოდა სოდის ერთ-ერთ ხელმძღვანელს (მისი ვინაობის გამჟღავნებისგან თავს შევიკავებ). ამ პერიოდში კი სნაიპერი ემზადებოდა, რომელმაც სრულიად მოულოდნელად გასროლა მოახდინა და იგი ადგილზე მოკლა.



გენპროკურორის მაშინდელმა მოადგილემ კახა კობერიძემ სპეციალურად მოწყობილ ბრიფინგზე განაცხადა, რომ პოლიცია იძულებული გახდა იარაღი გამოეყენებინა, რადგან მოქალაქე ნ. უკიდურესი აგრესიულობით გამოირჩეოდა. პროკურორისვე განმარტებით, მას ადრე ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა, მაგრამ ხშირად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რომ მას ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში პარანოიდული შიზოფრენია დაუდგინეს, რის საფუძველზეც იარაღი ჩამოართვეს. „ბერეტას“ ტიპის პისტოლეტი, რომელიც თავდასხმის დროს ჰქონდა, რეგისტრირებული არ ყოფილა, რომ ჯერჯერობით არ ფლობდნენ ინფორმაციას, რატომ ითხოვდა იგი გენპროკურორთან შეხვედრას ნ. რამდენიმე წლის წინ მარნეულის საფინანსო სამსახურში მუშაობდა. თავად ტელეკომპანიის ინფორმაციით, მას ხსენებული დაავადება ამ შემთხვევამდე დაახლოებით ერთი წლის წინ დაუდგინეს და ფსიქიატრიულ კლინიკაში სტაციონალურ მკურნალობასაც გადიოდა. მას მძევლად აყვანილი ყავდა ტელოკომპანიის თანამშრომელი



კობა კახაძე. მოგვიანებით პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიაში შეჭრილი პირი იგინებოდა, ითხოვდა გენპროკურორთან შეხვედრას და რაღაც ფარულ ვიდეოჩანაწერს, რომელიც მისივე თქმით, მისი ოჯახის დანგრევის მიზეზი გახდა. ტელეკომპანიის ჟურნალისტების თქმით, თავდამსხმელი ირწმუნებოდა, რომ ეს ვიდეოჩანაწერი ინტიმური ხასიათის იყო, თუმცა ვიდეომასალა, რომლის გადაწერასაც ის ითხოვდა არქივში არ აღმოჩნდაო.

დავით გაგნიძის განცხადებით, ხსენებულ სპეცოპერაციას თვითონაც ესწრებოდა. იმ პერიოდში ტელეკომპანიის ოფისი მეტრო „დელისთან“, ყოფილი სოფლმშენის შენობაში იყო განთავსებული, როგორ შეძლო შეიარაღებულმა უცხო პირმა ტელეკომპანიაში უპრობლემოდ შეაღწევა, როცა ტელეკომპანიის დაცვა პოლიციელებსაც კი არ გვიშვებდა შენობაშიო. როგორც რესპოდენტი აცხადებს, ნ-ს აგრესიულობა არ ეტყობოდა, იგი მშვიდად ესაბრებოდა ტელეკომპანიის თანამშრომელ ქალბატონს, არც იარაღი დაუნახავს. რაზე ესაუბრებოდა იგი ნახევარი საათის განმავლობაში სოდის მაღალჩინოსანს, რესპოდენტმა არ იცის. სნაიპერი, რომელმაც თავდამსხმელის ლიკვიდაცია მოახდინა, ჩემს გვერდით იდგა, მერე ოპერატიული თანამშრომლები იმ ადგილიდან უცებ გაგვიყვანეს და სნაიპერმა ისე მოახდინა გასროლა, რომ ბრძანება არავის გაუციაო. დავით გაგნიძე ეჭვობს, რომ სნაიპერს წინასწარ ჰქონდა მიღებული სროლის ბრძანება. რაც შეეხება ფსიქიკურ ავადმყოფობას, რესპოდენტში ესეც ეჭვს იწვევს, რადგან არსად ჩანდა მისი ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ჩვენ ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ჩნდება.

**დავით გაგნიძე:** „ტელეკომპანიაში საეჭვო მოძრაობები 2006 წლის დასაწყისშივე დაიწყო, როცა ქიბარ ხალვაშმა ტელეკომპანიის აქციების 22% დავით ბეჟუაშვილზე გაასხვისა. იმავე წლის ზაფხულში ჯერ ჟურნალისტმა ეკა ხოფერიამ დატოვა მოულოდნელად ტელეკომპანია, მოგვიანებით ნიკა ტაბატაძე გაათავისუფლეს გენდირექტორობიდან, რომლებსაც მალევე მიყვნენ ჟურნალისტები ნანა ლეჟავა, თენგიზ გოგოტიშვილი და თამარ ღვინიანიძე, საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე, „კურიერის“ პროდიუსერი დუდუ კურდღელია და ამავე გადაცემის წამყვანი ნათია ლაზაშვილი. 17 ნოემბერს ქიბარ ხალვაშს დაათმობინეს თავისი წილები, როგორც „რუსთავი-2“-ში, ისე ტელეკომპანია „მზეში“. 2007 წლის 20 მაისს გურამ შარაძის მკვლელობის ბრალდებით დააკავებული გიორგი ბარათელიც „რუსთავი-2“-ის ოპერატორი იყო. მას დანაშაულის თავის თავზე აღება აიძულეს, საინტერესო ისაა, რომ იგი კვლავ პატიმრობაში რჩება. ამ ტელეკომპანიით უკმაყოფილოები მარტო საქართველოში არ ყოფილან, 2007 წლის 11 სექტემბერს რუსეთში მოღვაწე ქართველთა კავშირმა გააკრიტიკა „რუსთავი-2“ რუსეთ-საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა მატჩთან დაკავშირებით. „ახლადგამოცხვარი“ ინვესტორი ირაკლი ჩიქოვანი, რომელიც თურმე ქიბარ ხალვაშის მიერ სასამართლო დავის დაწყებისას ექვსი მილიონის ჩადებას აპირებდა ტელეკომპანიაში, „უცხო“ არ ყოფილა, მან 2007 წლის 21 ოქტომბერს ჯერ ნიკა ტაბატაძის „მემკვიდრე“ დავარაშვილი ჩაანაცვლა გენდირექტორის პოსტზე, რომელსაც 2009 წლის აპრილის შუა რიცხვებამდე იკავებდა, დირექტორად გახდომიდან ერთი წლის თავზე ჩიქოვანი ტელეკომპანიის 33%-იანი წილის მფლობელიც გახდა. „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, რომელიც სხვა მედიასაშუალებებს არაკოლეგიალობაში ადანაშაულებს, თვითონ არასდროს გამოირჩეოდა ამ თვისებით. გავიხსენოთ 2007 წლის „შავი“ ნოემბერი, როგორ მოუწოდებდა კობა დავითაშვილი „რუსთავი-2“-სა და „მზის“ ჟურნალისტებს, რომ არჩევანი ხალხის, სინდისის, კოლეგიალურობისა და პროფესიონალიზმის სასარგებლოდ გაეკეთებინათ, მიუკერძოებლად ემუშავათ. ლევან გაჩეჩილაძემ ამ ტელეკომპანიების ჟურნალისტებს თავისი ბრიფინგიც კი დაატოვებინა. ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა ამ ტელეკომპანიებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისებთან მიტინგი ჩაატარეს მოთხოვნით, რომ მათ ტელეკომპანია „იმედისთვის“ სოლიდარობა გამოეცხადებინათ. 2008 წლის გაზაფხულზე გაერთიანებულმა ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა „რუსთავი-2“-სა და „მზეს“, ხოლო ზაფხულის მიწურულს სოზარ სუბარმა „რუსთავი-2“- ბრალი დასდო ეროვნებათშორის შუღლის გაღვივებაში. ამავე წლის სექტემბრი დასაწყისში „შავნაბადის“ ტერიტორიაზე შემთხვევითი ტყვიით გარდაიცვალა ტელეკომპანიის ოპერატორი გიორგი რამიშვილი, რაც ასევე ძალიან დიდ ეჭვს ბადებს. ჯერ ერთი ეს არ არის ისეთი ობიექტი, სადაც სამხედრო სწავლებები ტარდება. ასეც რომ ყოფილიყო, რა უნდოდა იქ კერძო ტელეკომპანიის ოპერატორს, ჟურნალისტები მხოლოდ ამ უწყების პრესსამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დაიშვებიან, თანაც უსაფრთხო ადგილზე.

**- ბატონო დავით, რას ემსახურება „რუსთავი-2“-ის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, ქონება წართმეულ ადამიანს სასამართლო დავის უფლება არ აქვს?**

- ეს ყველაფერი ხელოვნურად აგორდა, რომ გადაეფარათ თუნდაც „აბრეშუმის გზის“ გრანდიოზულ პროექტთან დაკავშირებით, თბილისში ჩატარებული ფორუმი. ყურადღება გადაეტანათ შუალედური არჩევნებიდან, რომელსაც ნაცმოძრაობამ და მისმა სატელიტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ეს არჩევნები რომ გაყალბდებოდა და პატრიოტთა ალიანსი პოზიცია არ დათმობდა, წინასწარ იცოდნენ. ირმა ინაშვილი და მისი მხარდამჭერები საშიმშილოდ რომ არ დამჯდარიყვნენ, შეიძლება „რუსთავი-2“-ის გარშემო „ვნებები“ უკვე ჩამცხრალი ყოფილიყო. არ უნდა ჩანდეს ქართველი ერის სრულიად სამართლიანი მოთხოვნა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით. კერძო დავაა და გაირჩეს სასამართლოში, რატომ აძლევენ ამხელა მნიშვნელობას მედიასაშუალებები და ხელისუფლება. სხვა მედიასაშუალებებს ასე რომ არ გაებუქებინათ, ქიბარ ხალვაშსა და ტელეკომპანიას შორის, უფრო ზუსტად სააკაშვილს დავა, ელაპარაკა რამდენიც უნდოდა „რუსთავი-2“-ს, ამ ურეიტინგო ტელევიზიის წიოკობას არავითარი რეზონანსი არ ექნებოდა. ამ ერთ ხმაში ჟრიამულს, ერთი ხელმძღვანელი ყავს. სრულიად ვეთანხმები ჟურნალის ვალერი კვარაცხელიას, რომ ტელევიზიები იარაღია, როგორც ვატყობ „რუსთავი-2“ არის ქართველი ხალხის ფსიქოლოგიურად განადგურების იარაღი. ადამიანურად ძალიან მეცოდება მოსამართლე თამაზ ურთმელიძე, ხომ ხედავთ როგორ უტევენ ტურებივით ყველა მხრიდან. რა უფლება ჰქონდათ რევაზ საყევარიშვილსა და დავით დვალს, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობას თვითნებურად აბარებდნენ ზაალ უდუმაშვილს. აქ ორი ვარიანტია, ან არაკაცები არიან, ანდა ვიღაცამ თითი დაუქნია და იძულებით ათქმევინა უარი დროებითი მმართველების მოვალეობის შესრულებაზე, ე.ი. მართულები არიან იმ ხალხისგან ვისაც საქართველოში მასობრივი ფსიქოზის, ისტერიის შექმნა უნდათ. ხელისუფლება კი თავს იკავებს, რადგან ის გარდამავალი ხელისუფლებაა და გამორიცხულია კონფლიქტებზე წავიდეს. ვერ უყურებთ რა ამბავშია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, მათი ელჩი, ევროპარლამენტარების გარკვეული ნაწილი და ყველა ჯურის საერთაშორისო ორგანიზაცია. აქ ერთი გამოსავალია, ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა. მოსამართლე აიძულეს თავისივე მიღებული განჩინება შეეცვალა“ თავისუფალი სიტყვია „დიდი დამცველი“ ნაპროკურორალი გვარამია მმართველის პოსტზე დაებრუნებინა. ჰოდა ფინანსური და სხვა სახის პასუხისმგებლობაც ამ ბატონმა აიღოს, დაფაროს საბიუჯეტო დავალიანება, იმედი მაქვს არ გაუჭირდება. **ხომ არ იცით სად წავიდა რამდენიმე თვის წინ ამერიკის მიერ მედიის განვითარებისთვის გადმორიცხული 40 მილიონი დოლარი, შემთხვევით „რუსთავი-2“-ისა და ე.წ. ელიტური „ენჯეოშნიკების“ ჟულაბაში ხომ არა?** ასე რომ, „გვარამია და კომპანია“ უსახსრობას ნამდვილად არ უჩივის.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია მსახიობი, პარლამენტარი სოსო ჯაჭვლიანი:**



# სოსო ჯაჭვლიანი:

# 75 წელი გავიდა მას შემდეგ და ებრაელებმა გერმანელებს ათიათასჯერ მოახდევინეს ბოდიში... ჩვენ, ქართველებს, რატომ არ გვაქვს უფლება, „ნაციონალებს“ პასუხი მოვთხოვოთ ჩადენილი დანაშაულობების გამო?!

**— სოსო, მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში ლექსად მითხარი: „კოაბიტაცია კვლავაც ნავარდობს, დემოკრატიის კარი ჩარაზეთ, ეს იმ „ბედნიერ“ დღეს გაუმარჯოს რომ დაგვჩინჩლავენ ამ ქვეყანაზე“. ის „ბედნიერი“ დღე ხომ არ დადგა უკვე?**

— ჩემი ინტერვიუ გაჟღენთილი იქნება სარკაზმით, ირონიითაც და რა თქმა უნდა, სერიოზულობით. იმიტომ, რომ ცხოვრება, ამ ელემენტების გარეშე, წარმოუდგენელია. ღმერთმა დაიფაროს ქართველი კაცი იუმორის გარეშე, ასე ხომ შეიძლება გული გასკდეს. მასმედიის ნებისმიერ საშუალებას პრესა იქნება, ინტერნეტ გამოცემა, თუ ტელევიზია, არსებობის უფლება აქვს — გინდ გადართე, გინდ გადმორთე. მაგრამ, აქვე, დაუწერელი მორალური კოდექსები არსებობს. ხომ ნახეთ, რა მოხდა საფრანგეთში. თურმე, სამამაულო ომის მერე, ასეთი მასშტაბური ტერაქტი არ განხორციელებულა. მოდი, ჩავეძიოთ მიზეზს, რატომ ხდება ყოველივე? ამიტომ, არსებობს დაუწერელი მორალური კოდექსები. შეიძლება იურიდიულად გამართული იყო, მაგრამ არსებობს რაღაც, რასაც არ უნდა შეეხო. თუ შეეხები და მერე რაღაც მოხდება, ეს ძალიან ცუდია. ყველას წინააღმდეგი ვარ, ვინც ამას აკეთებს. სხვაგვარად, ცხოვრების სინქრონი ირღვევა და როცა ეს ხდება იმ უბედურებაში შევდივართ, რაც საფრანგეთს დაემართა. ამის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, ნუ გავარჩევთ ვინ მართალია, ვინ მტყუანი, მთავარია ცუდი ამბები ხდება.

ახლა, რაც შეეხება კონკრეტულად „რუსთავი2“-ს — ეს არხი რომ დაიხუროს ყველაზე მაგრად შეიძლება სოსო ჯაჭვლიანი დაზარალდეს იმიტომ, რომ ეს ტელევიზია იმხელა უფასო რეკლამას მიკეთებს, მის დახურვას ვერ გადავიტან. თუნდაც „ქერის უბანი“ ავიღოთ რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი ვარ, პირიქით, ძალიან დიდი მადლობელი ვარ, რომ უფასო რეკლამას მიკეთებენ. რაც პარლამენტში შევედი, დავაკვირდი ერთ რამეს — რა ფორმით მუშაობს პრესა, ტელევიზია. ტენდენცია ასეთია: მათ მასებთან საუბრის უდიდესი ბერკეტი აქვთ და იცი, რა არის ყველაზე ცუდი? — როცა მასა შეცდომაში შეგყავს. ამას ადამიანები შესანიშნავად ხვდებიან. რას დავაკვირდი იცი? როცა ადამიანი სიმართლეს ამბობს, თუ ეს პრესას ან ტელევიზიას არ აწყობს, ეგრევე, ამ ადამიანის მარგინალიზაცია იწყება და საზოგადოებას ისე აწვდიან ინფორმაციას თითქოს ეს პირი თავის „რამაზე“ ვერ არის, ვერ აზროვნებს. როცა უმცირესობებზეა ლაპარაკი. მგონი, უმცირესობაში უკვე ჩემნაირები მოჰყვნენ. ვინმემ სადმე დაინახა, რომ ჩემნაირი ადამიანები ხალხს იარაღით დასდევდნენ, ან ცემდნენ, ან კლავდნენ? მე, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც საკუთარი აზრის გამოხატვა შეუძლია. არასოდეს გამომიხატავს აგრესია არც ხელის დარტყმით, არც თოფის სროლით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს სხვაგვარად წარმოაჩენენ, ისე როგორც მათ აწყობთ და არა ისე, როგორიც სიმართლეა. ისე წარმომაჩენენ, თითქოს, მე ვინმეს უნდა ვებრძოლო, თავში ჩავარტყა. ვის უნდა ვებრძოლო, სად უნდა ვებრძოლო?! რეზო გაბრიაძემ თავის პირველ ფილმზე, რომელიც „ნატვრის ხემდე“ გადაიღო („კავკასიური რომანი“) მე ამიყვანა ლიკა ქავჟარაძესთან ერთად, მთავარ როლებს ვთამაშობდით. იქაც იყო ისეთი ადამიანები, რაზეც ახლა ვსაუბრობ. ვინმეს სმენია, რომ სოსოს ეცემოს, ან თავში ჩაერტყას? ეს ყველაფერი რაც ახლა ხდება, თითიდან გამოწოვილია. ავიღოთ, თუნდაც „რუსთავი2“-თან დამოკიდებულებაში — ერთი ამბავი ატეხეს, გვხურავენო. ვინ ხურავს, რატომ ხურავს? ამ ისტერიკას ხომ უპასუხა ქიბარ ხალვაშმა — არავის არაფერს ვერჩი, არხის დახურვას არ ვაპირებო. მაგრამ ესენი იმდენად გაკოტრებულები, აღვირახსნილები არიან, იმ დონეზე გაიშიფრნენ, გათავხედდნენ, რომ უნდათ საქართველოში სისხლისღვრა გამოიწვიონ. ამას ვერ ეღირსებიან. სპეციალურად გაჰყვირიან გვხურავენო, რომ აქ სისხლის გუბეები დააყენონ, მაგრამ ტყუილად ცოდვილობენ, არაფერი გამოუვათ.

**— სოსო, როგორ ფიქრობ, რატომ მივედით ამ მდგომარეობამდე?**

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთ ამბავს გავიხსენებ: 2012 წლის 28 დეკემბერს, ამნისტიის მერე, ერთმა ჟურნალისტმა მკითხა — როგორ გრძნობთ თავს პარლამენტშიო? ვუპასუხე — იცით, რა, სასწრაფოდ არჩევნები უნდა ჩატარდესმეთქი. ამაზე, ჩემი თანაგუნდელები კინაღამ გაგიჟდნენ, რა დროს არჩევნებია ორი თვის წინ არ შემოვედით პარლამენტშიო. იცით, რატომ მოვითხოვე ორი თვის თავზე ვადამდელი არჩევნები? იმიტომ, რომ „ნაციონალებს“ 40% რეალურად, არ აუღიათ და არც ეკუთვნოდათ. მაშინ ეს რომ არ გავაპროტესტეთ, ხედავთ, ახლა სადამდე მივედით? — ნუგზარ წიკლაური გამოდის და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, „ნაციონალები“ ისე გათამამდნენ ეს მთავრობა არალეგიტიმურია, ხალხს არ აურჩევიაო გაიძახიან და ხელისუფლების შეცვლას ითხოვენ(!!!) ეს, გარკვეულწილად, ჩვენი ბრალია. „ქართულ ოცნებას“ იმოდენა შეცდომები გვაქვს დაშვებული, რომ „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“. ერთი შეცდომა უკვე გითხარით, ახლა, მეორეს გეტყვით, რაზეც ადრე პირველად „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ვისაუბრე. ნათქვამს ისევ გავიმეორებ, რადგან თქვენს გაზეთს განსაკუთრებული მკითხველი ჰყავს — ვიცე-სკიპერად გია ბარამიძე ყველაზე დიდი ქვორუმით ავირჩიეთ. იმის მაგივრად, რომ გვეთქვა, ეს კაცი მკვლელობაშია ეჭვმიტანილიო, თანამდებობა მივეცით, ესეც დავუთმეთ. მერე, სააკაშვილი პარლამენტის გახსნაზე და იქედან კინწისკვრით გამოგდების ნაცვლად, ზარ-ზეიმით მივიღეთ. არადა, პანღურით უნდა გამოგვეგდო, სწორი რეაქცია არ გავაკეთეთ. ყველაფერზე ვიძახეთ — ახლა არ გვინდა, ნუ ვიზამთ ამას, მერე ვქნათ, დასავლეთი გვიყურებსო. აი, შედეგი. 25 ათასი ფაილი, სადაც არნახული სისასტიკეა აღბეჭდილი, ყოველდღე უნდა გვეჩვენებინა. ფაშისტები საკონცენტრაციო ბანაკებში რომ აწამებდნენ, ამას ხომ დღემდე აჩვენებენ? დღემდე, ებრაელებმა გერმანელებს ათი ათასჯერ მოახდევინეს ბოდიში, მილიარდობით თანხებს დღემდე ახდევინებენ. ჩნდება კითხვა —ვინ არის ის ხალხი, ვინც „რუსთავი2“-ს ასე თავგამოდებით იცავს? ძალიან კარგად ვიცით ვინც არიან, საიდან არიან მოსყიდულები. ბოკერიას 21 მილიონი ჰქონდა ბიუჯეტი და მილიონობით თანხებს ვიღაც-ვიღაცებს აძლევდა.

**— სოსო, ახლა თქვი, იმის ძახილში არიქა, დასავლეთი გვიყურებსო, დღეს „ნაციონალები“ აქეთ ითხოვენ მთავრობის გადადგომას. დღეს უკვე ამერიკის, ევროკავშირის ელჩები თითს გვიქნევენ „რუსთავი2“-ის თემასთან დაკავშირებით...**

— ამერიკელებს და ევროპელებს მინდა ვკითხო — რატომ აკეთებთ ამას, თქვენ, ხმა უნდა ამოიღოთ, რათა ქართველ ხალხს თავი არ შეაზიზღოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა ურთიერთობა ევროპასთანაც, ამერიკასთანაც, რომელმაც უზარმაზარი თანხა მოგვცა, საქართველო შიმშილს გადაარჩინა. ხელისუფლება ამბობს, რომ „რუსთავი2“-ს არავინ ხურავს, ევროპა და ამერიკა კი მაინც ვუბრუნდეთ, როგორ არ უნდა გამიჩნდეს ეჭვი, როცა ირაკლი ბათიაშვილი ტელეფონით საუბრობდა და კვიციანს ამშვიდებდა სისხლისღვრა და უბედურება არ მოხდესო, ამის გამო დაიჭირეს. გურამ შარაძე ამოდენა ადამიანი, ერის კაცი გააქანეს და ციხეში ჩასვეს. ქართველ საზოგადოებას მოვუწოდებ — გამოფხიზლდით. ყველა ადამიანს ვინც დააშავა, კანონის ფარგლებში, პასუხი უნდა მოვთხოვოთ. ალბათ, გაჩნდება კითხვა — სოსო, რა კანონზე ლაპარაკობ, შენ არ ხარ იმ საკანონმდებლო ორგანოში, შენ არ გაქვს მათთან ურთიერთობაო? კოაბიტაციაზე და დემოკრატიაზე ლექსიც დავწერე, რაც შენ შეკითხვაში დამისვი. კოაბიტაციაში არავისთან არ ვარ, ეს აბსოლუტურად მიუღებელია, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს. მავანი წარსულის დავიწყებას გვთავაზობს, ნურას უკაცრავად. ნაცისტურმა გერმანიამ ებრაელებს უზარმაზარი ტკივილი მიაყენა, 70 წელია ამაზე მიდის საუბარი და მათ, ბოდიშებს დღემდე ახდევინებენ. დავიწყება მაინცდამაინც ქართველებზე უნდა გავრცელდეს? დასავლეთი იქნება, აზია, რუსეთი, აფრიკა თუ მარსი, ყველამ თავი დაგვანებოს, ჩვენს ქვეყანაში, ვინც დამნაშავეა, ყველა უნდა დაისაჯოს. ვინც გვეუბნება, დამნაშავე არ უნდა დავსაჯოთო, მას, საქართველოში, მუდმივი არეულობა შფოთავს. რატომ წარმოაჩენენ ასე მცდარად მოვლენებს? ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ეჭვი მიჩნდება, რომ საქართველოში სერიოზული სისხლისღვრის გამოწვევა უნდათ, მაგრამ ვერ მოესწრებიან.

**— ამას ეჭვი რად უნდა? ჩანაწერებში, რაც ვიხილეთ სააკაშვილი პირდაპირ საუბრობს გადატრიალებაზე.**



— დიახ და მეც სწორედ ეს მიკვირს, ამაზე რეაქცია რატომ არ აქვთ?! თუ ჩანაწერი დამონტაჟებული არაა და ავთენტურია, ამის ახსნას, გახსნას და დადგენას ხომ წამები უნდა. რატომ არ აკეთებენ ამაზე რეაქციას ევროპელები, ამერიკელები? ქართველი ხალხი ყველაზე ჭკვიანია. ჩვენი ხალხის მოტყუება ძალიან ადვილია, მიმნდობნი ვართ, მაგრამ დრო რომ გავა და მათი ტყუილები გამოაშკარავდება, მერე რას აპირებენ? ეს ხომ ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. გულწრფელად ვიძახი, რამდენიც უნდათ იმდენი მაღადავონ ნებისმიერმა ტელევიზიამ. მარტო მე მაღადავონ, მარტო მე მეკაიფონ, მარტო მე ვიყო ის როგორადაც ჩემს თავს საზოგადოებას წარუდგენენ, ოღონდ ამ ქვეყანას ეშველოს და მაშინ ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. შენთან საუბრისას რამდენჯერ მითქვამს: მე ვარ ადამიანი, რომელიც 24 საათი საკუთარ თავს დასცინის. სახლიდან რომ გამოვდივარ, მთელი დღე, ამ სოსოს დავსდევ და ვეკაიფები, ველადავები. ნეტა მარტო ეს იყოს პრობლემა და ქვეყანას ეშველოს. ჩანაწერებს დააწყობს. ადამიანმა საკუთარი თავი დაზარალებულის ადგილას უნდა დააყენოს და მაშინ აღარ ინავარდებს კოაბიტაცია და არც დემოკრატიის კარი ჩაირაზება. ასე, რომ ჩემზე ვერავინ იტყვის, მილიონი წელი „ნაციონალებთან“ კოაბიტაციაში არ შევსულვარ და არც შევალ. მაგრამ ერთი და ორი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ამიტომ, ახლა, რომ გელაპარაკები, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს — მეოთხე წელი დაიწყო და ყველას ვეკითხები თქვე კაი ადამიანებო, რატომ არ დაკითხულა დღემდე ბარამიძე?! არაა დამნაშავე? მაშინ გამოდი და თქვი, რომ დამნაშავე არაა. ვამბობ, დაკითხეთ-მეთქი, მეტი როგორღა ვთქვა. თქვენ გინდათ, რომ მუშტი-კრივი იყოს პარლამენტში?! ვთქვი ის, რაც ვთქვი. რა მიკვირს იცი, მაშინ როცა ამდენი პრობლემაა, დამნაშავეები დასასჯე-

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ტერორისტული ბუმერანგი ევროპას ხუთმაგი სალტოთი დაუბრუნდა

## ვიზიარებ ფრანგების მწუხარებას, რომელიც „ამერიკულმა დემოკრატიამ“ შვა...

დიახ, სხვაგვარად ვერ იტყვის პირუთვნელი კაცი, რადგან ჯერ კიდევ ამა წლის 14 ოქტომბრის „საერთო გაზეთი“ №31 (343) გამოქვეყნდა მცირე წერილი „ტერორისტული ბუმერანგი ევროპისთვის — აშშ-ის საჩუქარი ევროპას“ ფოტოებით, რომელზეც ასახულნი იყვნენ ის „ლტოლვილები“, რომელთაც FB-ის გასუფთავება მნიშვნელოვნად არ ჩათვალეს. ვიცავთ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ, აბა, გამეორებით დახედეთ დაინტერესებულმა პირებმა იმ ფოტოებს, რანაირად შეიძლებოდა ამგვარი წარსულის (თუ მყოფადის?) ადამიანების ევროპის (ან ნებისმიერი ქვეყნის თუ მხარის) შუაგულში გაშარავნება?

კაცმა ალალად რომ თქვას, ამ წერილში ის უბრალო „წინასწარმეტყველება“ ეწერა, რაც წერილის მიხედვით, ძალიან სწრაფად უნდა ასრულებულიყო და ასრულდა კიდეც — იმ დახოცილმა „უბრალო ადამიანებმა“ რა დააშავეს, თორემ...

ადვილია, ახლა საფრანგეთის დაზვერვას თუ კონტრდაზვერვას გადააბრალო მთელი ეს ტრაგედია, (რომელიც ძალიან მალე სტატისტიკად იქცევა!), მაგრამ წინმდევი მოვლენა-მოლაპარაკება-გეგმები დაავიწყდა ვინმეს?

უმარტივესი კითხვა, რომელიც იმთავითვე დაისვა — პლანეტის უმდიდრესი ქვეყნები: არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი, ქუვეითი (ან სხვა, ნებისმიერი) გარდა იმისა, რომ სირიის მეზობლები არიან გეოგრაფიულად, სხვა მხრივაც ახლობლები და თითქმის ერთნაირნი არიან კულტურული, რელიგიური და ა.შ თვალსაზრისით და რატომ, რატომ, უნდა შეიფაროს გაურკვეველი იდეურ-პოლიტიკურ-მენტალურ შემადგენლობის ხალხის მასა აბსულუტურად განსხვავებული ყოფა-ცხოვრებისა და მენტალობის ევროპამ და რა არა სამეზობლომ?

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო — ამბობენ ჩვენში. ნეტავ, რამდენი ურემი უნდა გაუბრუნდეს ბებერ ევროპას?

რა თქმა უნდა, არ დააყოვნა მარი ლე პენმა — ეს ქალი ყველაფერ ამას ორი-სამი წლის წლით ადრე ამბობდა... ამდენად, აღარავის გაუკვირდეს მომავალში მარი ლე პენის გამარჯვება არჩევნებში და „საერთო გაზეთის“ წინასწარმეტყველება 2-3 წლით ადრე! — კეთილ სურვილად ჩავთვალოთ, რომ მოსწყინდათ ჭკუასრულ ფრანგებს სხვის ჭკუაზე ბოდიალი...

მოდით, ვთქვათ ერთი — 1954 წლის შემდეგ საფრანგეთში პირველად გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა!

საფრანგეთი მიმზიდველი იყო ამ დღემდე და მიმზიდველი იქნება ყოველთვის, რადგან მსოფლიო კლასიკა-ქვეყნად არის აღიარებული, მაგრამ, აბა, ვნახოთ დანარჩენი მსოფლიო როგორ მოექცევა ხილულ მტერს?



დიდი ისტორიის მატარებელი საფრანგეთი ყოველმხრივ კლასიკა იყო. მტერთან სარეცელგაყოფილ ქალებსაც კი იმდენად განსხვავებულად მოექცა, მაინც კლასიკაში ჩაჯდა...

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მხოლოდ 25 000 ფრანგი პატრიოტი იბრძოდა, როცა ვერმახტის ჯარში 100 000 ფრანგი ჯარისკაცი მსახურობდა, მაგრამ როდესაც საფრანგეთი განთავისუფლდა, საფრანგეთის „საშინელ მტრებად“ ის ჯარისკაცები კი არ ჩათვალეს, რომლებიც მიზეზთა გამო ირიცხებოდნენ ვერმახტის ჯარში, არამედ ის ქალები, რომლებიც ფაშისტებთან საკუთარი ნებით ბოზობდნენ „კარგი ცხოვრების ნდომის“ საბაბით (სხვათაშორის, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა, ბევრად მარტივი ხდება საქმის არსის გააზრება!). ფრანგმა მამაკაცებმა გამოავლინეს ყველა მათგანი, გადაპარსეს თავი და ნახევრად შიშვლებს ან სრულიად შიშვლებს დაატარებდნენ ქუჩებში, აყრიდნენ ნაგავს, სხეულზე ახატავდნენ სვასტიკას, აგინებდნენ; ქალები — წყევლიდნენ, ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ, სილას აწნიდნენ... ვერ გაუძლო ბევრმა მათგანმა ამ დამცირებას და იქვე, ეიფორიაში მყოფი მოზეიმე ხალხის თვალწინ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე... — ეს იმ ფრანგი ხალხი ისტორიიდანაა, რომელსაც დღეს თავზე დაადუღეს დემოკრატიიის სახელით...

საქართველოს მუფთმა ბეგლარ ქაშიმაძემ მომხდარ საშინელებას მოკლედ გასცა პასუხი, რომ არც ერთ მორწმუნეს არ მოწონს როცა ამგვარ დანაშაულს ისლამის სახელით სჩადიან.

ღმერთო, დიდებულო! მხოლოდ ეს ორი სიტყვა ვიცი — „ალლაჰუ აქბარ!“ და მტრისას, ქართული მხ. ფილმის „პასპორტის“ პერსონაჟივით ავიბნიე. „ალლაჰუ აქბარ“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „ღმერთი მაღალია!“, მაგრამ ასი გამოკითხულიდან, ალბათ, ასივე იტყვის, რომ ეს არის მოწოდება დაიხოცონ ქრისტიანები...

მხოლოდ მცირედი საუნივერსიტეტო მიმოხილვით, ჩემი ლექტორის, ბატონი რეზო ყანდარელის მიერ მოწოდებული ცოდნით — არც ერთი რელიგია არ ქადაგებს ქალების, ბავშვების და უმწეო ადამიანების ხოცვას... მე თვით მაქვს წაკითხული ყურანი და მსგავსი არაფერი წერია. რატომ ურევს ვითომ ვიღაც უცნობი შეგნებულად ყველაფერს ყველაფერში და ასე ბრიყვულად უქანცურებს თავს ე.წ მსოფლიო ცივილიზაცია?

არა, უბრალოდ დაიბნევი ადამიანი — საფრანგეთი „ნატო-ს“ უსაფრთხოების ქვეშ არ არის? 1949 წელს ასე ვთქვათ, სხვებთან ერთად დამფუძნებელია იმ „ნატო-სი“, ახლა კი, რა ხდება?!

კაცმა რომ თქვას, არაფერი „განსაკუთრებული“, უბრალოდ — თუ აზიაში იხოცებიან მშვიდობიანი მოქალაქეები ცივილიზებული ე.წ. დასავლეთის საჰაერო თავდასხმებით, ეს დემოკრატიიისთვის ბრძოლაა, ხოლო თუ ცივილიზებულ ქვეყნებში მოხდება აღნიშული ქმედებისთვის შურისძიება — ეს ტერორიზმია; რას ვიზამთ, ვისაც დალაპარაკება შეუძლია, არ ალაპარაკებენ; ვისაც მოქმედება შეუძლია — ედავებიან, შენ რა გინდაო; არადა, უმარტივესად დევს ყველაფერი — მოკვდა დიდი ხმის წინ მკვდარი ბენ ლადენი და უნდა აღმოცენებულიყო „რაღაც“ ან „ვიღაც“ და აჰა, აღმოცენდა!

საინტერესოა, იმ ვიღაც შვიდ ტერორისტს რომ ეძებენ, იპოვნიან?

გამგებლობაშიო; არც ის უთქვამთ, სწორედ სირიაში და სწორედ ფრანგული ავიაცია რომ ყრიდა ბომბებს, იმის გამოძახილია ტერაქტები საფრანგეთშიო... ბევრ რამეს არ ამბობენ დღეს, მაგრამ იტყვიან ხვალ... იმასაც იტყვიან, რომ ევროპაში ლტოლვილების შესევა, მსოფლიოს „გადემოკრატება“ და „ჯიჰადის“ სახელით წარამარა სპეკულირებაც ერთი ძალის მიერ არის ორგანიზებული...

საინტერესოა, ე.წ მართვადი ქაოსის შექმნა ევროპაში, რაც ბუნებრივია, მომავალში ტერაქტების გახშირებაში გამოიხატება, ვის უნდა „აწყობდეს“? ახლა ის მომენტი უდგას ბებერ ევროპას, როცა ქართული ანდაზა ხმიანობს „ბებერი მოტ...ეს და კარი მოუხურესო“, ანუ, სანამ მთლად პარმალსმიღმა დარჩენილა, ბებერმა ევროპამ უნდა იმარჯვოს...




ჩვენთან, მაგალითად, 2012 წლამდე უცბად „იპოვნიდნენ“...

იყო იდეური მცდელობა, მაგრამ ვერ გამოება ეს საშინელი ტერაქტ-სერიები სისხლიან ტერორს ფრიად მოწადინებულ მარადიულ ბოროტად მხიარულ „შარლი ებდოს“, რადგან, სულაც მარტივზე იყო გათვლა ვიღაცის მხრიდან — ევროპის დათრგუნვა, სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი!...

უცბად, სავარაუდოდ, ეშმაკმაც რომ არ იცოდა და ე.წ უკრაინულმა ვიკილიქსმა (მითუმეტეს!), მეხივით გავარდა ამბავი — იტალიურმა სააგენტომ გამოაქვეყნა ფოტო, სადაც ასახულია მისტერ ჯონ მაკკეინი საიდუმლო შეხვედრაზე სირიელ ტერორისტებთან, ანუ „დემოკრატიულ ოპოზიციასთან“, „შარლი ებდო-ს“ ტერაქტამდე მცირე ხნით ადრე. სააგენტოს ინფორმაციით, წითელი რგოლით შემოხაზულია ტერაქტის მონაწილე პირი, რომელიც ამავდროულად პარიზში გამართული „მშვიდობის მარშის“ მონაწილეც იყო...

მარტივი „საწინასწარმეტყველოა“ რა აბრაკადადაბრას გამოავლენენ ახლა ბრძენი კაცები და ქალები და დაიწყებენ იმისთანას, მტრისას, მაგრამ მარტივად შევხედოთ, აბა, რა მოხდა და რა შეიძლება მოხდეს? ამას ხომ ვინმეს გაუქმებული ფილოსოფოსი ტვინი არ სჭირდება?

რუსეთზე ითქვა წიკვინში, თურმე ტერორისტებს რუსული „კალაშნიკოვები“ აქვთ, მაგრამ არავის უხსენებია, რომ „საიდანღაც გამოსვლებისას“ აშშ-ს არ გამოუტანია სამხედრო-საბრძოლო შეირაღება, ძვირი დაჯდებოდაო... არც ის უთქვამთ, რა განცხადება გააშანშალა იაპონური ავტომობილების მწარმოებელმა ფირმამ, რატომ და როგორ არის ჩვენი ფირმის მანქანები ტერორისტების

ხალხმა რა დააშავა, ხალხმა, თორემ სხვის ხუშტურეზე სიარულმა ასე იცის!...

ახლა, ნართაული გადმოგვკრეს, საქართველომ შესაძლოა სირიელი ლტოლვილები მიიღოს, რამდენიმე ადამიანი მაინცო! რაღაცის ასო-ცირებული წევრობის გამო კი არა, ისე, კეთილი ნების გამოხატულებადო; არა, განა ვალდებულია, მაგრამ მაინცო. ვეჟო, საკუთარ სამშობლოში საკუთარი დევნილებისთვის ვერ მიუხედია ამ 2/2კვმ-ზე დარჩენილ საქართველოს და კიდევ სირიელი და თანაც ტერორისტები ეჭირვება? იმ რეკლამისა არ იყოს, ამათ თავი შიგნიდან ხომ არ ეფხანებათ?

თუ დავუშვებთ, რომ „შარლი ებდო-ს“ ტრაგედია ყოფილა რეპეტიცია, ახლა, ეს ტერაქტები — გენერალური რეპეტიცია გამოდის, სპექტაკლიც უნდა შედგეს?

საბჭოთა დროს თქმა იყო ასეთი: — „ეს ჟურნალია, კინო მერე იქნებაო“, ვინ ელოდება „კინოს“? უფრო სწორად, ვის ინტერესებში კინოს ჩვენება?

გაურკვეველი მიზნის (ამჯერად მხოლოდ ასე ვთქვათ) მქონე ნახევარი მილიონი ჯანმრთელი და ბრძოლისუნარიანი ლტოლვილის მიშვება ნებისმიერ კონტინენტზე სარანჩაზე უარესია, არადა, თავის მხრივ, „დი-




8 gv.

# 75 წელი გავიდა მას შემდეგ და ებრაელებმა გერმანელებს ათიათასჯერ მოახდევინეს ბოდიში... ჩვენ, ქართველებს, რატომ არ გვაქვს უფლება, „ნაციონალებს“ პასუხი მოვთხოვოთ ჩადენილი დანაშაულობების გამო?!



**— სოსო, წელან „ქართული ოცნების“ შეცდომებზე ისაუბრე. 6 დეკემბერს „რესპუბლიკური პარტია“ ყრილობას მართავს და როგორც ამბობენ, იქ, გადაწყვეტენ დარჩებიან თუ გავლენ კოალიციიდან. ეს რას ნიშნავს?**

— ვინ რას და როგორ გადაწყვეტს, ეს ცალკეული კოალიციაში შემავალი პარტიების საქმეა, ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. ვინ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამაზე კომენტარს მერე გავაკეთებ. ღიად გეუბნები, ბევრი რამ არ მომწონს. იცი, რატომ არ მომწონს? — იმიტომ, რომ ტარანი თვლითაა. ახლა, ვიღაცა გამოხტება და დამიწყებს ლაპარაკს, პარლამენტში თურმე, ძალიან ბევრი მსახიობი, რეჟისორი და სპორტსმენიაო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „ენ-დი-აი“ ხომ არაა ჩემი მოგონილი? მათ აქვთ ჟურნალი, რის მიხედვითაც პარლამენტში 120 ეკონომისტი, სოციოლოგი და იურისტია, გესმის?! ვის ვეძახით ჩვენ პოლიტიკოსებს? რა რანგით ვაფასებთ პოლიტიკოსებს? 30 წელია მთელი საქართველო პოლიტიკაში არ ვართ? ამდენი წელია პოლიტიკაში ვართ ჩაფლული და საქართველოს გაბრწყინების გზას ჯერაც ვერ დავადექით. ჩემი აზრით, პარლამენტში, უპირველესად, ისეთი ადამიანები უნდა იყვნენ, რომელთაც ნამუსი და პატიოსნება არ დაუკარგავთ. ხშირად, დემოკრატიულ საზოგადოებასა და ევროპულ ღირებულებებზე ვლაპარაკობთ. ამ მხრივ, ველოსიპედი უკვე გამოგონებულია, მთავარია პოლიტიკური ნება და კანონების აღსრულება. პარლამენტს ისეთი ადამიანები სჭირდება, ვინც ამას ნამუსიერად, პატიოსნად გააკეთებს. ადამიანი როცა ილვიძებს და წესრიგდება, უკვე მსახიობობას იწყებს. პოლიტიკოსიდან დაწყებული დამლაგებლამდე დამთავრებული ყველა მსახიობი და ამ სამყაროში თავისი როლის შემსრულებელია. მაგრამ თუ როგორ ვასრულებთ ამ როლს, ამას საზოგადოება განსჯის. ყველაზე დიდი მსახიობი, ამ ცხრა წლის მანძილზე, მიხეილ სააკაშვილი იყო, რომელიც ამ „პროფესიას“ დღემდე აგრძელებს. პრეზიდენტი აღარაა და მაინც ცდილობს, როგორმე, ქვეყანას ავნოს. პარლამენტში აუცილებლად უნდა იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — იურისტები, ეკონომისტები და სხვა. მე არჩეული დეპუტატი ვარ, არავის დავუნიშნივარ. დრო რომ გავა გაირკვევა „ვმსახიობობდი“ თუ ქვეყანას ვემსახურებოდი. მსოფლიოში ხელოვნების წარმომადგენლების პოლიტიკური ღვაწლის უამრავი მაგალითი გვაქვს, მათ, ხალხმა ნდობის მანდატი მისცა. ჩვენ ხომ ნდობით, ავტორიტეტით აგვირჩიეს? ამაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, ივანიშვილისაა. მაგრამ როცა 26 მაისს დამიჭირეს და შიმშილობა გამოვაცხადე, მაშინ, განა ვმსახიობობდი? პარლამენტარობა მუდმივი ხომ არაა. მე უსერიოზულესი პროფესია მაქვს — ესაა ამირან ჯაჭვლიანის ოჯახიშვილობა. ასე, რომ თუ რამის კეთება გინდა, რამოდენიმე მსახიობი ხელს ვერ შეგიშლის. თუ მაინცდამაინც მუშაობაზე ვლაპარაკობთ, შემდეგს გეტყვით: მე არ ვიცოდი, ამას ორი წელი მიმალავდნენ ჩემი თანაგუნდელები, არადა, თურმე, „საერთაშორისო გამჭირვალობამ“ გამოკითხვა ჩაატარა რომელი დეპუტატი მუშაობს ადგილზე ყველაზე კარგად და ორი წელია პირველ ადგილს ვიკავებ. პარლამენტში შევდივარ და ერთი პარლამენტარი, ჩემი გუნდელი მეუბნება: სოსო გილოცავ. რას-მეთქი, გამიკვირდა. მეორე წელია მაჟორიტარ დეპუტატებში საუკეთესო მუშაობით პირველ ადგილზე გადიხარო? ამის შესახებ მხოლოდ ორი თვის წინ გავიგე. არ გაინტერესებს მეორე ადგილზე გასულ ზურაბ აბაშიძეს რამდენი წერილით ვუგებ? — 2500-ით. მე 5 ათასი წერილი მაქვს მიღებული და დამუშავებული. დანარჩენებს 100, 50 და ა.შ. გამოდის რომ 73 მაჟორიტარ დეპუტატში პირველ ადგილზე მე გავსულვარ. ასე, რომ თუ ვინმეს რამის კეთება უნდა, გააკეთოს, ხელს არავინ უშლის. ხომ გაგიგია — „პლოხომუ ტანცორუ იაიცი მეშალიო“. რაც შეეხება არჩევნებს, ჩემი აზრით, პარტია ცალკე უნდა იყრიდეს კენჭს და მერე შექმნან თუ უნდათ კოალიცია. თითოეულმა დამოუკიდებლად უნდა აჩვენოს რა შეუძლია და მერე პარლამენტში რომ შევა, ვისთანაც უნდა იმასთან შევიდეს კოალიციაში. თავიდანვე კოალიციით რომ შედიან პარლამენტში, ეს ჩემთვის უხერხულობას იწვევს. ყველაზე კარგი ის იქნება ყველამ ცალ-ცალკე იყაროს კენჭი და პარლამენტში რომ შევლენ მერე იქ გააკეთონ კოალიცია.

6 gv.

ლია და თავისი ადგილი აქვთ მისაჩენი, მავანი საღადაოდ იცლის. ღადავს კაცი არ მოუკლავს. „ევროპის რეკონსტრუქციის ბანკს“ ანუ იბიარდს მთელმა პარლამენტმა ხანგრძლივი დროით კაბინეტები დავუთმეთ და ვითომ, მე ეს არ ვიცოდი რა იყო? ხო, კარგი, არ ვიცი, დაე, ასე გეგონოთ, ილადავეთ ჩემზე, ოღონდ ქვეყანას უშველეთ. იმ დღესვე ხომ ავხსენი რა და როგორ იყო. მაგრამ აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული? ზუსტად ეგ უნდათ რომ გააკეთონ — აი, ნახე როგორი დეპუტატები არიან პარლამენტში, იბიარდი არ იციან რა არისო. ნახე როგორ აწვდიან ინფორმაციას? თანაც, სპეციალურად ხდება აქცენტების გადატანა. გამოვედი პარლამენტში და გავაკეთე განცხადება — „ამერიკა და ევროპა გვეუბნება რუსეთთან საერთო ენა გამონახეთ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, რაღაც ძალა ხელს გვიშლის და რუსეთთან არ გვალაპარაკებს-მეთქი. იგივეს გვეუბნება რუსეთი — საერთო ენა გამონახეთ აფხაზეთთან და ოსეთთან. ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ მათთან არავინ არ დაგვალაპარაკებს, ამიტომ, სასწრაფოდ, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღვადგინოთ. უკრაინა, რომელსაც სისხლისმღვრელი ბრძოლები აქვს, რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას ინარჩუნებს. ასევე, იქცევა გერმანია, იაპონია, ფინეთი. იგივეს, ჩვენ რატომ არ ვაკეთებთ-მეთქი?“ ამ განცხადების მერე, გამოდის ჩემი გუნდელი და ამბობს: სოსომ რუსეთთან შეერთების შესახებ განცხადება გააკეთაო. გესმის, რას ვამბობ? ანუ, ჩემი, მათი გუნდიდანაც რაღაც სერიოზული ძალები მუშაობენ, რომელთაც უნდათ ვინც სიმართლეს იტყვის გიჟად, დებილად მონათლონ. ვიყო დებილი, ვიყო გიჟი, ოღონდ ქვეყანას ეშველოს. ყველა ვინც ამ აზრს ასე ანვითარებს, მოღალატეა. ხო, არ ვიცი ხო, ილადავეთ ხო, რამდენიც გინდათ. „რუსთავი2“-მა იცი რა დონის რეკლამა გამიკეთა? — სამეგრელოდან სამი წლის ბავშვი ჩამოიყვანეს, ეკითხებიან ვის იცნობ პოლიტიკოსებსო — სოსო ჯაჭვლიანს და ბიძინა ივანიშვილსო, მეტი არავისო. ამაზე დიდი რეკლამა რა გინდა. ილადავეთ. ვინც ამ ღადავზე პირიქით მადლობა არ გითხრათ, იმის დედა და ყველაფერი... პირიქით, დიდი მადლობა.



**— ბოლოსკენ ისევ დემოკრატიას დავუბრუნდეთ. თორმეტმა არასამთავრობომ განაცხადა ივანიშვილი დემოკრატიას საფრთხეს უქმნისო. ამ არასამთავრობოებს ერთი არ წამოსცდებათ საააკაშვილი რომ რევოლუციებს გვიგეგმავს ეს უქმნის თუ არა საფრთხეს ქვეყანას?**

— არც წამოსცდებათ, ისინი ხომ მოსყიდულები არიან. ათასი უბედურება ხდება ქვეყანაში და ეგენი მარტო რაც თვითონ აინტერესებთ იმაზე შფოთავენ. შეიძლება გაგიჟდეს კაცი ამათი უტიფრობით. კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო ცემაო, ასე გამოსდით. ბატონმა ბიძინამ უთხრა მათ, პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას თავი დაანებეთო. მაშინ, პოლიტიკაში ჩაერთონ. ამიტომ, ამ არასამთავრობოებმა კეთილი ინებონ და წესიერად ილაპარაკონ და არა მიხვეულ-მოხვეულად. ისინი ხომ ყველა ის სახეები არიან, რომელთაც დღს თუ ხვალ სხვადასხვა პარტიებში გაწევრიანებულებს ვიხილავთ. არასამთავრობო ხომ მათთვის ტრამპლინია პოლიტიკისკენ, რამდენზე და როგორ გადახტებიან ეს მათი ბეგრაუნდიდან გამოჩნდება. როგორც ესენი შფოთავენ, ისე შფოთავს მსოფლიოც და იმიტომ ვართ ამ უბედურებაში გახვეული. შფოთვა კი არ უნდა, სიმართლე და რეაგირებაა საჭირო.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

5 gv.

დი ჰუმანისტის“ სახელიც რომ უნდა იმ კონტინენტს? საინტერესოა, მიხვდება თუ ვერა საფრანგეთი, რომ ტერაქტი კი არა, მის წინააღმდეგ განხორციელდა სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედება, ანუ „შოკური თერაპია“ რომ ჩაუტარა „ვიღაცამ“? (სხვათა შორის, დიდმა ბრიტანეთმა თავშივე დააკვესა თვალები, ევროკავშირიდან გავალ თუ ეგ ლტოლვილები უნდა შემოვუშვაო, მაგრამ მათაც რომ „ბლომად აქვთ ნაჭამი“?)

ბევრი რამ შეიძლება ითქვას და ბევრს რასმე რამეზე, მაგრამ აბა, დღეს რა გვიდგას, ის ვიკითხოთ!

როცა კაცი, ე.წ ჭკუისსაკითხავი კითხვას ასე აყალიბებს“ — „რა გინდათ, ნატო-ს ჯარი შევიდეს 50 ტერორისტთან საომრად?“ — რა უნდა უპასუხო?

„ვიღაცამ“ შექმნა გეოგრაფიულად არარსებული ტერორისტული ქვეყანა „ისლამური სახელმწიფო“ ზე-შეიარაღებით, რომელსაც ნახევარი ტრილიონი დოლარი აქვს და კიდევ რამეა საკითხავ-გამოსაძიებელი? რა კარიკატურა, რა ჟურნალისტი! — ჭანჭიკები...

სხვათაშორის, ისიც გასაოცარი ამბავია, რომ მძევლების დახსნის ე.წ სპეცოპერაციაზე ფიქრის დროს 100-ზე მეტი ადამიანი შეიწირეს, კონკრეტულად ტერაქტების დროს დაღუპულებზე მეტი რაოდენობა — ამას ჰქვია პროფესიონალიზმი?

არადა, ხომ უმარტივესია, მას უნდა ახლევონო თავი საიქიოს კარიბჭეზე, ვინც ტერორიზმს აფინანსებს... და კიდევ, „შარლი ებდოს“ და მისთანებს...

გინდა თუ არ გინდა, მეხსიერების მქონე ადამიანს ნიუ-იორკის 11 სექტემბრის ტერაქტი გაგახსენდება — რა იყო ეს? დღემდე ხომ არ გახსნილა და ეს ხომ ის ფაქტია, რომელმაც აშშ-ს საშუალება მისცა მთელ მსოფლიოში ტერორიზმთან მებრძოლის მანტია მოესხა? და, რომ მოისხა, რა ქნა? — ერთი მეორის მიყოლებით ააალა მთელი აზია... და მხოლოდ აზია?



# ტერორისტული ბუმერანგი ევროპას ხუთმაგი სალტოთი დაუბრუნდა

აი, ასეთ ადამიანს როგორ უნდა აუხსნა, რომ ტიპიურისგან განსხვახებული იდიოტია?

ღმერთო დიდებულო!!!!

როდესაც იტალიური საინფორმაციო სააგენტო აქვეყნებს „დიდი ჯეკ მაუსის“, იგივე სენატორ ჯონ მაკ-კეინის (საბჭოთა აგენტურის თანამშრომელი, პროფესიით სამხედრო მფრინავი „ჯეკ-მაუსი“) საიდუმლო შეხვედრას სირიელებთან, ანუ ე.წ „დემოკრატიულ ოპოზიციასათან“ (აღნიშნული მასალა გამოქვეყნებულია ე.წ „შარლი ებდომდე“ ცოტა ხნით ადრე), ცოტა არ იყოს, დაიბნევი ბრინჯივით...

ადამიანთა ჯგუფი პირდაპირ უკავშირებს ამ საშინელ ტერაქტებს პარიზში „შარლი ებდოს“, მითუმეტეს, რომ ანონსია — კარიკატურები იქნება ამ დღეზეო და თვლიან, რომ „შარლი ებდოები“ მხოლოდ ის უსულო თოჯინები არიან, როცა საჭიროების შემთხვევაში უცბად გარდაიქმნებიან წარმოუდგენელ საშინელებად. მოკლედ რომ ვთქვათ, რეზიუმე ასეთია: — ეს არის ერთი დიდი ქვეყნის მიერ მოწყობილი გაუთავებელი სისხლისღვრა დედამიწის მასშტაბით, იმ ქვეყნის მიერ, რომელთაც შექმნეს ბენ ლადენი (არა მხოლოდ ის) და მოაწყეს 11 სექტემბერიც... ქვეყანა, რომელიც დემოკრატიის სახელით ქმნის მსოფლიო სასაკლაოს...

პარიზში რაც მოხდა, ეს არის ენით გამოუთქმელი ურვა, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს წინაპირობა, ანუ რაღაც კულმინაციამდე უნდა მივიდეს ბოროტი (იშვიათად, მაგრამ ან კეთილი) ქმედება — აშშ შევიდა ერაყში, ლიბიაში, ავღანეთში, საქართველოში, უკრაინაში; ვერ შევიდა ირანში, მაგრამ შესვლას ცდილობს სირიაში და ატეხილია კაკაფონია დემოკრატიის სახელით, არადა, ზოგან „სანავთობე ომია“, ზოგან „გეოგრაფიული“ ან „ისე, პროსტო, გავლენის სფეროსთვის“...

უმარტივესია, სირიაზე ვინც წუხს, სირია სირიელებისგან კი არ უნდა დაცალოს, პირიქით, მშვიდობა უნდა დაამყაროს... ბოლო-ბოლო, სულაც არაა შენი საქმე რა ხდება სირიაში და იარაღით (და ფულით) არ უნდა ეხმარებოდე მარადიული ქაოსის მდგომარების შექმნას...



მძიმე მდგომარეობაა მსოფლიოში და მავანს ჰგონია, მხოლოდ საფრანგეთს აქვს სამძიმარი გამოსაცხადებელი...

**გიორგი ჩხეიძე**

# „სარკოფაგიდან დგება მუმია...“

„გია ხუხაშვილი, რომელიც უცებ გაქრა თვალსაწიერიდან და მთელი ორი თვე კაციშვილს არ დაულანდავს, უცებ გამოჩნდა თითქმის ყველა ტელეარხზე და ყველა გაზეთის ფურცლებზე – გულწრფელი აღსარების ხასიათზე დავდექი და ბოლომდე მინდა ყველაფერი ვთქვაო. თუმცა თუ გაბრიყვდები და ამ „გულწრფელ აღსარებებს“ ბოლომდე მოუსმენ ან წაიკითხავ, მიხვდები, რომ ხუხაშვილმა კიდევ ერთხელ გაგვაცურა და აღსარების ნაცვლად მიკიბულ-მოკიბული აბდაუბდა და ცუდად შენიღბული დემაგოგია შემოგვაჩეჩა. ერთმანეთს მიწყობილი ამ „აღსარებების“ სერიებიდან ვერაფერს გაიგებ – ვერ გაიგებ, სად იყო ხუხაშვილი ამ ორი თუ სამი თვის განმავლობაში, ვერ გაიგებ, რატომ დუმდა და რატომ არ ჩნდებოდა არსად, ვერ გაიგებ, რა იყო მისი მოულოდნელი გაუჩინარების მთავარი მიზეზი.

ერთადერთი, რაც ამ მრავალრიცხოვანი ინტერვიუებიდან შეიძლება გაიგო, ისასა, რომ ხუხაშვილს თურმე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, პოლიტიკიდან წავიდეს.

ვფიქრობთ, აქაც გვატყუებს ბატონი ხუხა – ის პოლიტიკიდან წასვლას იმიტომ აპირებს, რომ წინა კარებიდან გასული უკანა კარებიდან შემოვიდეს. ამის დასტურია ის, რაც მან ამ კარგად ორგანიზებული პიარაქციით გააკეთა. გია ხუხაშვილი ამ მასიური საინფორმაციო კონტრშეტევით ფაქტობრივად დაბრუნდა ახალ ამპლუაში, ახალი ფუნქციით და ახალი ამოცანებით. მან ამ თავისი მოულოდნელი გამოცხადებით, როგორც ჩანს, ვიღრაც-ვიღაცები გააფრთხილა, რომ ხმები მისი პოლიტიკური გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებული იყო.

ხუხაშვილის სარკოფაგიდან წამოდგომა, ალბათ, ბევრს არ გაუხარდება, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც თავის დროზე „ხუხა ფაშას“ კარზე ათენალამებდნენ, რომ მისთვის აღსარება ჩაებარებინათ და ზიარება მიეღოთ.

არ არის გამორიცხული, ბევრს ექცეს სანანებლად ხუხაშვილთან გამომჟღავნებული გულახდილობა და გულგახსნილობა, რადგან მაშინ განდობილი საიდუმლო შეიძლება კომპრომატად და სანტაჟის საგნად ექცეთ. არავინ იცის, რა სახიფათო მასალებითაა გამოტენილი ხუხაშვილის სკივრი, რომელსაც წინდახედული ხუხა „ქართული ოცნების“ კარზე „მღვდელმთავრად“ მუშაობისას, ალბათ, ახალ-ახალი დოკუმენტებით ავსებდა და შავი დღისთვის ინახავდა. ხუხაშვილმა, რომელიც მთელი ცხოვრება ყველა ხელისუფლების დერეფნებსა და ბნელ კუთხეებსი დაბორიალობდა, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იცის და თუ დასჭირდა, ამ ცოდნას სარფიანადაც გამოიყენებს.

მაინც, სად აპირებს „პოლიტიკიდან წასული“ ხუხაშვილი დაბანაკებას? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისიც სამოქალაქო სექტორში დადგამს თავის პატარა კარავს და ზედ ოსტაპ ბენდერის მსგავსად ასეთ აბრას მიაკრავს: „კომპანია რქები და ჩლიქები“, რაც იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ ქოხში წვრილფეხა და მსხვილფეხა ბიზნესმენთა წახერხილი რქების და წამტვრეული ჩლიქების უძვირფასესი კოლექციაა დასაწყობებული.

არც ისაა გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს ხუხაშვილი რომელიმე ახლად შექმნილი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის რიგებში ვიხილოთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხუხაშვილი არ დაიკარგება, რადგან მორალისაგან დაცლილ ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის იქნება დიდი მოთხოვნილება ხუხაშვილის ყაიდის ადამიანებზე.

ხუხაშვილი არ დაიკარგება, მაგრამ რა ეშველებათ იმ ადამიანებს, რომელთა რეპუტაცია და კარიერა, როგორც ამბობენ, ხუხაშვილის გველაძუობას შეეწირა. კოალიცია „ქართული ოცნების“ კულუარებიდან გამოსულ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, სწორედ გია ხუხაშვილი იყო ის კაცი, ვინც მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ეწეოდა კოალიციის ზოგიერთი წევრის, აგრეთვე რაღაცით მიუღებელი სხვა პიროვნებების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას და მიზნის მისაღწევად არაფერს არ თაკილობდა – არც ცილისწამებას, არც ჭორების შეთითხვნას, არც არარსებული „ფაქტების“ გამოგონებას.

ეს კაცი ავადაა და ფსიქიატრთან არის წასაყვანი, – თქვა ერთმა პიროვნებამ, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ხუხაშვილის გველაძუობის ამბები – მართალია, ის ხშირად იმეორებს, რომ ყველა უყვარს – ბიძინა ივანიშვილი უყვარს, ირაკლი ღარიბაშვილი უყვარს, მარგველაშვილი უყვარს, მაგრამ არ დაიჯეროთ ეს – მას სიყვარული არ შეუძლია. ის სიძულვილს და უნდობლობას თესავს ადამიანებში და ამას აკეთებს ისე, რომ თვითონ არ ჩანს. ის აჩრდილივითაა – თითის ანაბეჭდებს და ნაფეხურებს არ ტოვებს.

– მე არ მაქვს საქართველოში ბიზნესი, – თქვა ერთხელ ხუხაშვილმა, მაგრამ ის არ დაუზუსტებია, საქართველოში რომ არ აქვს ბიზნესი, სხვაგან სად აქვს? საზოგადოებამ უნდა იცოდეს ეს, თორემ შეიძლება ჩამოლაბორანტებული ხუხაშვილი კვლავ რომელიმე ხვრელიდან და ჭუჭრუტანიდან შემოჟონდეს და ისევ გააგრძელოს თავისი ძველი საქმიანობა – გარემოს მოწამვლა უცნობი ქიმიური შემადგენლობის შხამით“.

**მინაწერი**: ეს წერილი ერთი წლის წინათ დაიწერა, თუმცა გამოქვეყნებით არ გამოქვეყნებულა, ახლა კი იმიტომ გადავწყვიტეთ მისი დაბეჭდვა, რომ წერილში ნათქვამი ყველა „წინასწარმეტყველება“ ზედმიწევნით ზუსტად ახდა.



გია ხუხაშვილი, რომელიც იფიცებოდა, ამიერიდან ჩემი ფეხი არ იქნება პოლიტიკაშიო, ისევ შემოილანდა ქართული პოლიტიკის ორღობეებში და პარვა-პარვით თავისი ძველი მეგობრის, გიორგი მარგველაშვილის „პოლიტქოხისკენ“ გასწია.







სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ როგორც ამბობენ, სწორედ გია ხუხაშვილი იყო ის კაცი, ვინც ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტობის ყველასე საუკეთესო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი შესთავაზა.



შეთავაზება კი ისეთი იცის ხუხაშვილმა, კაცს თუ შეუჩნდა, პირდაპირ ვენაში შედის ბადაგად და ფიანდაზად.

იმდენი ეჩიჩინა თურმე ხუხაშვილი ივანიშვილს, იმდენი ეპითეტი დაუხვავა წინ მარგველაშვილის განსადიდებლად, რომ ბოლოსდაბოლოს თავისას მიაღწია.

მხოლოდ მარგველაშვილით არ მთავრდება ხუხაშვილის დანატოვარი მემკვიდრეობა – მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ხუხაშვილმა, თავისი აღზევების პერიოდში, მოასწრო და სხვადასხვა სტრუქტურებში თავისი კადრები „ჩანერგა“, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ საპასუხისმგებლო პოსტებს და არც თავის კეთილისმყოფელს ტოვებენ უყურადღებოდ...

წესით და რიგით, ხუხაშვილის მადლიერი ბევრი უნდა იყოს, თუმცა მათ შორის განსაკუთრებით მადლიერი ალბათ დავით კეზერაშვილია, რომლის „პიქსელშიც“ კარგა ხანს იყო დაბრძანებული „მეჭურჭლეთუხუცესი“ ხუხა, საიდანაც ნაირ-ნაირ ფირმანებს გასცემდა.

მიუხედავად ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა არაერთი მცდელობისა, როგორმე გაერკვიათ, რატომ იჯდა ათასგვარ კორუფციასა და მაქინაციებში ეჭვმიტანილი კეზერაშვილის შენობაში ბიზნესგარემოს გასაწმენდგასასუფთავებლად და ბიზნესმენთა დასახმარებლად გამწესებული ხუხაშვილი, პასუხი არ ჩანდა.

ხუხაშვილი არც იმაზე აკეთებდა კომენტარებს, თუ რას ფიქრობდა და რა შეხედულებისა იყო კეზერაშვილზე და რამდენად შეესაბამებოდა რეალობას ხმები მისი დანაშაულებრივი და კორუფციული საქმიანობის შესახებ.

ხუხაშვილმა მხოლოდ მაშინ ამოიდგა ენა და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო კეზერაშვილის „მხილება“, როცა კეზერაშვილის თვითმფრინავმა უკვე ისრაელის ცის ლაჟვარდებში შეცურა და ამიერიდან უკან მიდევნებული ლამპარივით დადევნებული ხუხაშვილის ქოქოლა ვერაფერს დააკლებდა.

ასეა თუ ისეა, ხუხაშვილი, ეს უკვე მერამდენედ, დაბრუნდა, მის დაბრუნებას კი ყოველთვის უსიამოვნო ამბები მოჰყვება კვაკლდაკვალ.

ხუხაშვილი დაბრუნდა – ეს კი იმის ნიშანია, რომ ქართულ პოლიტიკაში შეიძლება ამინდი აირიოს...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# მენგელეს X ადამიანი ელისო კილაძე „ტყუპების სოფლიდან“

„ქრონიკა+“-ის რედაქტორმა ელისო კილაძემ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და „ნაცმოძრაობის“ აქტიურ მხარდამჭერად და მისი შავ-ბნელი საქმეების „გამპრავებლად“ მოგვევლინა.

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ელისო კილაძე, რომელიც ერთი პერიოდი „ქართული ოცნების“ ერთგულ მოკავშირედ ასაღებდა თავს, სწორედ რომ „ნაციონალების“ ფარული მოკავშირე იყო და მათ დავალებებს ასრულებდა და ასრულებს დღემდე.



საზოგადოება აღშფოთებას ვერ მალავს ეკა კვესიტაძის გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ პატიმართა წამების, გაუპატიურების და არაადამიანური მოპყრობის ცნობილი ფაქტების ყალბ და დადგმულ სპექტაკლად გამოცხადების გამო, მაგრამ ბევრს რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება ამ გადაცემის მთავარი გმირი, მთავარი წყარო **ელისო კილაძე,** რომლის მიერ მოწოდებულ მასალებზეა აგებული მთელი ეს გადაცემა.

რა მასალებია ეს და რის დამტკიცებას ცდილობს ქ-ნი ელისო ამ მასალებით?

თურმე ნუ იტყვით და პატიმართა სადისტური წამების და გაუპატიურების თავზარდამცემი ფაქტები მოგონილი ყოფილა და ყოველივე ამას **ლადო ბედუკაძე** დგამდა ბიძინა ივანიშვილის დაკვეთით.

„განსხვავებული აქცენტების“ ეთერში გასვლის შემდეგ **მიხეილ სააკაშვილი** ოდესიდან შემოეხმიანა საქართველოს და გაბადრული სახით გვამცნო: — ხომ ხედავთ, ტყუილს რომ გვიგონებდნენ და პატიმართა წამების და გაუპატიურების ამბები ცილისწამება რომ იყოო?

აი, რა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქ-ნი ელისო „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ რეჟიმს და მაინც თავმდაბლობს: — მე რა შუაში ვაროო?

შუაში კი არა თავში იყავით თქვენ ყოველთვის, ქალბატონო ელისო, თავში იყავით და თავგზას უბნევდით „ქართული ოცნების“ მესვეურებსა და მთელ საზოგადოებას, მაშინაც, როცა ვითომ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილ აგენტებს „ამხელდით“ და მათი აგენტობის დამადასტურებელ „დოკუმენტებს ბეჭდავდით თქვენს გაზეთში.

მაშინ არავის უკითხავს თქვენთვის, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო თქვენს ხელთ აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები (თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობდა ბუნებაში), რომლებიც, წესით და რიგით, სახელმწიფო სტრუქტურების სეიფებში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი?

არც ის უკითხავთ თქვენთვის, ვინ გაწვდიდათ იმ მასალებს, რომლებიც გასაჯაროებას არ ექვემდებარებოდა?

დღემდე უცნობია საზოგადოებისთვის, ვინ გავალებდათ სხვადასხვა ცრუ ინფორმაციების და „წინასწარმეტყველებების“ გავრცელებას კონკრეტულად **ბიძინა ივანიშვილზე,** რომელიც ერთიორჯერ სიკვდილსაც კი „გადაარჩინეთ“ თურმე, თუმცა თქვენს მიედ „გადარჩენილ“ ადამიანს დღეს სხვა მეთოდებით ცდილობთ წყალი შეუყენოთ.

თქვენ საოცრად ჰგავხართ თქვენს მეგობრებს „ნაცმოძრაობიდან“ — მათსავით ისეთი სიცრუე შეიძლება დააბრეხვოთ, თვალსაც კი არ დაახამხამებთ, ისეთი სიბინძურეები შეგიძლიათ მოუგონოთ ადამიანებს, შუბლის ძარღვიც კი არ შეგიტოკდებათ.

თქვენ და „ნაციონალები“, როგორც ჩანს, ერთ „შკოლაში“ გადიოდით ტრენინგებს...

იმ ჩაკვარახჭინებულ-ჩამარყუჟებულ საქმეებს, რომლებსაც თქვენ წაღმა-უკუღმა ატრიალებთ, არ შეიძლება ერთი ადამიანი მოერიოს,



რაც გვაფიქრებინებს, რომ თქვენ ადამიანთა რაღაც ჯგუფთან ერთად მოქმედებთ და კარგად მოფიქრებული სქემით დიდ ფულს აკეთებთ.

არც ამაზე მოგდავებიათ ჯერჯერობით ვინმე, მაგრამ ტყუილად ხართ გათამამებული დაუსჯელობის სინდრომით — ყველაფერი მოგეკითხებათ, ყველა თქვენი ბნელი საიდუმლო გაიხსნება და საზოგადოება აუცილებლად იხილავს თქვენს ნამდვილ სახეს — საშიშს და სახიფათოს ქართული სახელმწიფოსთვის.

ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის უნდობლობის და შუღლის ჩამოგდება, ადამიანების დაპირისპირება, საზოგადოების რღვევა და გახლეჩა — აი, ეს არის თქვენი „ჟურნალისტური“ საქმიანობის მთავარი მიზანი, თუმცა არც ამის გამო გიგიათ ჯერჯერობით პასუხი.

მოვა ამის დრო, გარწმუნებთ, მალე მოვა, მანამდე კი **კოკა ყანდიაშვილის** სიტყვებს შევახსენებ მკითხველებს, რომლებიც მან თქვენი მისამართით ამასწინათ თქვა:

2012 წლის არჩევნები რომ არა, საქართველოს მოსახლეობას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ ეცოდინებოდა იმ X–ადამიანების სახელები და მათი „დამსახურება“ ქვეყნის, ერისა და ბერის წინაშე, რომელთაც სრულიად საქართველო გადაარჩინეს.

მართალია ეს X-ადამიანები, ექიმ მენგელეს ტყუპების სოფლიდან, ვერ არიან ისე ძლიერები, როგორც მენგელეს გაუხარდებოდა და ამიტომაც სრულყოფილად არ და ვერც ფლობენ უნარს, დააპროგრამონ სხვა ადამიანები და მიიღონ სასურველი შედეგი, მაგრამ მათ მაინც შეძლეს, ნახევრად განვითარებული X-ადამიანის შესაძლებლობის პირობებში მიექციათ საზოგადოების ყურადღება, რაშიც დიდი წვლილი განვლილ 9-წლიან რეჟიმს და მის ბელადებს მიუძღვით.

ელისო კილაძე მენგელეს X-ადამიანების განუვითარებელი შედეგი, განუვითარებლებს შორის შედარებით „ნიჭიერი“ ქალია. მან ძალიან კარგად იცის, როდის ვის კარზე იმსახუროს, როგორ არიოს სიტუაცია, როგორ იტივტივოს და საჭირო დროს წამებულის იმიჯით, როგორ მიატოვოს არასასურველი გარემო. მაგალითისთვის გუბერნატორ **კაკო ბობოხიძესთან** მისი სამსახურიც გამოდგება, თუმცა, ბობოხიძემდე ელისო კილაძე ედპ-ს რიგებში ტრიალებდა და იმ პერიოდში ედპ-ს რიგებში მყოფ პარტიულებს ძალიან კარგად ახსოვს, **გია ჭანტურიამ** ვინ მიავლინა ქუთაისში დავალებით მოეშორებინათ „ეს ქალი ედპ-სთვის“. ისიც ყველას კარგად ახსოვს ვინ მფარველობდა ამ ქალს ედპ-ში და რატომ, მაგრამ ეს არ არის მთავარი და არც ის მენგელეს X-ადამიანი კილაძე როგორ მოხვდა **ბადრი პატარკაციშვილის** შტაბში და როგორ „დაალაგა“ იქ სიტუაცია, საინტერესო არც ისაა, როგორ და რატომ, ვისი რეკომენდაციით დაუახლოვდა მენგელეს X-ადამიანი კილაძე ბადრი პატარკაციშვილის შტაბს და არც ის, ბადრი პატარკაციშვილის დაუდგენელ ვითარებაში გარდაცვალების (მკვლელობის!!) მთავარ „შემოქმედს“ **ირაკლი კოდუას** ოჯახს, მთავარი ისაა რომ მენგელეს X-ადამიანი კილაძე 2012 წლის არჩევნების შემდეგ იქცა ახალ ჰიბრიდულ ზონდერ-ჟურნალისტად, რომელსაც ზურგს ის ადამიანი უმაგრებს (მამას ეძახის), რომელიც 9 აპრილის აქციის მონაწილეების დახვრეტის იდეის ავტორია!

მენგელეს X-ადამიანი კილაძე ტყუპების სოფლიდან, კარგა ხნის განმავლობაში ტრაბახობდა, რომ მან შეუნარჩუნა ქართულ პოლიტიკაში 2011 წელს შემოსულ ბიძინა ივანიშვილს სიცოცხლე. ეს მარაზმი კარგა ხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ივანიშვილის კითხვა, ვინაა ეს ქალიო...

კილაძეს ძალიან „გაუტყდა“ „უმადურობა“ და მარაზმატიკის ახალ განზომილებაში გადავიდა, ბიძინა ივანიშვილის მრჩევლად დაინიშნა თავი და „ჩიტის“ ყოველ „მოფრენაზე“ „ჩიტებს“ „ააფრენს“ ხოლმე: არიქა, ბიძინა ივანიშვილმა ჩემი რჩევა გაითვალისწინაო. რა თქმა უნდა, „ჩიტი“ საზოგადოებრივ საწყისებზე იძლევა რჩევებს და სულ არ ელოდება „მადლიანი რჩევების“ სანაცვლოდ სამაგიეროს, ის და მისი ოჯახი ხომ მთელი ცხოვრება საზოგადოებრივ საწყისებზე „მუშაობენ“. კილაძეს თუ დავუჯერებთ, მას არასდროს უთხოვია არც ერთი ხელისუფლებისათვის არაფერი, მაგრამ იყო პრეს-სამსახურის უფროსი ნაციონალების დროს (ახლა ალბათ იტყვის, როცა დავინახე, რაც იყვნენ, წამოვედიო), ჰქონდა ჯართის ბიზნესი, იყო ინტრიგების დედადედოფალი (რასაც ქუთაისში ნებისმიერი გამვლელი რომ გააჩეროთ, გეტყვით), სხვადასხვა დროს ჰყავდა სხვადასხვა პოლიტიკოსი მეგობარი, რომლებსაც ვითარების მიხედვით იცვლიდა. მენგელეს X-ადამიან კილაძეს არასდროს არაფერი უთხოვია ხელისუფლებისათვის, პირიქით თავისი „ობიექტური ჩიტომანიით“ „ოცნებელების“ გალვიძებას შეაწყვეტა ნერვები, მაგრამ როცა მისი „გმირი“ ქმარი ერთხელ უკონკურსოდ დანიშნეს მომსახურეობის სააგენტოში, არ გაუპროტესტებია. „ღვთის წყალობად“ მიიჩნია როგორც ჩანს, სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ისევ რომ დანიშნეს, ისევ უკონკურსოდ, არც ეს გაუპროტესტებია. ეკუთვნოდა და იმიტომ! ნატანჯი ოჯახი ჰყავს, არასდროს უღალატიათ პრინციპებისთვის, ამიტომ ეკუთვნით და ერგებათ... გაზეთში დაწერა: დიახაც, კონვერტით ვურიგებ ჟურნალისტებს ფულსო და ფინანსური პოლიცია არც დაინტერესებულა, შემთხვევით ბიუჯეტს გადასახადებს ხომ არ უმალავსო. კი, გაზეთის 500 ეგზემპლარი, შეიძლება არ ექვემდებარება გადასახადებს, მაგრამ განა რა შემოსავალი აქვს მცირეტირაჟიან გაზეთს ამდენი, „ყველაზე მაღალანაზღაურებადი რედაქცია“ რომ არის? საიდან მოდის ფინანსები, „ჩიტებს“ მოაქვთ, „ყვავებს“ თუ „გადაყვავებულებს“? რამდენი მამა და მამინაცვალი ჰყავს მენგელეს X-ადამიან კილაძეს?

არის ასეთი პროგრამირება - თეტა-პროგრამირება, რომელიც მიმართულია ზებუნებრივი უნარების შექმნისკენ, როგორიცაა, მაგალითად, ტელეპატია. ეს ავატარი ჩვეულებრივ გამოიყენება X ადამიანების მიერ, რათა უპირატესობა ჰქონდეთ მაგრამ, რადგან ადამიანები შეზღუდულნი არიან უნარებში, განსაკუთრებით კი ზებუნებრივში, მ„-ულტრა-ს ადეპტები დასაპროგრამებელ პაციენტებს უნერგავდნენ ბიოსამედიცინო ტელემეტრიულ მოწყობილობებს (ტვინის იმპლანტები, მიკროტალღური გამოსხივების დასამიზნებელი ლაზერები და სხვა). საქმე ისაა, რომ კილაძე ამ პროგრამის უნიჭო გამოხატულებაცაა...

შავ მაგიას თავი დავანებოთ და რეალობას დავუბრუნდეთ: ივანიშვილთან მისასვლელი ყველა გზა როცა მოეჭრა, კილაძე ახალ ეტაპზე გადავიდა და გაქაფული ცდილობდა, წარსულში არაერთხელ გამოყენებული მეთოდით გზიდან ჩამოეშორებინა მოწინააღმდეგენი, რისთვისაც მოდაში შემოსული სოციალური ქსელი ფეისბუქი გამოიყენა. მან ფეისბუქში შექმნა ე.წ. ტროლები და სამიზნედ ამოირჩია ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელიც იძულებული გახდა, ფეისბუქის საკუთარ გვერდზე 2011 წლის 26 თებერვალს ზონდერ-ჟურნალისტ კილაძისთვის პოსტი მიეძღვნა:

„ფეისბუქელები“ უდაოდ შეაწუხა იმ ლანძღვა-გინებამ, რომელსაც ქალბატონი ლევან კვარაცხელია, იგივე ბატონი ელისო კილაძე ასე უხვად აფრქვევენ ჩემი მისამართით. ბევრი ვერ გაერკვა, რა ხდება და მეკითხება, — რაშია საქმე. საქმე იმაშია, რომ ქალბატონი ელისო კილაძე გახლავთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ფარული თანამშრომელი და მისი კოდური სახელია „ნუკრი“. „ობიექტივმა“ კილაძე დაახლოებით სამი კვირის წინ ამხილა გაზეთ „ქრონიკაში“. ქალბატონი ნუკრი შემოგზავნილია ოპოზიციაში. კერძოდ, რუსული ორიენტაციის არასამთავრობო ორ-

განიზაციაში, რომელიც „თავისუფალი აზრის სახლის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ჩვენი „გმირი“ ამ დაწესებულებაში სიამოვნებით იღებს რუსულ ხელფასს და „თასის“ ტრიბუნიდან ოპოზიციის “ლუსტრაციას” ეწევა. სინამდვილეში კი, ქალბატონი კილაძე, ცილს სწამებს ოპოზიციის სხვადასხვა ლიდერებს, მონაწილეობს სხვადასხვა სახის პროვოკაციებში. სწორედ ამ ადამიანების ინსპირირებულია ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის სკანდალი და მის შესახებ ჩვენ „ქრონიკაში“ ვწერდით. ვის არ დაეტაკა ქალბატონი „ნუკრი“... თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენელს. მათ შორის, ერთმანეთის კონკურენტებს. რა არ დააბრალა... ტრაგედიაა, როდესაც კუდის თანამშრომელი ელისო კილაძე ადამიანებს ვანოს აგენტობაში აქეთ ადანაშაულებს... ტრაგედიაა, როცა რუსულ ხელფასზე მყოფი „ნუკრი“ რუსეთის აგენტობას გაბრალებს... ტრაგედიაა, როცა ელისო, იგივე ნუკრი, პროფესიითა და მოწოდებით „სტუკაჩი“ და „ჩამშვები“ შენზე ამბობს,- ჩამშვებიაო... და ტრაგედიაა, როცა სულითა და ხორცით კახპა- ელისო, იგივე ლევანი, უწესობაში გადანაშაულებს, ანუ წესიერებაზე ის ადამიანი გელაპარაკება, რომლის ქუთაისური ფათერაკებიც არავისთვისაა საიდუმლო. მოკლედ, სააკაშვილის მეხოტბე და გუბერნატორ ბობოხიძის ხელის გოგო (კილაძის საყვარელი ტერმინი!) უმწიკვლო ოპოზიციონერად მოგვევლინა. ჰოდა, „ობიექტივის“ მიერ მხილებულმა, გაწბილებულმა და დამაცხებულმა ელისომ, რომელიც საჯაროდ გვაფურთხებდა, ჯერ ჩუმად შემომითვალა,- თავი დამანებე და მეც გავჩუმდებიო, მერე „ფეისბუქშიც“ მომწერა (ოღონდ ისე, რომ 10 კაცზე მეტს არ წაეკითხა),- სხვების გამო ჩავები ამ ბრძოლაში. შევწყვეტ ბრძოლას, ოღონდაც თავი დამანებეთო. აკვირდებით, აზროვნების რა სიმახინჯესთან გვაქვს საქმე?!... ადამიანი საჯაროდ გლანძღავს, ცილს გწამებს, უდანაშაულოს - გაფურთხებს, ბინძურ ტყუილს ჰყვება შენზე და მერე ჩუმად გეუბნება, - აღარ გვინდა ჩხუბი, ერთმანეთს ნუღარ დავარტყამთ, რაც ცილი გწამე, მიგეწებოს და ამით იცხოვრეო... ცხადია, არავითარი გარიგება კუდთან და კილაძესთან არ შედგება. მათი მხილების პროცესი გაგრძელდება. გაწბილებულმა და გამჟღავნებულმა ქალბატონმა ელისომ კი, ცილისწამების ახალ, გაცილებით ბინძურ ფორმებს მიმართა - პირად შეურაცხყოფაზე გადავიდა. ახალი ავატარი - ლევან კვარაცხელია შექმნა და მისი პირიდან ყოველგვარ სიბინძურეს აფრქვევს. ორ კომპიუტერთან ერთდროულად ზის. თან ჩვენ გვლანძღავს, თან, - საკუთარი ავატარის ლანძღვა-გინებას კომენტარს უკეთებს... ეშხში რომ შედის, ავიწყდება, რომ ლევანი კაცია (უფრო სწორად, - არაკაცი)... სქესი ერევა და, როგორც მანდილოსანი, ისე გვესაუბრება. მოკლედ, ვფიქრობ, ყველასთვის ყველაფერი გასაგებია... მაგრამ უნდა ვუთხრა ბატონ ელისო კილაძეს, იგივე ქალბატონ ლევან კვარაცხელიას, იგივე კუდის თანამშრომელ ნუკრის, რომ მიხეილ სააკაშვილის ბანდას მალე ჩამოვართმევთ მიტაცებულ ხელისუფლებას და შენ და შენი ხელმძღვანელობა სწორედ იმ საკნებში აღმოჩნდებით, სადაც ახლა ჩვენი ძმები გყავთ გამომწყვდეული. მერე კი იკბენთ გველის ენაზე, მაგრამ გვიან იქნება. გეუბნებით: ცილისმწამებელო ეშმაკიშვილებო, თქვენთვის ღვთის რისხვის დრო დგება! ახლა საზოგადოების ყურადღება მინდა ახალ პროვოკაციაზე გავამახვილო, რომელსაც კუდი ბატონი ლევანის, გნებავთ, ქალბატონი ელისოს პირით უკვე ახმოვანებს. ალბათ, გახსოვთ, 2009 წლის მასობრივი მიტინგების პერიოდში რა შავი ფიარი აუგორა ხელისუფლებამ **ბადრი ბიწაძეს**. გაიხსენეთ ტელესიუჟეტები, ბიწაძეს ხან ხელკეტიან კრიმინალად, ხან-ნარკომანად, ხან- ქუჩის საკნებში შეყუჟული ვითომ ნარკომანების მფარველად წარმოგვიდგენდნენ... საერთოდ, კოკაინზე მჯდომი დიქტატორი, ნარკომანიის მოტივით, ხალხს ციხეში რომ სვამს, ამ უბედურებას უკვე შევეჩვიეთ. ახლა ახალ სერიას ვუყურებთ: საერთაშორისო ნარკოკარტელის პარტნიორი რეჟიმი ცდილობს ნარკოდილერის იარლიყი ოპოზიციას მიაკეროს. ბადრი ბიწაძე კვლავ კუდის მიზანშია! მას ახლა ,როგორც საზღვრის დაცვის ექს-ხელმძღვანელს, ნარკოგადამზიდავების მფარველობაში დაადანაშაულებენ. ამ სპეც-ოპერაციაში ქალბატონი ელისო, იგივე ნუკრიც მიიღებს მონაწილეობას. სხვა ფსევდო-ჟურნალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას. გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი სიბინძურე ოპოზიციის სხვა ლიდერებსაც დააბრალონ... მაგრამ სპეც-ოპერაციის ყველა მონაწილეს უნდა ახსოვდეს, რომ თითოეულ ცილისწამებაზე და უსინდისო ბრალდებაზე მათ პასუხისგება მოუწევთ“.

თავს არ შეგაწყენთ იმით თუ როგორ ცდილობდა კვარაცხელია კილაძისა დაემტკიცებინა, რომ ის კაცია და არა ქალი, მაგრამ ამ „აურზაურიდან სალხინეთში“ არც თუ ისე დიდი დრო გავიდა და მენგელეს X-ადამიანი კილაძე ტყუპების სოფლიდან, იმ ტელეარხის ეთერში ვიხილეთ, რომლის მფლობელს და დამაარსებელს ასე უნამუსოდ წამებდა ცილს და ლან-



ძღავდა. ამ ფონზე სულაც არ მიკვირს, ჩემს მიმართ კილაძის აგრესია. მე კოდუების დანაშაულში ვამხელ, კილაძე კი ამ დანაშაულის გადაფარვას ცდილობს და ძალიან მეწყინებოდა, მენგელეს X-ადამიანი კილაძეს ტყუპების სოფლიდან, ჩემს მიმართ სიმპატია გასჩენოდა!

სხვათა შორის, კილაძის მცდელობა უკურეაქციას იწვევს და ხალხს სწორედ იმ ადამიანების სჯერა, ვისაც კილაძე ტალახში სვრის! ამიტომაა რომ შხამი ტვინზე მოაწვა და ამიტომაა, რომ კედელ-კედელ დადის და თავს ურტყამს კლავიატურას!!!

დაბოლოს, არსებობს ასეთი პროგრამა ომეგა-პროგრამა - ალტერ-ეგო, რომელიც მიმართულია თვითგანადგურებისკენ, სუიციდისკენ, სუიციდალური ქმედებისკენ. ფრთხილად მენგელეს X-ადამიანო კილაძე ტყუპების სოფლიდან, ნერვებმა არ გიმტყუნოს და ომეგა-პროგრამა არ ჩაგერთოს!!!

ნაციონალებმა ძალიან კარგად იციან სიტყვის ძალის ფასი და ამიტომ, როდესაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ ოპოზიციაში აღ-



მოჩნდნენ, ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნაბიჯი ე.წ. კოჰაბიტაცია გამოიყენეს საკუთარი პოლიტიკური გვამის გასაცოცხლებლად და რა თქმა უნდა, „საქმის აწყობა“ იმ ნაცადი გზით სცადეს, რაც ბელადმა მიხეილ სააკაშვილმა „დააგემოვნებინათ“ და „ანდერძად დაუტოვათ“. მაგრამ აქ იყო ერთი დიდი პრობლემა - ხალხმა ძალიან კარგად იცოდა რეალურად „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ და სხვა დანამატები, ვის დაკრულზე ცეკვავდნენ, ამიტომ საჭირო გახდა „ახალი სისხლი“ და... ასე დაიწყო „სამბა“!!

2012 წლის არჩევნების შემდეგ ჟურნალისტური ცის კაბადონზე გამოჩნდა ვინმე ელისო კილაძე, რომელიც ცდილობს ქართულ ჟურნალისტიკაში დაამკვიდროს ჟურნალისტის ახალი ჰიბრიდი, რასაც ჯერ სახელი არ ჰქვია! ეს უსახელო ჰიბრიდი არის თავად ელისო კილაძე და მის ზურგს უკან მდგომი კოდუების კლანი! გვამების შემგროვებელი, ძებნილი ირაკლი კოდუას ცოლი შავ მუშებად, შავი საქმეების საკეთებლად იყენებს ელისო კილაძეს, ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე მას იყენებდა მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის ხელით, ელისო კილაძე თავის მხრივ იყენებს იმ ადამიანებს, ვისაც კომპრომატების გამოქვეყნებით აშანტაჟებს და არავინ ეკითხება კილაძეს საიდან აქვს მას ეს „სიტყვის ძალა“! **ელისო კილაძე** უტევს ყველას, ვინც მას გზაზე გადაეღობება! ასე მოხვდნენ მისი „გამჭრიახი თვალის“ სამიზნეში ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი, პოლიტიკოსები და თქვენ წარმოიდგინეთ, რიგითი ადამიანებიც კი. ელისო კილაძისათვის ვანო მერაბიშვილის აგენტია, ყველა, ვინც **ნანუკა ჟორჟოლიანისა** და **ირაკლი კოდუას** რეალურ სახეს საჯაროდ გმობს და ამ დროს ავიწყდება მისივე გაზეთში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ინტერვიუ, სადაც რესპონდენტი ამბობს როგორ შექმნა ვანო მერაბიშვილმა ერთი მედია-საშუალება კუდ-ის ბაზაზე და რომ ეს მედია-საშუალება „ღრმად დაშიფრული“ ბრძანებით აყვანილი იქნა შსს-ს კონტროლქვეშ! კილაძის „საქმიანობის“ მიხედვით, გასაკვირი არაა, რატომ მეგობრობს ის ვანო მერაბიშვილის დაფუძნებულ გამოცემასთან და რატომ ავიწყდება ამ შემთხვევაში ვანოს არსებობა! საქმე ისაა, რომ ვანო მერაბიშვილი არ მოწონს ირაკლი კოდუას, ამიტომ გახდა ელისო კილაძის სამიზნე მერაბიშვილი-მაისურაძისა!

რატომ დაავიწყდა ელისო კილაძეს ირაკლი კოდუას „საქმენი საგმირონი“? ბოლოს და ბოლოს, კილაძე ხომ „დისიდენტიც“ იყო და „იდევნებოდა“ ბადრი პატარკაციშვილის გამო და იმის გამო რომ ის პატარკაციშვილის პრეს-სამსახურის უფროსი იყო. როგორც თავად ამბობს, სწორედ ამიტომ იდევნებოდა და როგორ გავიგოთ ახლა კილაძეს მეხსიერებაში არსებული ჩავარდნა? როგორაა საქმე, მხოლოდ ბადრი პატარკაციშვილს უსწორებდა ანგარიშებს კოდუა და ბადრის გარემოცვასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა? მაშინ რა გამოდის? ელისო-ნუკრი ბადრისთან ჩანერგილი იყო თუ ბადრიმაც იცოდა რომ მტერი ჰყავდა პრეს-სამსახურის უფროსი და ამას გაგებით ეკიდებოდა? ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ბადრი პატარკაციშვილის შტაბის წევრები რას ლაპარაკობენ და რითი ხსნიან ოფისიდან ფულის გაქრობას, რითი ხსნიან ათასობით ადამიანის უხელფასოდ დარჩენას, ეს სხვა საკითხია, თუმცა აქ ძალიან საინტერესოა ერთი დეტალი: მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმი სასტიკად გაუსწორდა ბადრი პატარკაციშვილს, ადეიშვილმა არ გამოიყენა საქმის გასამყარებლად ადამიანების მოთხოვნა — გადაეხადათ მათთვის დაპირებული ხელფასი. არადა, ყველგან გაჟღერდა, რომ ბადრიმ ფული გადმორიცხა. შტაბის წევრებმა კი სხვადასხვა დროს მიცემულ ინტერვიუებში განაცხადეს, ფული ბადრის ოჯახმა წაიღოო. ამ საბანკო ოპერაციებითაც არავინ დაინტერესებულა და არც იმით, როგორ შეიძლებოდა ფული გამქრალიყო, თავად პატარკაციშვილის ოჯახმა კი მავანთა გამოხტომები ჩირადაც არ ჩააგდო. სწორედ ამით ისარგებლა კილაძემ და იმ ადამიანებმა, ვისაც ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ და საქმიდან თავი „კოხტად დაიძვრინეს“. კიდევ ვიმეორებ, ეს სხვა საკითხია, აქ მთავარი ახლა ამ მომენტში კილაძის „სახეცვლილებაა“. რატომ მხოლოდ კილაძე? ახლა ისაა კოდუას შავი მუშა და ის ცდილობს საზოგადოებაში დანერგოს ანტისახელმწიფოებრივი განწყობა! სწორედ ის და მისი წრე აკეთებს ყველაფერს, რომ ქვეყანა როგორმე მიიყვანოს 2003 წლის ნოემბრის მდგომარეობამდე, ოღონდ ახლა კილაძეს მისი დამფინანსებლებისაგან განსხვავებით, ხელში ვარდები არა, სხვა რამ უკავია და ეს სხვა ე.წ. კომპრომატებია, ის ჩანაწერები, რომელიც კოდუამ წაიღო ქვეყნიდან და რომელსაც ლუკმა-ლუკმა ისვრის ვითარების შესაბამისად, ვინ როდის და რა დოზით ამოიღებს ხმას. კილაძე იტყვის და სწორედ ის საიტი აიტაცებს პირველი „სკანდალს“, რომელიც თავის დროზე ვანო მერაბიშვილის ხელდასმით შეიქმნა და ამას მე არ ვამბობ, თავად კილაძის გაზეთში ეწერა! და თუ კილაძე იტყვის, რომ მას შეეძლო მასალა არ გაეშვა, მაშინ დახედოს გაზეთს, დახედოს თარიღს, მერე გულში ჩაიხედოს და გაიხსენოს როდიდან გახდა მისი დაქალი **ნანუკა ჟორჟოლიანი!**

კილაძე აცხადებს, რომ მისი რედაქცია (თავისსავე სტატიაში წერს) ჟურნალისტებს ყველაზე მაღალ ხელფასს უხდის. იურისტი კილაძე თავის სტატიაში ადასტურებს, რომ ჟურნალისტს (ერთს ადასტურებს, სხვასაც დაადასტურებს, იმედია) კონვერტით უხდიდა ხელფასს. სამართლებრივ ენაზე ამ აღებ-მიცემობას რა ჰქვია ყველამ ვიცით, მაგრამ ცოტა უცნაურია, რატომ არ დაინტერესდა არავინ ამ ფაქტით?!! ფაქტიურად გაზეთის რედაქტორი ადასტურებს, რომ სახელმწიფოს გადასახადს უმალავდა (თუნდაც ერთ შემთხვევაში) და მეტიც, მე, პირადად, გონივრული ეჭვის საფუძველზე ვამბობ, რომ კილაძე შავ ფულს ათეთრებს! ეს არაა დანაშაული? ბუნებრივია, დაისმება კითხვა - ვინ დგას კილაძის ზურგს უკან?! კილაძეს, ჩემი გონივრული ეჭვის საფუძველზე, ხალხში მოარული ხმების გათვალისწინებით, აფინანსებს კოდუას ოჯახი და ზურგს უმაგრებს, არც მეტი არც ნაკლები ერთი ძველი პარტიული მუშაკი, რომელსაც თურმე კილაძე „მამას“ და „მოხუცს“ ეძახის.

ცოტა ხნის წინ იმ ადამიანებმა, ვინც „მამას“ ძალიან კარგად იცნობენ თავისი წარსულითა და აწმყოთი, მითხრეს, რომ მალე „მოხუცი“ ახალ პარტიაში მოგვევლინება და ამ ახალი პარტიის წევრებიც ჩამომითვალეს. აი, ძალიან მაინტერესებს კილაძე ამ პარტიის ჩამოყალიბების შემდეგ როგორ ახსნის პუტინის ლანძღვას? როგორ ჩახედავს პუტინს ელისო თვალებში, როცა მისი „მოხუცი მამა“ სწორედაც რომ საკუთარი პოლიტიკური გვამის რეიკარნაციას პუტინისტებით შეეცდება!!

**მე ველოდები ჩემს გამოწვევაზე პასუხს ელისო კილაძისაგან: მოდიხარ თუ არა ელისო-ნუკრი შენი ოჯახის წევრებთან ერთად ნარკოლოგიურში, სადაც მე ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად დაგხვდები?!**

**ქეთი ზარნაძე**
599 52 60 30

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან**

**— მამა ბასილ, დიდი ხანი არ არის, რაც მძიმე ოპერაცია გადაიტანეთ. როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— სახელითა მამისათა და ძისა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

თქვენ მეტ-ნაკლებად იცით ჩემი განვლილი ცხოვრება, როგორ ვებრძოდი უსამართლობას,. როგორც მთავრობის წარმომადგენლებთან, ასევე საპატრიარქოს წიაღში მოკალათებულ უღირს სასულიერო პირებთან. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ბევრჯერ სცადეს ჩემი ლიკვიდაცია. რამდენიმეჯერ გატაცება, თავდასხმები, დევნილობაში გატარებული წლები, რაც მთავარია, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დროს ციხეში გატარებული 5 წელი. ყოველივე ამის ფონზე მართლაც სერიოზულად შემერყა ჯანმრთელობა, თუმცა მე ღმერთსა ვარ მინდობილი და ყოველ განსაცდელს ჩვეულებრივად ვხვდები. ამჯერად მართლაც ურთულესი ოპერაცია გადავიტანე. 3 ოქტომბერს ეკლესიის გუმბათის ხარაჩოზე მუშაობის დროს თავი შეუძლოდ ვიგრძენი. სასწრაფო გამოიძახეს, ხარაჩოებიდან ჩამომიყვანეს და მე-5 კლინიკურ საავადმყოფოში გადამიყვანეს. ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას გადავუხდი კარდიოლოგ **ვახტანგ თეთრაძეს** და პროფესორ **ნუგზარ ელიზბარაშვილს,** ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ქირურგს ბატონ **ლაშა ბასილაძეს**. მათი პროფესიონალიზმის წყალობით, მე კვლავ ფეხზე ვდგავარ. ვაგრძელებ მკურნალობას და შრომას.

უნდა გითხრათ, ბევრჯერ ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში, მაგრამ ამჯერად საქმე სხვაგვარად იყო. ოპერაციის შემდეგ კვლავ ნარკოზის ზემოქმედების ქვეშ ვიყავი. უცბათ ყრუდ ჩამესმა: „მამა ბასილი კვდება“, „ყველანი გარეთ გაიყვანეთ რეანიმაციული განყოფილებიდან“ (ალბათ, არ უნდოდათ, სხვას ეყურებინა ჩემი სიკვდილისთვის). შემდეგ ჩემი სული განშორდა სხეულს და ზემოდან დავყურებდი, როგორ დამტრიალებდნენ თავს ექიმები, რათა გადავერჩინეთ. ამ დროს დატრიალდა ნიავქარი, რომელსაც ავყავდი ზეცად, ვხედავდი ჩემს ირგვლივ მარმარილოს მსგავს ღრუბლებს, როგორც აშენებულ კედლებს. როცა ზეცაში ავედი, მოვხვდი ჩვენი ეკლესიის გუმბათის ხარაჩოებზე. შევხედე გუმბათს და ტირილი დავიწყე, რამეთუ ვუწყოდი, საქმის გამგრძელებელი არავინ იყო. ტირილსა და მოთქმაში ვიყავი, რომ უცებ კვლავ დატრიალდა ნიავი და დაბლა დავეშვი ჩემ სხეულთან, კვლავ ვუყურებდი, როგორ ფუსფუსებდნენ ექიმები ჩემი სხეულის გარშემო. მოხდა ისე, რაც ღმერთს ენება და აი, მე კვლავ თქვენთან ვარ.

**— მართლაც საოცარი ფაქტი მიამბეთ...**

**მამაო, საყოველთაოდ ცნობილია თქვენი მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ. დღეს როგორი დამოკიდებულება გაქვთ არსებული ხელისუფლების მიმართ?**

— ჩემი მრავალრიცხოვანი მრევლით არათუ მხარს ვუჭერდით „ქართულ ოცნებას“, არამედ 1000-მდე კაცი საარჩევნო შტაბებში მყავდა ჩართული, რათა ქართველთმოძულე სააკაშვილი მოგვეცილებინა. ქართველმა ერმა მართლაც სრული ნდობა გამოუცხადა მათ. მე, პირადად, ჩემი ინტერვიუებით ვაფრთხილებდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ვინმე სასულიერო პირი აეყვანა მრჩევლად, რომელიც დაეხმარებოდა განსაკუთრებით რთული საკითხების გადაწყვეტაში. ისეთი სასულიერო პირი, რომელიც ახლოს არის ხალხთან და ესმის მათი გულისტკივილი. მან ყურად არ იღო რჩევა და შეიძლება ითქვას, რესპუბლიკური პარტია გახდა მმართველი ძალა.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა თუ არა ჩვენი ეკლესიის დამრბევ რესპუბლიკელთა მიმართ, გიპასუხებთ: იმას, რასაც ღმერთი არ პატიობს უკეთურთა, მე, რომელმაც ჩემი ჯანმრთელობა მივუძღვენი სამართლიანობის აღდგენას, ვაპატიებ? სასჯელს მე კი არა უფალი მიაგებს თითოეულ ჩვენთაგანს დამსახურებისამებრ.

**— ახლახან მამა ბართლომემ (ფირცხალაიშვილმა) მიხეილ სააკაშვილი დაწყევლა. ეკლესიაში არიან მღვდლები, მღვდელმთავრები, რომლებიც პირიქით, ლოცავენ სააკაშვილს, როგორ უყურებთ ამ ფაქტს?**



# მამა ბასილ მკალავიშვილი:

# რატომ არავინ ასამართლებს ანტიქრისტეს მოციქულ სააკაშვილს იმ დანაშაულისთვის, რაც მან 2003 წელს ჩაიდინა – პარლამენტში შეიჭრა და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა?

— ჭეშმარიტ ღმრთის მსახურს უფალი ავალებს ღმრთის მგმობელი გადასცეს ანათემას. სასულიერო პირთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სახელმწიფოს მმართველ ამა თუ იმ პირთა მიმართ ყოველთვის იყო. ჩვენ კარგად ვიცით ის სასულიერო იერარქები სააკაშვილის კალთას შეფარებულნი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მასზე რომ ლოცულობდნენ. მე მათ მატერიალისტებს დავარქმევდი, რომლებიც მხოლოდ ფუფუნებაზე ფიქრობენ, რაც ყოვლად მიუღებელია ღვთის მსახურთაგან. ყველას გვახსოვს, ქართული ეკლესიის მესაჭე სააკაშვილს სახელოვან პრეზიდენტად მოიხსენიებდა.



ის სასულიერო პირნი, რომლებიც „ოცნებას“ უჭერდნენ მხარს, კერძოდ, ივანიშვილს, ნიშანდობლივია, რომ მათ, როგორც ერის უმეტეს ნაწილს, იმედი ჰქონდა 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის შეცვლისა. ის, ვინც ორივეს ლოცავენ, მე მათ მედროვეებს დავარქმევდი, რომლებიც ნებისმიერ მთავრობას უკმევენ გუნდრუკს. ეს მეტად უკიდურესი ფორმაა, რამეთუ ამ კატეგორიის პირთ, სამწუხაროდ, არა აქვთ სიმართლისა და ჭეშმარიტების აღქმის უნარი. თუმცაღა, საბოლოოდ, ხალხის პირობები არაფრით იცვლება. კვლავ მოქმედებს ხელისუფლების ცვლის ჩვეული სტილი: დანაყრებულნი მიდიან, მშიერნი მოდიან და ა.შ.

**— მამაო ბასილ, სტალინის ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებით დისკუსიები კვლავ გრძელდება. თქვენ რას ფიქრობთ, სტალინის ძეგლები საქართველოში უნდა არსებობდეს?**

— სტალინზე როცა ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია მისი მოღვაწეობის ბოლო 1941-45 წლები. როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, ქვეყანა კატასტროფის წინაშე იდგა. შველა არსაიდან ჩანდა. მთავრობა მოსკოვის დატოვებას აპირებდა, მაგრამ სასულიერო პირთა და წინასწარმეტყველთა მოსაზრებით, მთელ ქვეყანაში გახსნილი უნდა ყოფილიყო ტაძრები, მონასტრები, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, მღვდლები უნდა დაბრუნებულიყვნენ ფრონტიდან, ციხეებიდან. უნდა აღმდგარიყო წირვა-ლოცვები. ყაზანის ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ქალაქისთვის შემოეტარებინათ ლიტანიით. ამ შემთხვევაში მტერი ვერაფერს გახდებოდა. მართლაც შემოატარეს ყაზანის სასწაულმოქმედი

ხატი. შემდეგ ეს ხატი სტალინგრადში უნდა დაესვენებინათ და მთელი ომის მიმდინარეობის დროს მეომართა მფარველი უნდა ყოფილიყო.

1941 წელს სტალინი თვით ეწვია დედა მატრონას. საუბრის დამთავრების შემდეგ დედა მატრონამ სტალინს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „წითელი მამალი გაიმარჯვებს... ერთ-ერთი შენ იქნები, რომელიც არ დატოვებს მოსკოვს.“ მართლაც სტალინს მოსკოვი არ დაუტოვებია.

წმიდა პელაგია რიაზანელის წინასწარმეტყველება და მითითება ხატის შემოტარების შესახებ ყურად იღო ბელადმა. ამ სასწაულებრივი ფაქტის შემდეგ უშუალოდ სტალინის მითითებით აშენდა უამრავი ეკლესია-მონასტერი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირში გამოშვებული პირველი ავტომანქანა „ზიმი“ თვით სტალინმა უსახსოვრა საქართველოს მაშინდელ პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს. სტალინი, როგორც ამბობენ, აღსარებასაც ამბობდა და ეზიარებოდა კიდეც. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის ჩახვდა წარსულ ცოდვებს და სინანულში იმყოფებოდა. ისმის გააკეთა, საქართველოში ჩამოაყალიბა უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც საზღვარგარეთიდან იღებენ აურაცხელ გრანტებს და ჰყიდიან ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ტრადიციებს, დაუნდობლად ებრძვიან მართლმადიდებლობას. მათი რუპორია ტელეკომპანია „რუსთავი-2“, რომლის ირგვლივ ასეთი აჟიოტაჟია ატეხილი. ჩემი აზრით, „რუსთავი-2“ აქამდე უნდა დახურულიყო, რადგან ყოველგვარი სიბილწე, გარყვნილება, სულიწმიდის გმობა იქიდან მოედინება. ტელეკომპანიას კი ხელმძღვანელობს ანტიქრისტეს მოციქული სააკაშვილი, რომელმაც 2003 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა პარლამენტში შეჭრით. მარტო ამისთვის უნდა გასამართლებულიყო იგი, მაგრამ პირიქით, ფართო გზა გაუხსნეს და განარიდეს აქაურობას. ის საქართველოდან არ უნდა გაეშვათ. ახლა კი ეს სატანური სექტის ხელმძღვანელი მეორე გადატრიალებას ამზადებს.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სჯულის კანონის მიხედვით, როცა მთავრობას უჭირს, მაშინ მას ეკლესია შეეშველოს



კითხვა თუ იეღოველთა სექტის სასახლეები თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე შენდება, თუკი მეჩეთები შენდება, თუკი ნებისმიერ სექტას გადამეტებული ტოლერანტობის გამო სხვის ზედმეტ უფლებებს მიაგებენ, სტალინის ძეგლი რომ იდგეს საქართველოში, რატომ არის დანაშაული?

**— მამაო, როგორ უყურებთ დღევანდელ მოვლენებს?**

— არა მარტო საქართველო, არამედ, როგორც ხედავთ, მთელი მსოფლიო ქაოსმა მოიცვა. მოვლენები თითქმის უმართავი გახდა. ჩვენ ვართ ამერიკის შეერთებული შტატების ყურმოჭრილი მონები. რასაც ამერიკის ელჩი ბრძანებს, ის არის ჩვენი კანონი. ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ამერიკამ იმდენი და თავის მხრებზე აიღოს ყველა სიმძიმე. დღევანდელი ეკლესია თავის თავს ვერ პატრონობს და ქვეყანას რა ყურადღებას მიაქცევს. განა მარტო საქართველო, მთელი მსოფლიო უკეთურების დენთზე დგას, სიბილწემ მოიცვა ჩვენი პლანეტა. ღმერთი არ გვაპატიებს ცოდვებს, საშინელი რისხვა დაგვატყდება. ეს მოვლენები დიდი ხნის დაწყებულია ბუნებრივი კატაკლიზმების სახით: წყალდიდობები, ქარბუქები, მკვლელობები და სხვა. სწორედ ახლა ხდება გადარჩევა თითოეული ჩვენგანის — ვისნი ვართ — ღმრთისა თუ ბარაბასი. ამიტომ ჩვენი გადარჩენა და ხსნა მხოლოდ სულიერ სიწმიდეში, ღმერთის შიშსა და სიყვარულშია.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**

**593 56 11 18**

# „სოფლის შენებას რა უნდა...“



„ — სოფლის შენებას რა უნდა? — რა უნდა?

— ერთი პირველის თქმა უნდა, თქმა უნდა... და კიდევ ბანი უნდა!“

ჰოდა, მოვიდა ბანიც, და, იმედია, აწი სოფელიც მალე აშენდება.

მსოფლიოში სახელგანთქმული ბანი პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში მოდის!

პოლიტიკა ისეთი დარგია, ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, მათ შორის მომღერლებსაც, რა თქმა უნდა, შეუძლიათ ბედი სცადონ და თუ სათანადო ნიჭსა და უნარს გამოამჟღავნებენ, წარმატებებსაც მიაღწიონ, თუმცა ბატონი პაატას შემთხვევა მაინც განსაკუთრებულია.

საქმე ის არის, რომ ბატონ პაატას, რომელიც ახლახან 60 წლის გახდა, აქამდე არასოდეს გამოუმჟღავნებია პოლიტიკისადმი ინტერესი.

პოლიტიკას თავი დავანებოთ, პატივცემულ მომღერალს არც მოქალაქეობრივი აქტიურობით გამოუჩენია თავი და ქვეყნისთვის საბედისწერო მომენტებში არასოდეს გაუკეთებია თუნდაც ერთი განცხადება.

ქართველები ერთმანეთს დაერივნენ — **ბატონი პაატა მღეროდა!**

აფხაზეთში ომი გვქონდა — **ბატონი პაატა მღეროდა!**

2008 წლის შავი აგვისტო დაგვიდგა — **ბატონი პაატა მღეროდა!**

„ნაცმოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში გვაუპატიურებდა — **ბატონი პაატა მღეროდა!**

მღეროდა და ემღერა, ეგ იყო ამ კაცის მოწოდება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა სიმღერასა და სიმღერას შუა, პაუზებში, ერთი-ორი სიტყვა ეთქვა დალოცვილს და თავისი პოზიცია გამოეხატა?

ცოტნე გამსახურდია იგონებს: „ზვიად გამსახურდიამ პაატა ბურჭულაძეს პოლიტიკაში მოსვლა კი არა, საქართველოსთვის დახმარება სთხოვა, როგორც „ინწილიგენციის“ უმრავლესობას... მაგრამ მათ შევარდნაძესთან კონსულტაციები და მისი ყმადნაფიცობა არჩიეს“-ო.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ პაატა ბურჭულაძემ, „ინწილიგენციის“ ბევრმა სხვა წარმომადგენელმაც ანაცვალა ქვეყნისთვის თავდადებას და თავგანწირვას შევარდნაძის „ყმადნაფიცობა“ თუ „ძმადნაფიცობა“, რითაც, პირველ ყოვლისა, ქვეყანამ იზარალა, მაგრამ, მოდით, ამასაც თავი დავანებოთ და ისღა ვიკითხოთ: **კაცს, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს არაფერზე, რაღა მაინცდამაინც დღეს მოუნდა პოლიტიკურ სცენაზე შემოვარდეს და ახალი პოლიტიკური არია დააგუგუნოს ხალხის წინაშე?**

ყველაზე გასაკვირი და გამაოგნებელი ის არის, რომ ბატონი პაატა ამ ახალი არიის შესრულებას ვანო მაჭავარიანთან „დუეტში“ აპირებს.

ეს ვანო მაჭავარიანი რომელი ხოსე კარერასი ან პლაჩიდო დომინგოა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ბანად აღიარებულმა კაცმა მაინცდამაინც ვანოსთან მოინდომოს პოლიტიკური კრიმანჭულის ჩახუჭუჭება?

— მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო, — ნათქვამია.

ვანო მაჭავარიანიდან ერთი ნაბიჯია სააკაშვილამდე, ბოკერიამდე, გოგორიშვილამდე, ნადირაშვილამდე თუნდაც „ქართულ ოცნებასთან“ დაუბრებულ მარგველაშვილამდე, რაც იმის ვარაუდის გამოთქმის უფლებას ნამდვილად გვაძლევს, რომ პაატა ბურჭულაძის მიერ დაანონსებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანებიც სადღაც ზემოთჩამოთვლილი „ამხანაგების“ ახლომახლო ტრიალებს.

თუ ეს მართლაც ასეა, ძალიან ცუდი საქართველოსთვის და კიდევ უფრო ცუდი თავად ბატონი პაატასთვის...

**გიორგი გამეზარდაშვილი**





# სტიქიამ გურიას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა

გადაუღებელმა წვიმამ და ძლიერმა ქარმა გურიაში გზები, ხიდები, სანიაღვრე არხები, მრავალბინიანი და კერძო სახლები დააზიანა. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ზარალი მიადგა, როგორც ოზურგეთს, ასევე გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტს. სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად გუბერნიასა და მუნიციპალიტეტებში სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი და შესაბამისი კომისიები შეიქმნა, რომელიც მოსახლეობისთვის მიყენებულ ზარალს ითვლის.

ოზურგეთში ძლიერმა ქარმა 20 ქუჩაზე დააზიანა საცხოვრებელი სახლები, მათ შორის საოჯახო ტიპის მზრუნველობამოკლებულთა თავშესაფარიც. დაზიანდა ელექტროგადამცემი სადენები და ბუნებრივი აირის მაგისტრალი. ძლიერმა ქარმა რამდენიმე ქუჩაზე ხეები მოგლიჯა. ასევე ზიანი მიადგა მეგობრობის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი სახლის დასავლეთისა და სამხრეთის ფასადები. სტიქიის სალიკვიდაციო კომისიის მიერ დღემდე მიმდინარეობს ოზურგეთის მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის შესწავლა და იგი დაახლოებით 493 800 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, სტიქიამ რამდენიმე სოფელი მნიშვნელოვნად დააზარალა. დაზიანდა სასოფლო გზები, საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები,დაფიქსირდა მეწყერის ერთი შემთხვევა სოფელ კონჭკათში, სახელაშვილების სახლთან. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ სოფლის დეპუტატთან გელა არიშიძესთან ერთად პირადად მოინახულა აღნიშნული ტერიტორია,შეისწავლა მდგომარეობა და ოჯახი დროებითი თავშესაფრით უზრუნველჰყო.

მეწყრული პროცესების გამო დაზიანდა სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზა სოფელ შრომაში. სოფელ ნატანებში კი პრობლემები შეექმნა შუკაკიძეებისა და ოსიძეების ოჯხებს, სადაც ძლიერმა ქარმა სახურავები ახადა სახლებს. მთლიანად გადახადა ქარმა სახურავი სოფელ ბახვში თამაზ ცეცხლაძის საცხოვრებელ სახლს.

სილაურში ადიდებულმა მამათისღელემ ხელაძეების საკარმიდამო ნაკვეთი და თხილის ნარგავები წაიღო. იგივე პრობლემა შეექმნა სოფელ ჯუმათში მცხოვრებ მითაიშვილების ოჯახს.

საერთო ჯამში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ზარალი დაახლოებით 1 300 000 ლარია.

სტიქიამ დააზარალა ჩოხატაურის თითქმის ყველა სოფელიც. ძლიერმა ქარმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით 65 საცხოვრებელ სახლს გადახადა სახურავი. დაზიანდა შიდა გზები, სანიაღვრე არხები და წყალგამტარი მილები. ყველაზე დიდი ზარალი მიადგა სოფელ ხიდისთავში მდებარე ნოდარ დუმბაძის სახელობის საავტომობილო ხიდს,რომელსაც ადიდებულმა მდინარე გუბაზეულმა ერთი მალი გამოაცალა. ამის გამო ხიდზე არა თუ ტრანსპორტით, ქვეითად გადაადგილებაც კი საშიშია და აიკრძალა. ასევე ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანდა კოხნარი-საჭამიასერის საავტომობილო გზაც.





სტიქიის პირველივე დღიდან ადგილზე სწავლობდა მდგომარეობას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ირაკლი კუჭავა**. მან პირადად მოინახულა სოფელ ზოტში ქარიშხლის მიერ დანგრეული სულიკო ჭელიძის საცხოვრებელი სახლი და ოჯახი დროებითი თავშესაფრით უზრუნველჰყო.

მუნიციპალიტეტს სტიქიამ დაახლოებით მილიონ ლარზე მეტია.

ორ მილიონ ლარზე მეტი ზარალი მიიღო ძლიერი ქარისა და გადაუღებელი წვიმების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმაც. ადიდებულმა მდინარე სუფსამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში მიმდინარე ნაპირსამაგრი სამუშაოები შეაფერხა და მუშათა დროებითი საცხოვრებელი დატბორა.

ლანჩხუთში რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები დაიტბორა. სანიაღვრე არხებმა წყალი ველარ გაატარა და გადაუღებელმა წვიმამ ზიანი მიაყენა ალმაშენებლის, დოლიძის და კვირკველიას ქუჩის მცხოვრებლლებს.

გარდა ქალაქისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 19 სოფელი დაზიანდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო სოფელ ნიგოითში, შუხუთში გვიმბალაურსა და ნიგვზიანში, სადაც რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დაიტბორა. ძლიერმა ქარმა რამდენიმე სოფელში მრავალწლიანი ხეები მოგლიჯა. სერიოზულად დაზიანდა სოფლებში შიდა გზები, სადაც აუცილებელია ჯებირების ჩამოსხმა და გაბიონების მოწყობა. დიდი მეწყრული კერა გაჩნდა ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის ერთ-ერთ შიდა გზაზე, სადაც გაჩნდა 2 მეტრი სიმაღლის ნაპრალი, რომელიც რამდენიმე ოჯახის კუთვნილ თხილის ნარგავებზეც გადის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე პირადად ჩავიდა ყველა დაზარალებულ სოფელში და სტიქიის სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად ადგილზე შეისწავლა ყველა პრობლემა. ზარალის დათვლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.



გია სალუქვაძე

მუნიცპალიტეტების გამგებლებთან ერთად სტიქიის ყველა ზონაში იმყოფებოდა გურიის მხარის გუბერნატორი **გია სალუქვაძე**. გთავაზობთ კომენტარს:

- ჩვენს რეგიონს ამ სტიქიამ უდიდესი ზარალი მიაყენა. სამივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ოზურგეთის მერი, აქტიურად მუშაობენ შესაბამის სამსახურებთან ერთად. შეიქმნა სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი და კომისიები დღემდე ითვლიან ზარალს.

ძლიერი ქარისა და გადაუღებელი წვიმების შედეგად ჩვენი რეგიონის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საცხოვრებელი სახლები დაუზიანდათ, რამდენიმე მათგანს დროებითი თავშესაფარი დასჭირდა. ინტენსიურად ვმუშაობთ თითოეული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ჩემთან ერთად ყველა სტიქიურ ზონაში იმყოფებოდნენ მთავრობის ადმინიატრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ვაჟა ფანჩულიძე** და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტიქიების პრევენციისა და ოპერატიული რეაგირების სამმართველოს უფროსი **ვასილ კაკაბაძე**. ისინი სტიქიის შედეგად შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნენ.

როგორც უკვე გითხარით, ზარალის დათვლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. სავარაუდოდ მისი რაოდენობა 5 000 000 ლარს გადააჭარბებს. სტიქიით მიყენებულ ზარალს გურიის რეგიონს მთლიანად საქართველოს მთავრობა აუნაზღაურებს. - გვითხრა გურიია გუბერნატორმა.

**ელენე გურგენაძე**
557 71 55 68

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ძალადობის მსხვერპლის შოკისმომგვრელი აღსარება

## „ბოლოს ეს ზღვარიც გადავლახე და ოთახში გამოკეტილმა ყელში სამართებელი გამოვისვი. ისტერიულად ვისვამდი, სანამ არ გავითიშე“

**„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავშესაფარში მოხვედრამდე, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მცხოვრები მაია ი-ძის ცხოვრება საშინელებათა ფილმის სიუჟეტს ჰგავდა – 12 წლის ასაკში ჯგუფური გაუპატიურების მცდელობა, ადრეულ ასაკში იძულებით გათხოვება, მოძალადე დედამთილი, თვითმკვლელობის მცდელობა და განადგურებული ჯანმრთელობა. საიდან დაიწყო 23 წლის გოგონას ტრაგედია, რამ აიძულა მშობლების სახლის მიტოვება და როგორ მოხვდა ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავშესაფარში, ამის შესახებ თავად მაია გვიამბობს:**

– „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“თავშესაფარში მოსვლამდე, წლების განმავლობაში, ყოველ ღამე უმტკივნეულო სიკვდილზე ოცნებაში ვიძინებდი. არ ვიცი, რატომ მომიძულეს საკუთარმა მშობლებმა, მაგრამ პატარაობიდან მოყოლებული, დედისგან სულ ის მესმოდა, რომ ცუდი ვარ, რომ დედაჩემისთანა ქალს ასეთი შვილი არ უნდა ჰყავდეს და ა.შ. ფაქტობრივად, ოჯახური სითბო და სიყვარული არ გამომიცდია, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი უბედურება 12 წლის ასაკში დაიწყო, როცა თანაკლასელმა და უფროსკლასელმა ბიჭებმა ჩემზე ძალადობა სცადეს.. სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილი გვქონდა, რომელიც ეზოში ტარდებოდა. მე გაკვეთილზე გასვლა დამაგვიანდა და ჩემმა კლასელმა და უფროსკლასელმა ბიჭებმა სარდაფში ჩამათრიეს.

**– როგორ ჩაგათრიეს? ამ დროს მასწავლებელი სად იყო?**

– მასწავლებელი გარეთ, დანარჩენ ბავშვებთან იყო. 12 ბიჭი დამესია. ერთმა ერთი ხელი დამიკავა, მეორემ მეორე, მესამე რომ არ მეყვირა, პირს მიხურავდა და დანარჩენები ფეხით მიმათრევდნენ. ერთადერთი, რაც შევძელი ის იყო, რომ შარვალს მთელი ძალით ვიჭერდი. მერე ერთმა ბიჭმა დანა ამოიღო.. ნებით თუ არ უშვებს, შარვალი ძალით გავუჭრათო. ამ დროს, ჩემი კივილი გარეთ მეხუთე კლასელმა ბავშმა გაიგო და მასწავლებელს უთხრა, სარდაფში ვიღაც კივისო. რა თქმა უნდა, ჩამოვიდნენ და გადამარჩინეს, მაგრამ ამ საქმის გახმაურებას, სკოლის პრესტიჟის შელახვას და იმ ბიჭების სკოლიდან გარიცხვას ჩემი გაწირვა ამჯობინეს. ისეთი პოზიცია დაიჭირეს, თითქოს ის ბიჭები დამნაშავეები არ იყვნენ და მე გამოვიწვიე. ყველა მასწავლებელი ერთ ხმაში მიმტკიცებდა, რომ მე შევარცხვინე ოჯახი და საფრთხე შევუქმენი დირექტორის სკამს. რა თქმა უნდა, არავის უფიქრია იმაზე, მე რა განვიცადე და რამხელა ტრამვა მივიღე.

**– ამის შესახებ შენმა მშობლებმა გაიგეს?**

– გაიგეს და იმის ნაცვლად, რომ სხვა სკოლაში გადავეყვანე, მაიძულეს, რომ ისევ იქ მესწავლა და იმ ბიჭებთან ერთად გაკვეთილზე ვმჯდარიყავი.

19 წლის ასაკში გავთხოვდი. ჩემი ქმარი ყველანაირად ხეიბარი რომ ყოფილიყო, მაინც გავყვებოდი, ოღონდ დედაჩემისთვის დამემტკიცებინა, რომ ცუდ გზაზე დადგომას არ ვაპირებდი და მინდოდა ოჯახი მქონოდა. ასე მგონია, რომ 23 წლის კი არა, 70 წლის ვარ, ისე დამაბერა ამდენმა წამებამ. მთელი ცხოვრება გავრბივარ.. ჯერ დედისგან და მერე ქმრისგან.. გავთხოვდი, იმიტომ, რომ მეგონა დედისგან დავიხსნიდი თავს და ქმართან უარეს დღეში ჩავვარდი. ქმრის ოჯახში პირველი შოკი მაშინ მივიღე, როცა დავინახე, რომ დედამთილი ჩემზე და მამამთილზე და მაზლზე ეჭვიანობდა..



**– დარწმუნებული ხართ, რომ ეჭვიანობდა? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. იმის გამო, რაც ბავშვობაში გამდახდა, თვლიდა, რომ მე ყველას ვაცდუნებ. ეჭვიანობდა ჩემს მამამთილზე, მაზლზე და ყველაზე, ვინც გამარჯობას მეტყოდა. მამამთილი ან მაზლი რომ სახლში შემოვიდოდნენ, ჩემი ოთახიდან გამოსვლის უფლება არ მქონდა. სახლიდან გასვლაზე აღარაფერს ვამბობ.. იმასაც მივეჩვიე, რომ სახლიდან გასვლისას, მკეტავდნენ. იმასაც, რომ ცხრა თვემდე ფეხმძიმე ქალი ბოსელს ვასუფთავებდი და ძროხებს ვწველიდი..

**– როგორც ვხვდები, მშობლების მხარდაჭერის იმედი არ გქონიათ...**

– ჩემი მშობლები ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ. მათთვის, ბავშვით მიბრუნებული შვილი ისეთი სირცხვილი იყო, რომ ერჩივნათ, იქ მოვმკვდარიყავი. ისეთ უიმედო მდგომარეობაში ვიყავი, რომ ხშირად ღამე ქუჩაში გამოგდებული, ხმამაღლა ვტიროდი, ღმერთო რა ვქნა, სად წავიდე თქო. ძალიან მინდოდა სიკვდილი, მაგრამ შვილის გამო თავს ვერ ვიკლავდი.. ბოლოს ეს ზღვარიც გადავლახე და ოთახში გამოკეტილმა ყელში სამართებელი გამოვისვი. ისტერიულად ვისვამდი, სანამ არ გავითიშე. არ ვიცი, ამ მდგომარეობაში რამდენ ხანს ვიყავი, მაგრამ სანამ სისხლისგან დავიცლებოდი კარი ქმარმა შემოამტვრია. მიხვდა, რომ რაღაც მჭირდა.. დიდი სიამოვნებით მაცდიდა სიკვდილს, მაგრამ შარში გახვევაც არ უნდოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოთახი სისხლით იყო სავსე, სასწრაფოსთვის არ გამოუძახიათ. ჭრილობა სახლის პირობებში მოვიშუშე და ორი თვე კისერს ვერ ვამოძრავებდი.

**– სახლიდან წამოსვლაზე არც ამის შემდეგ გიფიქრიათ?**

– გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ წასასვლელი არსად მქონდა. ჩემმა ქმარმა და დედამთილმა ეს მშვენივრად იცოდნენ და ამიტომ უარეს მდგომარეობაში მაგდებდნენ. ბოლოს სულ ამას მეუბნებოდნენ, თვითმკვლელობას მარტო გიჟები ცდილობენ. გიჟობას დაგიმტკიცებთ და ბავშვს წაგართმევთო. ამის ატანა ველარ შევძელი.. მშობლებთან დავრეკე და ვუთხარი, აქედან თუ არ წამიყვანთ, თავს მოვიკლავ და ჩემს ცოდვაში ჩადგებით თქო. წარმოიდგინეთ, ორი წელი ვიცხოვრე ქმართან და აქედან ერთი ღამე არ მახსოვს, რომ ტირილით არ დამეძინოს. მეგონა, მშობლების ოჯახში ცოტა სულს მოვითქვამდი, მაგრამ უარეს მდგომარეობაში ჩავვარდი.

**– ამაზე უარესი რაღა იყო?**

– წარმოიდგინეთ, რომ მამა ორ ჭიქას დალევდა თუ არა, ჩემს ცემაზე გადმოდიოდა. თან ხმამაღლა, მეზობლების გასაგონად ყვიროდა, სახლში ბოზი მიზისო. მეორე დღეს თავს იმართლებდა, ნასვამი ვიყავი და არაფერი მახსოვსო. მშობლებთან დაბრუნების შემდეგ, სახლში ხელფასი რომ მომეტანა, ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. დილის 7 საათზე ვდგებოდი და საღამოს 8 საათზე ვბრუნდებოდი, მაგრამ დედაჩემი დარწმუნებული იყო, რომ სამუშაოდ კი არა, ბორდელებში დავდიოდი. სამსახურიდან სახლში რომ მივიდოდი, ჩემი ძმა იწყებდა ყვირილს მობრძანდა ბოზი და ჩათლახიო და ეს რომ არ გამეგო, მაშინვე დასაძინებლად ვწვებოდი. სახლში გაღიმება აკრძალული მქონდა., თურმე ქალმა, რომელსაც ოჯახი დაენგრა, მარტო უნდა იტიროს და მეც ვტიროდი.. ყოველ დღე და ყოველ ღამე..

**– ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფარში როგორ მოხვდით?**

– სამსახურში სემინარები ტარდებოდა ძალადობაზე და იმ ქალს, ვინც სემინარებს ატარებდა, ერთადერთი რამე ვთხოვე- დამეხმარეთ, რომ მოვკვდე თქო. ამ დროს ძალიან გულწრფელი ვიყავი.. არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ იმდენად მინდოდა მანქანა დამჯახებოდა, რომ გზაზე გადასვლისას, გვერდით არ ვიხედებოდი. როცა ორგანიზაციამ ჩემი საქმე შეისწავლა, გადაწყვიტეს, რომ ოჯახიდან უნდა წამოვსულიყავი. უკვე ერთი თვეა, რაც თბილისში, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავშესაფარში ვარ. აქ ჩამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ ნაღველი კენჭებით მაქვს სავსე და სასწრაფოდ ამოსაჭრელია. ალბათ, რომ არ ჩამოვსულიყავი, ისე გამისკდებოდა და მომკლავდა, ჩემები მიზეზსაც ვერ გაიგებდნენ და ისევ ფეხმძიმობას დააბრალებდნენ. ამის გარდა, ხერხემალზე კისტა მაქვს და პატარა გაცივებაზეც კი ჩირქი მიგროვდება. მერე ეს მოქმედებს გულზე..ხშირი თავბრუსხვევები მაქვს და ზოგჯერ გულიც მიმდის. ამაზეც ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ოპერაციის შემდეგ ერთი თვე ვერც დგომას და ვერც ჯდომას ვერ შევძლებ. ბავშვს კი სულ ხელში ჭერა უნდა. ფეხზეც პრობლემა მაქვს.. წლების წინ დედამ მარცხენა ფეხის მუხლში ცომის საბრტყელებელი დამარტყა და დიდხანს ფეხზე დგომა თუ მომიწია, მიშეშდება. ხანდახან ტკივილებისგან იმდენად ცუდად ვარ, რომ ღამის 3-4 საათამდე ვერ ვიძინებ.

**– ყოფილმა ქმარმა იცის სად ხართ?**

– იცის, მაგრამ ამასწინათ შემომითვალა, თავშესაფარში კი არა, ალბათ სადღაც ბორდელში ხარ. გიჩივლებ და ბავშვს წაგართმევო. დღემდე რომ ცოცხალი ვარ, ამ ბავშვის დამსახურებაა და არავის დავუთმობ. (ბავშვს იხუტებს და ტირის)

ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს შვილს ის მივცე, რაც არასოდეს მქონია და ესაა ოჯახური სითბო, სიყვარული და კარგი განათლება. ამისთვის უნდა ვიცოცხლო..



მანანა ფურცხვანიძე

**ნანახითა და მოსმენილით შეძრულმა „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ბენეფიციარის საქმეზე კომენტარი ორგანიზაციის იურისტს მანანა ფურცხვანიძეს ვთხოვე:**

– ამჟამად, მაია ჩვენს თავშესაფარშია და თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობს. სამწუხაროდ, ეს გოგონა ძალადობის მსხვერპლი ძალიან პატარა ასაკში გახდა და იმის ნაცვლად, რომ გაერიდებინათ, ოჯახმა იმავე გარემოში დატოვა, რომელიც მუდმივად მომხდარს გაახსენებდა და სტრესში ამყოფებდა. გათხოვების შემდეგ, ძველ პრობლემებს ახალიც დაემატა, რამაც მაიას მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახადა. მშობლებმა შვილის დახმარების ნაცვლად, იმაზე დაიწყეს ფიქრი, რამდენად მისაღები იქნებოდა განათხოვარი შვილის სახლში დაბრუნება და ხალხი რას იტყოდა. მათთვის მთავარი ხალხის აზრი აღმოჩნდა და არა შვილის მდგომარეობა. გასაკვირი არაა, რომ გოგონას ასეთ მძიმე ცხოვრებას ჯანმრთელობის პრობლემები მოჰყვა. ოპერაციების გარდა, მას ჭირდება ფსიქოლოგის და ფსიქოთერაპევტის სერიოზული დახმარება. გამორიცხული არაა, რომ მედიკამენტოზური დახმარებაც დაჭირდეს. აუცილებლად მინდა ავღნიშნო, რომ ძალადობის მსხვერპლს წამალზე მეტად, საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა ჭირდება, რაც ასე გვაკლია. ჩვენში რატომღაც მიაჩნიათ, რომ ძალადობის მსხვერპლი რაღაცაში თავად არის დამნაშავე და მის გასამტყუნებელ მიზეზს ეძებენ. თუნდაც ის, რაც 12 წლის ბავშვს გადახდა, ამის ნათელი მაგალითია. ჩვენი ორგანიზაცია აუცილებლად დაეხმარება მაიას ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების თავიდან დაწყებაში. ის იმდენად კარგი ადამიანია, რომ დაბრუნების შემთხვევაში, სამსახური თავის პოზიციაზე აღდგენას და მუშაობაში დახმარებას დაპირდა. ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს აუცილებლად ჭირდებათ სახელმწიფოს დახმარებაც. დღესაც დამირეკა მარტოხელა დედამ და მკითხა, როდის იქნება მათთვის გათვალისწინებული შეღავათები და დახმარებები. სახელმწიფოს აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ 2015 წლის პირველ ნახევარში დაეთვალა მარტოხელა დედების რაოდენობა, თუმცა ეს საქმე ჯერაც არ აქვს ეს გაკეთებული. წარმოიდგინეთ, როდის მოიცლიან ამისთვის და რომ მოიცლიან, დაითვლიან და ბიუჯეტში შეიტანენ, რა დრო იქნება გასული. ვფიქრობ, ეს არაა სწორი მიდგომა. ამ კატეგორიის ადამიანებისთვის სახელმწიფოს დახმარება და თანადგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ეს ყველამ კარგად უნდა გაითავისოს. სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვაა. მით უმეტეს, როცა ეს მოქალაქეები მარტოხელა დედები და ძალადობის მსხვერპლები არიან, ცოტა მეტი თანადგომა და თანაგრძნობაა საჭირო ბატონებო..

**ნელი თორდია**
571 35 36 88

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# როგორ ავიცილოთ რეზისტენტული ბაქტერიების გააქტიურება ზამთრის პერიოდში?!

*სამყაროს განვითარებასთან ერთად, სამწუხაროდ, ევოლუციას განიცდიან სხვადასხვა დაავადებები. ავიღოთ თუნდაც ნებისმიერი წამალი, რომელიც დროთა ვითარებაში ეფექტურად მოქმედებდა ჩვენს ორგანიზმზე, მაგრამ ახლა ნაკლებად არის შედეგიანი. რატომ? ეს კითხვა გვაწუხებს ყველა ჩვენგანს. ამიტომ ვესტუმრეთ საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ეროვნული ცენტრის სპეციალისტებს — მედიცინის დოქტორს **გიორგი ჩახუნაშვილს** და მთავარ სპეციალისტს, მედიცინის დოქტორს **დავით წერეთელს**.*

**— ბატონო გიორგი, ბატონო დავით, რას ნიშნავს ანტიმიკრობული რეზისტენტობა, ანუ გამძლეობა?**

**გიორგი ჩახუნაშვილი:**

— ანტიბიოტიკური საშუალებების გამოგონების დღიდან ბაქტერიებმა დღემდე გამძლეობა შეიმუშავეს. თავდაპირველად ეს პრეპარატები გარკვეული დაავადებების მიმართ ერთობ მგრძნობიარე, ანუ ეფექტურები იყვნენ, მაგრამ დროთა ვითარებაში, ნებსით თუ უნებლიეთ, უკვე რეზისტენტულად, ანუ ბაქტერიების მიმართ გამძლეობა შეიძინეს.




**დავით წერეთელი:**

— ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში შექმნილია ჯანმრთელობის ორგანიზაციის ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულია ჩვენი ქვეყანა. შემუშავებულია ერთობლივი სტრატეგია. დავასწრებ ბატონ გიორგის და გეტყვით, რომ ანტიბიოტიკური პრობლემა არა მარტო ჯანდაცვის სფეროს, არამედ ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველა დარგს, სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, კვების პროდუქტებს და კიდევ ბევრ დარგს ეხება.



**— უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ ანტიმიკრობული გამძლეობის შესახებ.**

— მოდით, პირდაპირ გეტყვით — ეს პრობლემა, როგორც უკვე გითხარით, ეხება ყველა სფეროს, როგორც ჯანდაცვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის და ყველა სხვა დარგებს. წარმოიდგინეთ, შეგუების შემთხვევაში, თუნდაც ელემენტარული ჭრილობა, შესაძლოა, ადამიანისთვის ლეტალური შემთხვევით დასრულდეს. ამიტომაც აუცილებელია მედიკამენტების შერჩევითი, ექიმის დანიშნულების მიხედვით მიღება.

**— და მაინც, რა არის ეს ყბადაღებული რეზისტენტობა, ანუ გამძლეობა?**

**დავით წერეთელი:**

— ეს გახლავთ მიკროორგანიზმის მიერ სამკურნალო პრეპარატების მიმართ გამძლეობის, იმუნიტეტის გამომუშავება. როგორც ზემოთ გითხარით, გამძლეობაზე მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია მუშაობს, სადაც ჩვენი ქვეყანაც აქტიურად არის ჩართული. აგერ, ბატონი გიორგი საქართველოში შექმნილი და წარმოებული პროექტის ავტორია.

**გიორგი ჩახუნაშვილი:**

— რეზისტენტობა, იგივე გამძლეობა, თანამედროვე მედიცინაში ურთულესი საკითხია. წარმოიდგინეთ, რომ ბაქტერიებიც ცოცხალი ორგანიზმებია. ისინიც თავის გადასარჩენად იბრძვიან. ამიტომაც ანტიმიკრობული, ანტიბიოტიკების მედიკამენტების არა მარტო შეტევებს უძლებენ, არამედ მათ მიმართ იმუნიტეტიც შეუძლიათ გამოიმუშაონ. ამიტომაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ანტიბიოტიკებით მკურნალობა არაეფექტურია. აქვე აღსანიშნავია შეწყვეტილი მკურნალობა, როდესაც პაციენტი ექიმის დანიშნულებას ზუსტად არ ასრულებს. მაგალითად, ხუთდღიანი მკურნალობის ნაცვლად პაციენტი ოდნავი შეღავათის პირობებში წყვეტს მკურნალობას. ამით იგი ხელს უწყობს ბაქტერიის რეზისტენტულობას და მკურნალობას არაეფექტურს ხდის. ამით, ვგონებ, ერთ-ერთ თქვენს კითხვას დამატებით ვუპასუხე.

**— რეზისტენტული ევოლუცია გადამდებია ადამიანებს შორის თუ ეს ბუნებრივი მოვლენაა?**

— ანტიმიკრობული ანუ ანტიბიოტიკური მედიკამენტების გამოყენება ექიმის რჩევის გარეშე და თვითნებურად აჩქარებს ადამიანის მიკროორგანიზმების შემგუებლობას დაავადებისადმი. აქვე გეტყვით, რომ რეზისტენტული ბაქტერია შეიძლება გადავიდეს ადამიანიდან ადამიანზე, ასევე ცხოველიდან ადამიანზე.

**— რას ურჩევთ მოსახლეობას, როგორ ავიცილოთ თავიდან მავნე ბაქტერიების რეზისტენტულობა?**

**გიორგი ჩახუნაშვილი:**

— პირველ რიგში, უნდა მოვერიდოთ თვითმკურნალობას. აუცილებელია, რომ მოსახლეობამ თვითნებურად არ მიიღოს ანტიბიოტიკური საშუალებები. უპირველესაც ამისგან ბავშვები უნდა დავიცვათ. აქვე სათქმელია, რომ მკურნალი ექიმის შეწყვეტილი მკურნალობა გაცილებით დიდ პრობლემას ქმნის, ვიდრე თავდაპირველი. ამიტომ ნებისმიერი წამალი მხოლოდ ექიმის რჩევით და დანიშნულებით უნდა მივიღოთ. ამით თავიდან ავიცილებთ შემდგომ გართულებებს, თუნდაც შემგუებლობას. ნებისმიერ სამედიცინო პრეპარატს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. გიმეორებთ, ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებული წამალი შეიძლება ადამიანისთვის საწამლავი აღმოჩნდეს. დაუშვებელია მოსახლეობამ მიმართოს თვითმკურნალობას. ნურავის ჰგონია, რომ ანტიბიოტიკური საშუალებები უწყინარია. ამ პრეპარატებით შეიძლება ჩვენს ორგანიზმს გამოუსწორებელი ზიანი მივაყენოთ. ამიტომაც იმართება ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ანტიმიკრობული რეზისტენტობის კვირეული. მართალია, ორი-სამი წელია დადებითი შედეგები გვაქვს, მაგრამ გიმეორებთ, ექიმის დანიშნულების გარეშე დაუშვებელია წამლების მიღება და თვითმკურნალობა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

## მკითხველის წერილები

# განათლებისა და კულტურის დემოკრატიზაცია



ნაირსახოვანი რეჟიმების ექსპერიმენტებმა ქვეყანა არა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ განუსაზღვრელობამდე მიიყვანა, არამედ განათლებისა და მეცნიერების განვითარებასაც ღრმა კვალი დაამჩნია. ამ სფეროს მოჭირნახულეებისათვის, უკვე დღესავით ნათელია, რომ მათი მძიმე ხვედრი იმ საერთო გასაჭირის ნაწილს წარმოადგენს, რომელმაც დათრგუნა განსწავლული საზოგადოების შემცველობა. სწორედ ამიტომაა საჭირო ძალ-ღონის მიმართვა ახალი, დემოკრატიული განვითარების სისტემის დახვეწისაკენ. მისალოდნელია დაუნდობელი იდეოლოგიური შეხლა-შემოხლა იმ სივრცის შენარჩუნებისათვის, სადაც გაბატონებას ცდილობენ ათასი ცოდვით დამღადასმული ანონიმური ძალები. რა კულტურული „მემკვიდრეობა“ დაგვიტოვეს რეჟიმებმა, რომლებიც შეხმატკბილებულად იზიარებდნენ გარეგანი ძალების სულიერ ექსპანსიას? ინფლაცია-სიღატაკემ ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო ცნობიერება განკერძოებულ თვითშემეცნებად გარდაქმნა. ამის გამო ხალხს სწრაფად ეკარგება კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა არა მარტო მომხმარებლის, არამედ შემოქმედის სახითაც. კულტურისაგან ხალხის ხელოსნური განრიდება ობიექტური მიზეზებით არ არის გამოწვეული. ესაა იმ ტენდენციის შედეგი, რომელმაც აღმართა ბარიერი საზოგადოებასა და კულტურულ მინაღწევარს შორის.

ამ მღვრიე წყალსატევში ჩაედინება ყალბი მასობრივი კულტურის მრავალი ნაკადი. მათი საშუალებით კი ბოროტი უჩინმაჩინები დაჟინებით ავრცელებენ თავიანთ იდეოლოგიას. ანტიეროვნული ძალების ჯერეთუნახავი დემონსტრაცია მორევიდან თავდაღწევას აძნელებს. ამგვარად, იბადებიან ზეაქტიური, ნაყალბევი ნეოკულტურტრეგერები.

ყოველივე ზემოთქმულის პროტოტიპულ რეალობას გარკვეულწილად პროვინციელი კულტურტრეგერები და „განმანათლებლები“ გამოხატავენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომპარტიის ქალაქკომის ყოფილი აქტივისტების, მათი შვილებისა და შვილიშვილების მიერ დაკომპლექტებული შესაბამისი სამსახურები თითქოს მოქმედებენ დევიზით: „კულტურის დაცემა, განათლების შეცვლა მისი ერზაცით“. არც ცრუ მიქლიო სოკოებივით მომრავლებული კომერციული „უმაღლესი“ სასწავლებლები უდებენ მათ ტოლს. ამ ფონზე პირველი სიდიდის ვარსკვლავის სიკაშკაშით აღარც შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (დირექტორი ტ. ხუფენია) გამოირჩევა. იქ ახლომდებარე ქალაქიდან მოწვეული „თურქეთუმე“ ლექტორი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მკვიდრი ფილოლოგი. ხოლო, უნივერსიტეტში შემუშავებული ცივი ფორმულა — „კონკურსი ყველასთვის და არავისთვის“ — უმყოფობაში აუჩინარებს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს: დათბუნებაში განზავებული ადმინისტრაციიც ყოფიერება არცოდნის კულტის ზემოქმედებით დოგმატიკური თვლემის თვითკმაყოფილ შიდახედს ამზეურებს.

ზუსტად ამიტომ დგება ასე მძაფრად კულტურის ნამდვილ მოსაგრეთა საზოგადოებრივი დანიშნულების საკითხი; ისინი წუხილით ადევნებენ თვალ-ყურს განათლების, მეცნიერების, მედიისა და ხელოვნების მუშაკთა პროპეტარიზაციას. აუცილებელია შეთითხნილი პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობების უარყოფა. ოპორტუნიზმის გამართლებას ყავლი გაუვიდაა და „გაუცხოების“ დროშის ქვეშ ჯდომასაც აზრი არა აქვს. ცხოვრების ლოგიკამ შესაბამისი ავანგარდული მისია წარმოაჩინა: უნდა მოიძებნოს თეორიული და პრაქტიკული გზები ახალი, დემოკრატიული კულტურის აღორძინებისათვის.

ოპონენტების მხრიდან ლოგიკური კითხვა იქნება: როგორ შეიძლება გარდავიქმნათ? ეს ის შეკითხვაა, მრავალი წლის მანძილზე რომ ისმის. ოღონდ განახლებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კვაზირეფორმატორებს აქვთ წარმოდგენილი. ცრუ რეფორმატორის დრომოჭმულ ბუნებას არ ძალუძს ემსახუროს კულტურას, განათლებასა და მეცნიერებას. სინამდვილე გვიდასტურებს, რომ მათი ადრინდელი ფაფხური სავსებით წამხდარია. დახავსებული შინაგანი სამყარო — საკუთარი თავის სიყვარულის ბუნებაა. მას განახლების ძალა არ შესწევს.

სამშვიდობოს გასვლა მხოლოდ პირვანდელი შეცდომის გამოსწორება კი არაა, არამედ ნამდვილი ნოვატორების მიერ სამართლებრივ სახელმწიფოში შექმნილი ახალი რეალობა. ეს ვითარება აამაღლებს ცოდნის მაძიებლის უნარს დანახვისა და გაგების თვალსაზრისით. გაჩნდება ახალი თვითგამორკვევის, მიდრეკილების, განწყობილების, პრინციპის, არჩევანის ნიჭი და მოთხოვნილება.

პროფესორი **ნუგზარ გულორდავა**
5555 672 818

# რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში არსებული აკლდამა, სადაც ათობით ადამიანის ჩონჩხია აღმოჩენილი?

ისტორიკოსების, არქეოლოგების და მკვლევარების ყურადღების ცენტრში სენაკის რაიონის სოფელი ეკი 1971 წელს მოექცა, როცა სოფლის ტერიტორიაზე ვერცხლის მონეტების განძი აღმოაჩინეს. 907 ცალ მონეტაში შედიოდა პართიის მეფე ორიდიოს პირველის დრაქმა და რომის იმპერატორების ნერვას, ტრაიანეს, ადრიანეს, ანტონიუს პიუსის და სხვათა სახელით მოჭრილი დრაქმები და დინარები. როგორც მკვლევარებმა დაადგინეს, ეკის გვიანდელი მონეტა 222 წლით თარიღდება.

რაც შეეხება თავად სამონასტრო კომპლექსს, მასში შემავალი ნაგებობები ეკლესია, სამრეკლო, პალატი, და ა.შ. გაშენებულია სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში და გარს ქვითკირის მაღალი გალავანის ფრაგმენტები აკრავს. კომპლექსის შუაში აღმართული ეკლესია მე-9-მე-10 საუკუნეებით თარიღდება. რატომ დარჩა ეს ულამაზესი და არქიტექტორული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი სამონასტრო კომპლექსი მეცნიერების ყურადღების მიღმა, უცნობია, თუმცა მონასტრის კედლებში აღმოჩენილმა ათობით ადამიანის ჩონჩხმა შესაძლოა ვითარება სრულიად შეცვალოს.

**„საერთო გაზეთს" „ადამიანის უფლებათა დაცვის აქრივისტთა კავშირის" კულტურული მემკვიდრეობის ახალგაზრდული განყოფილების ლიდერი ლევან ხუბულავა ესაუბრა:**

— სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ სენაკის რაიონის სოფელ ეკში მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო ხუროთმოძღვრული კომპლექსი. კომპლექსში მდებარეობს მე-9 საუკუნით დათარიღებული ტაძარი. როგორც ვიცი, საქართველოში ოთხი ანალიგიური ტაძარია. საუკუნეებმა ტაძარს და მთლიანად კომპლექსს თავისი კვა-



ლი დაატყო, თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ, ბიძინა ივანიშვილის ფონდის დახმარებით, შარშან ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია დაიწყო. ადამიანის ჩოჩხებით სავსე აკლდამა სამუშაოების დაწყებიდან ერთ თვეში აღმოაჩინეს. შიდა სამუშაობის მიმდინარეობისას, იატაკის მონაკვეთი ჩაინგრა და გამოჩნდა პატარა ოთახის ხელა სათავსო.

**— სათავსო თუ საფლავი?**

— არა, ეს არ გახლავთ საფლავში ჩასვენებული ადამიანების ძვლები. ეს არის დაახლოებით მეტრანახევარი სიღრმის ოთახში უწესრიგოდ დაყრილი ადამიანების ცხედრები.

**— სათავსო დაათვალიერეთ?**

— ქვემოთ არ ჩავსულვარ, მაგრამ ზემოდანაც ჩანს, რომ ოთახი უფრო ღრმა უნდა იყოს, მაგრამ მტვრით და მიწით არის ამოვსებული და შიგნით ეს ჩონჩხებია გაფანტული. ბიჭებმა სათავსოდან თხუთმეტი ადამიანის თავის ქალა ამოიტანეს. აქედან ერთი ბავშვს ეკუთვნოდა, ერთს კი კეფის მხარეს ნატყვიარის კვალი ეტყობოდა. დარწმუნებული ვარ, მიწის ფენების ქვეშ



კიდევ უამრავი ადამიანის ჩონჩხია.

**— ახლა სად არის ეს თავის ქალები და გაგრძელდა თუ არა მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები?**

— დაათვალიერების შემდეგ, თავის ქალები ისევ უკან ჩავალაგეთ და ჩატეხილ იატაკს ფიცრები დავაფარეთ. ამის შემდეგ, სარესტავრაციო სამუშაოები ჩვეულებრივ გაგრძელდა. ჩვენ კი აკლდამაში აღმოჩენილის შესწავლის თხოვნით, წერილები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გავაგზავნეთ, მაგრამ რატომღაც, განსაკუთრებული ინტერესი არავის გამოუჩენია. სხვათა შორის, 1994 წელს რამდენიმე ადამიანის მცდელობით, მოხდა ამ სამონასტრო კომპლექსის ნაწილობრივი რესტავრაცია. მაშინაც ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინეს. თუნდაც, 1848 წლით დათარიღებული, საოცარი ქვისგან გამოთლილი წარწერიანი ჯვარი და ქვის სარკოფაგში მოთავსებული ადამიანის ძვალი. ჯვარზე წარწერა თითქმის მთლიანად გადაშლილი იყო, მაგრამ დიდი წვალების შემდეგ ამოვიკითხეთ „მე მდებარე ვარ აქვე ლოცვითა მამისათა და სულისა წმინდისა.". თითქოს ჯვარი რაღაც წერტილისკენ მიგვანიშნებდა, აქვე ვარო. ვფიქრობ, რომ მონასტერში კიდევ არის ჯერჯერობით აღმოუჩენელი სათავსოები და აუცილებელია, მათი აღმოჩენისა და შესწავლის მიზნით სამუშაოების დაწყება.

**— როგორ აღმოჩნდა ეკის სამონასტრო კომპლექსის იატაკის ქვეშ ათობით ადამიანის ცხედარი და ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ამოჩენილი თავის ქალები?**

**ამასთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრება „ადამიანის უფლებათა დაცვის აქრივისტთა კავშირის" ლიდერმა თამარ დადიანმა გაგვიზიარა:**

— დავიწყებ იმით, რომ სოფელი ეკის სამონასტრო კომპლექსი სადადიანოდ წოდებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ჩემი წინაპრებისგან, გადმოცემით ვიცი, რომ გასაბჭოების შემდეგ, საქართველოში ადამიანის დაკარგვა და გაქრობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბოლშევიკების შემოსვლას თითქმის ყველა დიდგვაროვანის ოჯახში მსხვერპლი მოჰყვა. ანადგურებდნენ ოჯახებს. არ ინდობდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს და არც მოხუცებს და ადამიანებზე, როგორც ცხოველებზე ისე ნადირობდნენ. სამეგრელოში სისხლის მდინარეები დააყენეს. ჩემი დიდი ბაბუა, ნოქალაქევი-ბერთემის მმართველი და რვა შვილის მამა პეტრე დადიანი წვერებით ათრიეს და აწამეს. ამ საშინელების მნახველი ჩემი დიდი ბებია ინფარქტით გარდაიცვალა. პატარა ბავშვები თოვლსა და ყინვაში გარეთ გამოყარეს და აწამეს. პეტრეს სახლი დაწვეს და გაანადგურეს. მისი ქალიშვილის, ქსენიას ქმარი, ხუთი შვილის მამა, მეცენატი და გამომგონებელი ფალავა სად გააქრეს, კაცმა არ იცის. სენაკში გამოიძახეს. წავიდა და იმის მერე აღარავის უნახავს. მოსკოვშიც კი გავაგზავნეთ მისი მონაცემები, რომ გვეპო-



ვა, მაგრამ უშედეგოდ.. ჩვენი სანათესაოდან ასევე გამქრალია 17 წლის ბავშვი..ეს მარტო ჩვენთან და ჩვენს გარდა, რამდენი იყო? ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა მეცენატი გვარად ჩიჩუა. ეს ადამიანი ეხმარებოდა სკოლებს და საგანმანათლებლო ცენტრებს. 1921 წელს ჩეკისტები შუაღამეს, ლოგინში დაადგნენ თავზე და წაიყვანეს. ამის შემდეგ აღარავის უნახავს და მისი ადგილსამყოფელი არავინ იცის. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეკის სამონასტრო კომპლექსის აკლდამაში დადიანები, ფალავები, ჩიქოვანები, ჩიჩუები ქავთარაძეები და სხვა დიდგვაროვნები განისვენებენ. იმ პერიოდში, ბოლშევიკების შიშით, ეკლესიას ვერავინ ეკარებოდა. ბოლშევიკებმა ეს მშვენივრად იცოდნენ და შემაღლებულ ადგილზე მდენარე მონასტერს ადამიანების დასახვრეტად იყენებდნენ. აკლდამაც სწორედ ამ ადამიანების ძვლებით არის ეს ამოვსებული. ამ მოსაზრებას ისიც მიმყარებს, რომ ძვლებს საერთოდ აღარ აქვთ შერჩენილი რბილი ქსოვილები, ამიტომ გამორიცხულია, რომ ისინი ახლად გარდაცვლილ ადამიანებს ეკუთვნოდეს. „საუდაკის" მოთხოვნაა, თუ შესაძლებელია, ჯერ გარდაცვლილების იდენტიფიცირება მოხდეს და შემდეგ, მათი მონასტრის ეზოში დაკრძალვა. რასაკვირველია, ამ მოვლენების სამართლებრივი შეფასებაც აუცილებელია.

**— როგორც ვიცი, სახელმწიფო უწყებებში გაგზავნილ წერილებზე ჯერჯერობით, პასუხი არ მიგიღიათ.**

— ყველამ, ვისაც მივმართეთ, კულტრის სამინისტროსკენ გადაგვამისამართა. სამინისტრომ კი ტექნიკურად მოიცილა ეს საქმე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გადააბარა. ამდენი ხანია, **ვყვირივართ, რომ მონასტრის ტერიტორიაზე ადამიანების ჩონჩხები ყრია და არავინ დაინტერესებულა. იქნებ, თამარ მეფის ძვლებია?** იქნებ დაკარგული ივანე მაჩაბელია? იქნებ ნიკოლოზ მეორის შვილია, რომელმაც აფხაზეთს შეაფარა თავი? როგორ შეიძლება ასეთი ინფორმაციით არ დაინტერესდნენ? ის მაინც შეამოწმონ, ვტყუივართ თუ არა. შეიქმნას სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისია, ჩვენც ჩაგვრთონ და დავადგინოთ რა საიდუმლოს ინახავს ეკის სამონასტრო კომპლექსი. აქვე ავღნიშნავ, რომ ძალიან გვიხარია, რომ რესტავრაცია მიმდინარეობს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სამონასტრო კომპლექსმა პირვანდელი სახე შეინარჩუნოს. ეს ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა, რომელსაც დაცვა და გაფრთხილება ჭირდება..

**— ინტერვიუს დაწყებამდე მითხარით, რომ წლების წინ, დადიანების მუზეუმიდან მოპარული ნივთი შეიძინეთ და მუზეუმს დაუბრუნეთ. რა ნივთი იყო ეს და სად შეიძინეთ?**

— 1993 წელს დადიანების სასახლე გაიძარცვა. მაშინ „წითელი ჯვრის" საერთაშორისო ოფისი ავლაბრის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ოფისში შეხვედრაზე ვიყავი პოლიტპატიმრების საკითხთან დაკავშირებით და შეხვედრიდან რომ გამოვედი, ეროვნებით აისორი ქალი და მამაკაცი შემხვდნენ. გამაჩერეს და ოქროს ყდაში ჩასმული ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ტომეული შემომთავაზეს. ეს უნიკალური წიგნია, საზღვარზე ვერ გაგვაქვს და იაფად ვყიდითო. წიგნი 50 დოლარად ვიყიდე და მალევე მუზეუმში გავაგზავნე. დანარჩენი ნივთები ვის ხელში მოხვდა და რა ბედი ეწია, უცნობია.. სამეგრელომ გასაბჭოების შემდეგაც უამრავი აწიოკება გადაიტანა. 90-იან წლებში „მხედრიონელთა" თარეშს ადგილობრივი მოსახლეობა კიდევ დიდხანს ვერ დაივიწყებს. თვალებიდან არ ამომდის, როგორ მიუშვირა



დღეს პარლამენტარი და დიდი მამულიშვილი რომ ქვია, იმ პიროვნებამ ჩემი წინაპრების სასახლეს ავტომატის ჯერი. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ საპატრიარქოში მქონდა შეტანილი წერილი ბერთემის ტერიტორიაზე არსებული მონასტრების აღდგენის თხოვნით. თავის დროზე, ამ მონასტრებთან იყო სკოლები, სადაც გლეხების შვილებს ფრანგულ ენას ასწავლიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ დროს, ნახევარი სამეგრელო ფრანგულად ლაპარაკობდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბოლშევიკებმა ბერთემის ტერიტორიაზე არსებული სკოლები და მონასტრები დაწვეს და ამის აღდგენა მინდოდა. საპატრიარქომ თანადგომა აღმიქვა, მაგრამ ასე ადვილი არ აღმოჩნდა, რადგან ყველაფერი მაინც ფინანსებზეა დამოკიდებული..

**— როგორც ვიცი, კულტურის სამინისტროს ბოლშევიკების მიერ მიტაცებული ქონების დაბრუნებაც მოთხოვეთ.**

— ჩემი წინაპრების დიდი ქონებიდან დღეს მხოლოდ ბერთემი-ნოქალაქევის ტერიტორიაზე არსებული აბანო გადარჩა. აბანოს წიაღიდან გამოდის, სამკურნალო, ცხელი წყალი. აბანო ორი განყოფილებისგან და საერთო აუზისგან შედგება. რა თქმა უნდა, ბოლშევიკებმა ეს აბანოც წაიღეს. იქვე პიონერთა ბანაკი ააგეს და კოტეჯებიც ჩადგეს. ნაციონალების ხელისუფლების დროს, ჩვენამდე მოვიდა ხმა, რომ აბანოს ტერიტორიით ერთ-ერთი ცნობილი ნაციონალის მეუღლე იყო დაინტერესებული, მაგრამ რატომღაც დასაკუთრება ვერ მოახერხა. სულ ახლახან, სამეგრელოდან დამიკავშირდნენ და შემატყობინეს, რომ აბანოს ტერიტორია უცნობმა პირებმა შემოღობეს. გამორიცხული არაა, რომ აბანოს ტერიტორიით რომელიმე უცხოელი დაინტერესდა და იქ რაღაც საეჭვო დაწესებულების გახსნას აპირებს. კულტურის სამინისტროს წერილით მივმართე და ვთხოვე, სანამ ცოცხალი ვარ, აბანოს შემოღობვის და მისაკუთრების უფლებას არავის მივცემ თქო. არ ვიცი, ეს ამბავი როგორ დამთავრდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი გვარის დევნა და რეპრესიები დღემდე გრძელდება, რაც ძალიან სამწუხაროა. საუბრის ბოლოს ეკის სამონასტრო კომპლექსის თემას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ იმედს არ ვკარგავ, რომ ხელისუფლება ამ თემით დაინტერესდება და მონასტერში აღმოჩენილი აკლდამის საიდუმლოს ფარდას ახდის.

**დაინტერესდებიან თუ არა სახელმწიფო უწყებები ეკის სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი აკლდამით, გაგრძელდება თუ არა კომპლექსის ტერიტორიაზე სხვა სათავსოების მოძიება და ამ საქმის შესასწავლად გამოიყოფა თუ არა კომისია, დრო გვაჩვენებს. ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ გაურკვეველ ვითარებაში და სავარაუდოდ, ძალადობრივი სიკვდილით აღსრულებული ადამიანების ცხედრებს მიწას უმოკლეს დროში მიაბარებენ.**

**ნელი თორდია**

571 35 36 88



1. მოკარნახე თეატრში
2. სითხის დუღილისას გამოცემული ხმა
3. ვეტერანი მოჭიდავე ლევან . . .
4. ჩონჩხის მთავარი ნაწილი
5. მოსანათლი ჭურჭელი
6. მოტიტვლებული მწირი ადგილი
7. რბილი ძვალი ჩვილის თავის ქალაზე
8. პროდუქციის დასამზადებელი ნედლი მასალა
9. გუმბათოვანი ტაძარი მდ. ვერეს ხეობაში
10. ენგელსის პარტნიორი „კაპიტალის“ შექმნაში
11. დიდი საყვირი
12. გალექსილ თქმაში ორი მოსაზღვრე სიტყვა
13. ყნოსვის მოშლა
14. ყველის შესახები სითხე
15. მოფხანის სურვილი
16. რუმინული საძინებელი
17. ბრბოს მიერ გასამართლება
18. ფრანგული სუნამო
19. ვერაგი, გაიძვერა
20. კავსაძის პროფესია „ვერისუბნის მელოდიებში“
21. ზოლას „ხაფანგის“ პერსონაჟი
22. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა
23. წყლის ფრინველი, ვარხვი
24. კანფეტი, მოხალული ნიგვზით
25. ვიზიტით მოსული სტუმარი
26. ცელქი, მოუსვენარი ბავშვი
27. პატარა ბორბალი
28. უხერხემლო არსება
29. ძეგლი სვეტის სახით
30. საკრედიტო დაწესებულება
31. ზღვის დიდი არსება
32. შევარდნისებური ფრინველი
33. თონეში ჩავარდნილი პური
34. ბოულინგის წინაპარი თამაში
35. დიდი, უშნო ხელი
36. ოყნა
37. ამერიკელი ფილოსოფოსი ბერტრან . . .
38. ფორთოხლის ჯიში
39. ზამშისმაგვარი ტყავი
40. ბანქოში კარტის შეცდომით დარიგება
41. „მშვიდობის ფრინველი“
42. პატარძლის მეჯვარე
43. საპატიო პირი შაჰის კარზე
44. ფოთლებიდან ჩამონადენი წყალი
45. დიდი ყვავილი არასასიამოვნო სუნით
46. მუსლიმანი ქალის კაბა
47. რბილი სკამი
48. რომის პაპის ელჩი
49. ტელეფონის ზარი
50. ათოსის ნაცოლარი
51. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი დარგი
52. ქიმიური ქაღალდი
53. № კოსმონავტი
54. ინგლისელი ფეხბურთელი რაიან . . .
55. რუსი, საბჭოთა მზვერავი რიჰარდ ...
56. რითაც გადაეცემა მემკვიდრეობითი ნიშნები
57. ქრისტიანული დღესასწაული
58. ნაპოლეონ . . .
59. ტკეჩისაგან დაწნული ჭურჭელი
60. ბაღი თბილისში
61. ღვიძლის სამკურნალო მცენარე
62. მსახიობი . . . ჰერშონი
63. მომღერალი სტივ . . .
64. ჩაიკოვსკის ბალეტი
65. მეფრინველეობის ქართული ფირმა
66. „ჭრიჭინა“ იგივე . . . ფერაძე
67. „ნისანის“ მოდელი





# თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | | | | ბ | | | | | | | | | | |
| | ე | | | | ა | | | | | რ | ე | ა | ლ | ი | ა |
| | მ | | | | დ | | | | | | | | | | |
| | ი | | | | ი | | | | | | | | | | |
| | დ | | | | ა | | | | | | | | | | |
| | ა | | | | | | | | | | | | მ | | |
| | | | | ს | ა | თ | ა | მ | ა | შ | ო | | ე | | |
| | | | | | | | | | | | | | ს | | |
| | | | | | | | | | | | | | ე | | |
| | | | | | | | | | | | | | რ | | |
| ა | ტ | ა | მ | ი | | | | | | | | | ი | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ტ | ო | მ | ა | ტ | ი | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

**ვერტიკალურად:** აკინი, ორასი, პეტია, ადამია, ვენერა, ლამარა, მჟაუნა, ოსტატი, ჟაკანი, ტრიერი, ფასადი, ქორქია, ღალატი, ყიყინი, შანელი, ლიანდაგი, პათეტიკა.

**ჰორიზონტალურად:** აფიშა, ვალიო, ქიმია, ადგილი, აპრილი, ბაროკო, გრანტი, დოლინა, კასანო, ნადალი, პარტია, სტატია, ჩივაძე, ხელადა, ჯილაგი, ტრისტანი.

# სამიდან ერთი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | |
| 7 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 10 | | | 11 | | 12 | | 13 |
| 14 | | 15 | | 16 | | | | | | | | |
| | | | | | | 17 | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 19 | | | | | | |
| 20 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 21 | | | | | | |

**ვერტიკალურად:** 1. ჩელინი, ბოჰემა, კამორა. 2. ტოლედო, მენორა, ტუკანი. 3. ჰარალე, მოდელი, კურარე. 4. მაზდა, ჯანყი, რადიო. 5. მასრა, კომში, ჯონკა. 6. ხეთა, ლომი, რასა. 11. პოსტერი, ნორტონი, კომპასი. 12. კლარუსი, პლენერი, დროზერა. 13. კრაველი, შლიგინი, კრონოსი. 14. კოსოვო, პეპელა, ბაყაყი. 15. ტაროსი, ნაგანო, ლიბერო. 16. პარისი, კედელი, ჯიხური.

**ჰორიზონტალურად:** 3. პაზოლინი, ჰარაკირი, ჩალაღაჯი. 7. მანერა, კულონი, გიდელი. 8. ჰასადენა, რადამესი, კოლორადო. 9. კოპოლა, სეტერი, მარინა. 10. მკლავი, ლეონიდ, კამარა. 14. კორიდა, ტოროლა, კანაპე. 17. პატრუქი, კანტატა, მარკონი. 18. ლომისი, სიგარა, ლავიწი. 19. ტრამალი, პროცესი, კრახუნა. 20. ვანესა, გორაკი, შულერი. 21. კრეტინი, რეიმანი, სტალონე.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 31 | | 24 | | | 16 | 9 | 18 | 2 | 31 | 2 |
| 30 | 6 | 9 | 13 | 14 | 28 | 2 | | 2 | | 29 | |
| | 20 | | 2 | | | 1 | 29 | 5 | 9 | 3 | 9 |
| 4 | 2 | 6 | 5 | 9 | 32 | 9 | | 10 | | 1 | |
| | 31 | | 29 | | 2 | | 21 | 9 | 21 | 9 | |
| | 3 | | 13 | 11 | 6 | 17 | 2 | | 29 | | 19 |
| 27 | 9 | 15 | 9 | | 31 | | 31 | 2 | 7 | 3 | 9 |
| 2 | | 2 | | | 2 | | 2 | | 2 | | 1 |
| 25 | | 5 | 2 | 6 | 12 | 9 | 3 | 9 | | | 9 |
| 6 | | 17 | | | 9 | | 2 | | | | |
| 9 | 10 | 2 | 23 | 9 | | 2 | | 33 | | 26 | |
| | | 13 | | 3 | 2 | 22 | 14 | 6 | 9 | 2 | |
| 8 | 2 | 9 | 28 | 2 | | 2 | | 8 | | 13 | |
| 14 | | | | 6 | 11 | 13 | 14 | 23 | 3 | 9 | |
| 11 | 6 | 29 | 4 | 9 | | 9 | | 2 | | 2 | |

| | |
|---|---|
| ა–2 | ს–3 |
| ბ– | ტ– |
| გ– | უ– |
| დ– | ფ– |
| ე–29 | ქ– |
| ვ– | ღ–22 |
| ზ– | ყ– |
| თ– | შ– |
| ი–9 | ჩ– |
| კ– | ც– |
| ლ–13 | ძ– |
| მ– | წ–20 |
| ნ– | ჭ– |
| ო–14 | ხ– |
| პ– | ჯ– |
| ჟ– | ჰ– |
| რ–6 | |



# უბრალოდ, თემო...

თემო (ასე ეძახდნენ მას მეგობრები, სტუდენტები, ახლობლები) გორელიშვილი თსუ-ში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სპარსული ენისა და ლიტერატურის განხრით, ჩაირიცხა. სტუდენტობის პერიოდში იგი სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო, პარალელურად, თსუ-ს სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა, ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში კი – ცეკვავდა. მან სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით (წითელ დიპლომზე) დაამთავრა, რის შემდგომაც, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გასაგრძელებლად, ირანისტიკის კათედრაზე დატოვეს.

1960-61 წლებში თემო გორელიშვილი „სოიუზდორპროექტის“ მიწვევით ავღანეთში – ტექნიკური სასწავლებლის მთავარ მთარგმნელად მივლინებით გაემგზავრა. მისი პირველი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა სწორედ ჰერათში დაიწყო. მეცნიერული კვლევის პირველი სამიზნე ჰერათის ლიტერატურული სკოლა და სპარსული კლასიკური პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელის – აბდ-ორრაჰმან ჯამის (1414-1492წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობა გახდა. ფეხშიშველი, ფოტოაპარატისა და საწერი მოწყობილობების გარეშე (შეტანა იკრძალება) საფლავის ქვებთან საათობით იჯდა, კითხულობდა, შემდეგ იზეპირებდა და მერე ქაღალდზე გადმოჰქონდა. თემომ ჰერათში „სინდბად-ნამეს“ ლექსითი ვერსიის უაღრესად საინტერესო, უნიკალური ხელნაწერი აღმოაჩინა, რომელიც მეცნიერებისათვის მანამდე ცნობილი არ იყო. მან, ეს ხელნაწერი, თავადვე გამოიკვლია და დაამუშავა, რითაც ამ ძეგლის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

1965 წელს თემო გორელიშვილმა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „თიმსარიანი“ ანუ „სინდბად-ნამეს“ სპარსული და ქართული ვერსიები“.

თემო გორელიშვილი, საკმაოდ ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. წელს გარდაცვალებიდან 50 წელი შესრულდა.

ელიზბარ ჯაველიძე მის უახლოეს მეგობარს ასე იხსენებს: „50 წლის წინ დაღუპულ მეგობარზე საუბარი, ერთობ ძნელია. სიძნელე იმით არის განპირობებული, რომ ამ წლების მანძილზე მეგობრის ხატი მუდამ თან გახლდა, არ გშორდებოდა, ცოცხალ არსებად წარმოგედგინა და მასთან საუბრობდი. ახლა კი დამთრგუნავი რეალობის წინაშე დგახარ და გსურს თუ არ გსურს, აცნობიერებ, შეგნებულად თავს იტყუებდი და იიმედებდი, რითაც სულს იმშვიდებდი მხოლოდ.

თემო გორელიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და არის. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელიც მისი დარი სულიერი სილაღით, ხელგაშლილობითა და უშუალობით გამოირჩეოდა. იგი აღმოსავლეთმცოდნეთშორის, კერძოდ, სპარსული ლიტერატურის დაუნჯებული მკვლევარია, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა ღვთიურ საუფლოში, დაგვიტოვა მეცნიერული თუ მხატვრული ნახელავი, მარადიული ფერით რომ მოსავს მის ამქვეყნიურ არსებობას. ის გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით: ადრიან დილიდან მოყოლებული გვიან საღამომდე აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში ფეხმოუცვლელად იჯდა, მუშაობდა და თავის ნაღვაწით კმაყოფილი, უარს როდი ამბობდა ყურძნის ნაჟურის დაგემოვნებაზე. თემო უფროსებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით და მორიდებით გამოირჩეოდა, უმცროსებისადმი კი საოცარი გულისხმიერებითა და ყურადღებით. მაგრამ მას მაინც ამშვენებდა სიყვარულის საოცარი ნიჭი, უსაზღვრო თავდავიწყებაში განფენილს ხშირად უთქვამს ჩემთვის: ვაჟკაცი ის არის, ვისაც ძალუძს სიყვარულის მონობაო. სწორედ ამ სიყვარულს შეეწირა იგი შეგნებულად!

მწამს, თემოს სული ღვთიურ სითეთრეში ნეტარებს, ხოლო მისი ხატი კი ჩემთან იქნება მუდამ, ვიდრე ამ ნაპირს „მოადგება საჩემო ნავი და მე ამ ქვეყნით სამუდამოდ იმ ქვეყნად წავალ“...

აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე კი თემო გორელიშვილის საკანდიდატო ნაშრომის თაობაზე დაწერილ რეცენზიაში მას ასე ახასიათებს: „წარმოდგენილი ნაშრომი ვრცელი გამოკვლევაა. ავტორი საქმიანად და ცოდნით ითვალისწინებს „სინდბად-ნამეს“ წარმოშობისა და მსოფლიოში გავრცელებულ ისტორიას, საგანგებოდ ჩერდება მის სპარსულ ვერსიაზე. კერძოდ, დაწვრილებით იხილავს ზაჰირი სამარყანდელის პროზაულ ვერსიას, არკვევს მის შინაარსობრივ-იდეურ, კომპოზიციურ მხატვრულ მხარეებს. საინტერესო შენიშვნებს გვთავაზობს სპარსული ლექსის ვერსიაზეც, რომლის ერთი, დღემდის მეცნიერებისათვის უცნობი ხელნაწერი, ჰერათის მუზეუმში, მას თავად მოუკვლევია. ავტორს შეუსწავლია ამ ვერსიის ყველა ხელნაწერი და გამოცემები; ქართული ტექსტი შეუდარებია სპარსული დედნისთვის და საგულისხმო დასკვნებიც მიუცია“.

თემოს ყოფილი სტუდენტი, ამჟამად, პროფესორი, პოეტი, თსუ-ს ირანისტიკის კათედრის გამგე ნომადი ბართაია: „თეირანის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე ვარ. სასტუმროში დაბრუნებულს ამბავი დამხვდა, რომ ერთი ირანელი პროფესორი იყო მოსული და ჩემი ნახვა უნდოდა. ადგილზე რომ არ დავხვდი, დაუბარებია, მეორე დღეს საღამოთი მოვალო. მეორე საღამოსაც ვერ შევხვდი და მესამე დღეს, როგორც იქნა ორივეს გაგვიმართლა. გამეცნო – ტელევიზორში გნახეთ, გავიგე, რომ საქართველოდან ხართ ჩამობრძანებული. მე, ირანელი ირანისტი, პროფესორი გახლავართ და თქვენთან იმისთვის მოვედი, გკითხოთ, ბატონი თენგიზ გორელიშვილის შესახებ, როგორ არის, ამჟამად რაზე მუშაობსო? გამიკვირდა, სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ გარდაცვლილი კაცის ამბავს რომ კითხულობდა და მივუგე – სამწუხაროდ, ბატონი თენგიზი კარგა ხანია ამ ქვეყნად არ არის-მეთქი. – როგორ, რას მეუბნებითო! – შეიცხადა ისე, როგორც უახლოესი ადამიანის შესახებ შეიცხადებენ თავზარდამცემ ამბავს! – ვკითხე – საიდან იცნობდით-მეთქი?... მე მის „სინდბად-ნამეს“ ვიცნობ, მეც მაგ თემაზე ვმუშაობო. სწორედ ეს გამოკვლევა იყო მიზეზი, რომ ასე შეიცხადა ირანელმა პროფესორმა „სინდბად-ნამეს“ მკვლევარის გარდაცვალების ამბავი. ვინ იცის, რამდენი დააკლდა ქართულ და არამარტო ქართულ ირანისტიკას ამ 50 წლის მანძილზე მისი ტრაგიკული სიკვდილის გამო.





გარდაცვალებიდან 50 წლის გასვლის შემდეგ, მეგობარს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოგი ანთელავა ასე იხსენებს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტი იყო მყუდრო სავანე, რომელშიც საოცრად თბილი ატმოსფერო სუფევდა.

კაბინეტში „მუდმივად ჩაწერილი“ იყო სპარსული ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტი, მუდამ კეთილად მომღიმარი თემო გორელიშვილი. სტუდენტებისთვის უბრალოდ თემო, ხოლო პროფესურისთვის თენგიზი, რითაც, ვფიქრობ, ისინი მის მიმართ ერთგვარ პატივისცემას გამოხატავდნენ, რასაც იგი ნამდვილად იმსახურებდა.

ძალიან მოგვაკლდა, როდესაც თარჯიმნად სამუშაოდ ავღანეთში წავიდა. მაშინ იქ მშვიდობა იყო. მანქანა იყიდა, „მოსკვიჩი-408“, მოყვითალო ფერის... ნეტავ არ ეყიდა... იმ ღამეს ერთად ვიყავით დავითაშვილის ქუჩის ბოლოში „სამადლოში“. თემო მანქანით იყო. რესტორნიდან ყველანი მეტ-ნაკლებად ნასვამები გამოვედით. საჭესთან მე დავჯექი, თემო არ დავსვი. ცხონებული შოთა ჭუბაბრია იქვე ცხოვრობდა და იგი დარჩა, ელიზბარ ჯაველიძე ( მას თემოსთან განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა) ავიყვანეთ სახლში, სერგი მესხის ქუჩაზე. დაახლოებით, ღამის ორი საათი იყო, როცა თემო სახლში მივიყვანე. იგი საბურთალოზე, ტროლეიბუსების პარკის მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობდა. სახლში ავედით, მანქანის გასაღები თემოს დედას მივეცი და წამოვედი ბუზღუნ-ბუზღუნით – სახლამდე ფეხით უნდა მევლო. „ჩარგალთან“ (იყო ასეთი რესტორანი, ახლა იქ კაცმა არ იცის რა არის) არ ვიყავი მისული, რომ გავიგონე მანქანის საშინელი ხმა და ჩემს წინ დიდი სიჩქარით თემოს მანქანამ გაიქროლა... მეორე დილით უნივერსიტეტში ლექცია მქონდა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაგვიანებით მივედი. კარებში ბატონი მაგალი თოდუა შემხვდა და მკითხა: თენგიზის რა იცი? არ მკითხოთ-მეთქი, მასზე გაბრაზებული ვარ. არც უკითხავს, რატომ. პირდაპირ მითხრა: თემო დაიღუპაო! იმ დღესვე ყველაფერი გავარკვიეთ. საჭესთან დაეძინა. არ ღირს ამაზე საუბარი. ერთი კი უნდა ითქვას, რომ იმ დროს ძალიან უჭირდა, ვერ ისვენებდა, ვერ მიიღო, ვერ შეეგუა საყვარელი ადამიანისგან მიყენებულ ტკივილს, ვერც გამოსავალი იპოვა და...

მას შემდეგ 50 წელი გავიდა, მაგრამ ლაღი და ლამაზი თემო დღესაც კეთილად გვიღიმის“.

**მეგობართა ჯგუფი**

# როგორ შეიცვლება ქალი მომავალ 400 წელიწადში?



ეს, ალბათ, მამაკაცის მუდმივი ოცნებაა — შეიცვალოს ქალი არა ფიზიკურად, არამედ ფიზიოლოგიურად, მაგალითად, მათთვის სასურველია ქალს ჰქონდეს ენა, მაგრამ არ ლაპარაკობდეს, თუნდაც მუნჯი იყოს, ჰქონდეს ყური, მაგრამ ესმოდეს მხოლოდ ის, რაც მათ სურთ. ამიტომ ცნობა იმის შესახებ, რომ ქალი ნამდვილად შეიცვლება, მამაკაცებისთვის საინტერესო უნდა იყოს. თუმცა მეცნიერები ვერც ამჯერად გაახარებენ მათ, მოკლედ, საშველი არაა.

ისინი ამტკიცებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები 2409 წელს სიმაღლეს და წონას დაკარგავენ.

დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ ევოლუციის პროცესი დამთავრდა და ადამიანის გარეგნობაში უკვე აღარაფერი იცვლება. — ასე არ არის, - ეკამათება კოლეგებს სტეფან სტერნსი, რომელიც ევოლუციური ბიოლოგიის სპეციალისტია იელის უნივერსიტეტში. ადამიანის გარეგნობა რეპროდუქციის პროცესებთან არის დაკავშირებული და ქალის სხეულს იმ მოდელს უქმნის, რაც მას რეპროდუქციისთვის სჭირდება.

სტეფან სტერნსმა კოლეგებთან ერთად ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარა მასაჩუსეტში. კვლევა დაიწყეს 1984 წლიდან და მასში სამი თაობის რამდენიმე ათეული ათასი სუსტი სქესის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეკრებილი ინფორმაციებით, რომლებიც შეეხებოდა რეპროდუქციული პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს, სიმაღლეს, წონას, სისხლის წნევას, სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, გულის მდგომარეობას და რაც ყველაზე მთავარია, შობადობის მაჩვენებელს.

**გაირკვა:** ტანდაბალი ქალები, როგორც წესი, უფრო მეტ ბავშვებს ბადებდნენ, ვიდრე გამხდარი და მაღალი კონკურენტები, ანალოგიური ტენდენცია შეინიშნებოდა ქალებში, რომლებსაც დაბალი წნევა და ქოლესტერინის დაბალი შემცველობა ჰქონდათ სისხლში.

სტერნსმა ასევე განსაზღვრა, რომ წონა, სიმაღლე და გენეტიკური თავისებურებები გადაეცემოდა თაობებს და ქვეყანას ევლინებოდა ერთმანეთის მსგავსი გოგონები, რომლებიც ბევრ ბავშვებს აჩენდნენ.

დააკვირდნენ 10 თაობას და გამოთვალეს, 2409 წელს სუსტი სქესის წარმომადგენელთა საშუალო სიმაღლე 2 სანტიმეტრით დაიკლებს. ქალები გახდებიან უფრო დაბლები და პუტკუნები, მაგრამ ძალიან ჯანმრთელი გულით.

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**—როგორია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხანდაზმულობის საკითხი?**

-მუხლი 71. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

1. პირი თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ1) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–3421 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

3. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

4. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

5. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

7. გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

8. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების საქართველოში შემდგომი სამართალწარმოების მიზნით გადმოგზავნისას საქართველოში პროცესის მწარმოებელი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.

მუხლი 76. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება

გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

1. მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

2. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო.

3. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

4. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

6. გარდა ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

7. უცხო ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავის თანახმად საქართველოში აღსასრულებლად გადმოგზავნის შემთხვევაში საქართველოს შესაბამისი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.